ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

მიგრაციის კვლევის ცენტრი
MIGRATION STUDY CENTER

სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოება
STUDENTS AND POST-GRADUATE STUDENTS SCIENTIFIC SOCIETY

მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში

MIGRATION PROCESSES IN MODERN GLOBALIZED WORLD

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Tbilisi University Press
თბილისი 2005 Tbilisi

უაკ (UDC) 314.7(100)
მ 655

კრებულში წარმოდგენილია ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები მოსახლეობის მიგრაციის თემაზე. მათი უმეტესობა თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მხარდაჭერითაა შესრულებული. ნაშრომები წაკითხულია სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე _ «მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში».გამოკვლევები ძირითადად ეხება ახალგაზრდობის ემიგრაციის უმწვავეს საკითხებს, მათში გაანალიზებულია მდიდარი სტატისტიკური მასალა და კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის შედეგები.

კრებული განკუთვნილია მიგრაციული პროცესებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

სარედაქციო კოლეგია: *პროფ. მ. ტუხაშვილი (რედაქტორი),*
დოც. ნ. კვიციანი, დოც. ა. სახვაძე,
ასპ. ნ. ჭელიძე

რეცენზენტები: *პროფესორი მურმან ცარციძე,*
დოცენტი ჰენრი ყარაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005

სამწუხაროდ, დღეს ხშირი შემთხვევაა, როცა ახალგაზრდები მიემგზავრებიან სასწავლებლად უცხოეთში და მიდიან ისეთ სულიერ მდგომარეობაში, როცა მყარად არ დგანან თავის ეროვნულ ნიადაგზე, არ იცნობენ კარგად საკუთარი ერის კულტურას, წარსულს, ტრადიციებს, რწმენას, ისტორიას და იქ თითქმის ყველაფერ ეროვნულს ადვილად ივიწყებენ.

უკან მობრუნებულებს კი უცხოეთიდან ჩამოაქვთ იქაური ფსევდოკულტურა.

ჩვენ გვმართებს დიდი სიბრძნე და მოთმინება, რათა შევამეცნებინოთ და განვუმარტოთ ჩვენს ახალგაზრდებს, რომ უპირველეს ყოვლისა, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობანი უნდა იყოს ჩვენი არსებობის საფუძველი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი ილია II

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა

1. *ეკა ლეკაშვილი*
   საერთაშორისო მიგრაციის ნაკადების სახელმწიფო რეგულირება: მსოფლიო გამოცდილება
2. *ვლადიმერ სულაბერიძე*
   მიგრაცია და დემოგრაფიული უსაფრთხოება
3. *დავით აბულაძე*
   იმიგრაცია და იმიგრაციული პოლიტიკა საფრანგეთში
4. *მაია შამუგია*
   საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის მიგრაციული პროცესები მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე
5. *ქეთევან მდინარაძე*
   სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარი და მიგრაციის პრობლემები
6. *მანანა ჭიპაშვილი*
   შრომითი ემიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში
7. *შორენა გუჩაშვილი*
   კახეთის მხარის მოსახლეობის მიგრაცია
8. **Масленкова Е.В.**
   Проблемы безвозвратной миграции молодежи в Республике Беларусь
9. **Крайнов В.В.**
   Внешняя трудовая миграция Белорусских студентов
10. *მარიკა ქაჯაია*
    ახალგაზრდობის გარე მიგრაციული განწყობის ზოგიერთი საკითხის შესახებ
11. *ნათია ჭელიძე*
    საქართველოს ახალგაზრდობის შრომითი ემიგრაცია
12. *ნინო ბერულავა*
    სტუდენტთა მოსალოდნელი მიგრაცია
13. *ირინა ტყეშელაშვილი*
    ქუთაისის სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური მიგრაცია
14. **Нона Суварян**
    Невидимая проблема Грузии: Треффикинг и подход к нему разных структур
15. *ნანა ორკოდაშვილი*
    გარე შრომითი მიგრაციის მართვის სრულყოფის მიმართულებები
16. *ნინო აბაიშვილი*
    საქართველოს კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ
17. *ლანა ლაგვილავა*
    მიგრაციის საკანონმდებლო პრობლემები
18. *მარიკა გერსამია*
    ქალთა ტრეფიკინგის თანამედროვე პრობლემები

კრებულის ავტორები

C O N T E N T

PREFACE

1. **Eka Lekashvili**
   State regulation of international labor flows: the world experience and Georgia
2. **Vladimer Sulaberidze**
   Migration and demographic security
3. **David Abuladze**
   Immigration and immigration policy in France
4. **Maya Shamugia**
   Current Human Migration Processes in Georgia on the Background of World Globalization
5. **Ketevan Mdinaradze**
   International Labor Market and Migration Problems
6. **Manana Chipashvili**
   Social-Economic Aspects of Labour Emigration in Georgia
7. **Shorena Guchashvili**
   Population migration in Kakheti region
8. **Maslenkova Helena**
   The problems of irretrievable form of youth labour migration in Belarus
9. **Krainov Vladislav**
   Outbound labour migration of Byelorussian students
10. **Marika Kajaia**
    Some issues on the outbound migration trends in the youth
11. **Natia Chelidze**
    Labor emigration of Georgian youth
12. **Nino Berulava**
    Possible migration of students
13. **Irina Tkeshelashvili**
    Potential Migration and Kutaisi Students
14. **Nona Suvarian**
    Invisible problem of Georgia _ trafficking and various structures' attitude towards it
15. **Nana Orkodashvili**
    Diretions of improving labour migration administration
16. **Nino Abaishvili**
    Georgian Legislation Concerning Trade in Human Beings (trafficking)
17. **Lana Lagvilava**
    The legislative problems of migration
18. **Marika Gersamia**
    Modern Problems of women trafficking

AUTHORS OF THE COLLECTION

წ ი ნ ა თ ქ მ ა

გლობალიზებად მსოფლიოში განუხრელად მატულობს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის ინტენსიურობა. ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგებით მიგრაცია იქცა უმწვავეს მსოფლიო პრობლემად. მეტად პრობლემატურ პროცესად ჩამოყალიბდა იგი საქართველოშიც. 1990-იანი წლების ყოვლისმომცველი კრიზისის დროს მიგრაციის მასშტაბებმა და ინტენსიურობამ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო დონეს მიაღწია. აუცილებელი გახდა მისი რეგულირება, რაც, თავის მხრივ, მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას მოითხოვს. ეს კი შეუძლებელია მიგრაციის პროცესის ღრმად შესწავლის, მისი კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენის გარეშე.

სამწუხაროა, რომ ჩვენში მიგრაციის კვლევა სრულებით არ შეესაბამება პრობლემის მნიშვნელობას, ჯერჯერობით ეპიზოდური ხასიათისაა და ვერ ქმნის პროცესის რეგულირებისათვის საკმარის საფუძველს. მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის კვლევის გააქტიურება იყო ერთი წლის წინ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიგრაციის კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების მიზანი. მისი ერთ-ერთი ამოცანაა მიგრაციის პრობლემატიკით ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესება და ყოველმხრივი შესაძლო მხარდაჭერა. ამის გამოხატულებაა წინამდებარე კრებულიც, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის შედეგს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სხვა ქვეყნის ახალგაზრდა მეცნიერებიც დაინტერესდნენ ცენტრის თანამშრომლებთან ერთობლივი კვლევით. ამის გამოხატულებაა კრებულში მოთავსებული ბელორუსი მიგრანტოლოგების ნაშრომები, რომლებიც აღნიშნული ერთობლივი მუშაობის პირველი ეტაპის შედეგია. ალბათ, შესაძლებელი გახდება მთლიანი ნაშრომის გამოცემაც კვლევის დასრულების შემდგომ.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამჟამინდელი ძალებით მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის ყველა სახის და ასპექტით შესწავლა შეუძლებელია. ამიტომ სავსებით გასაგებია წარმოდგენილ ნაშრომებში ყურადღების აქცენტირება ახალგაზრდობის ემიგრაციის პრობლემებისადმი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალში თემატიკა გაფართოვდება, კვლევა გაღრმავდება და ახალგაზრდა მიგრანტოლოგები დაინტერეს-დებიან იმიგრაციის, იძულებითი და ორგანიზებული მიგრაციის, მთიანი რეგიონების მოსახლეობის მიგრაციის, მოსახლეობის შიგარეგიონური გადანაწილების, ქანქარისებრი მიგრაციის, ურბანიზაციის, მიგრაციული და ეკისტიკური პოლიტიკითაც.

დასასრულ, გვსურს მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის ორგანიზებასა და წინამდებარე კრებულის გამოცემაში მხარდაჭერისათვის.

თსუ შრომის ეკონომიკის კათედრის გამგე,
მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი,
პროფესორი მირიან ტუხაშვილი

ეკა ლეკაშვილი

საერთაშორისო მიგრაციის ნაკადების სახელმწიფო რეგულირება: მსოფლიო გამოცდილება

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ახორციელებს ვაჭრობის ლიბერალიზაციას და პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო მიგრაციის შემზღუდველ ღონისძიებებს ატარებს. საერთაშორისო მიგრაციის თეორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი იწვევს წარმოების ერთობლივი მოცულობის ზრდას, თუმცა მიგრაციის ეკონომიკური სარგებლის განაწილება ქვეყნებს და სოციალურ ჯგუფებს შორის არათანაბრად ხდება. ამასთან, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური ეფექტები შეიძლება ნეგატიურმა გადაფაროს. უარყოფით შედეგებს შორის მნიშვნელოვანია ის ფინანსური ტვირთი, რომელსაც იმიგრანტები სამუშაო ძალის მიმღები ქვეყნების ბიუჯეტს აკისრებენ. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყანა შემოსაზღვრულია განვითარებადი ქვეყნებით:მეზობლობის დროს ლეგალური და არალეგალური იმიგრანტების ნაკადები იზრდება, რაც მატერიალური მხარდაჭერისათვის, ან თუნდაც დეპორტაციისთვის ფინანსურ გასავლებს მოითხოვს.

სამუშაო ძალის ნაკადების საერთაშორისო მიგრაცია არამარტო ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს წარმოშობს მიმღებ ქვეყანაში, არამედ დაძაბულობასაც იწვევს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ეროვნულ, რელიგიურ, იდეოლოგიურ განსხვავებათა გამო.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის პრობლემებმა მოითხოვეს საერთაშორისო ნაკადების სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი რეგულირება. მისი ფორმები და ინსტრუმენტები მრავალფეროვანია. ამასთან, საკითხის აქტუალობა იზრდება მცირერიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც სამუშაო ძალის გადინებამ შესაძლოა ქვეყნის შიგნით მწვავე ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები წარმოშვას.

ჩვეულებრივ, სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია სამუშაო ძალის უცხოური ნაკადის შეზღუდვისა ან რეემიგრაციისათვის.

მრავალი ქვეყანა იმიგრაციის რეგულირების სელექციურ მეთოდს იყენებს: არ აბრკოლებს ქვეყანაში იმ კატეგორიის მუშების შესვლას, რომლებიც წარმოებაში სჭირდება, სხვა დანარჩენებს კი ზღუდავს.

უმრავლეს ქვეყანაში იმიგრანტისთვის შესვლის ნებართვა გაიცემა დამქირავებლის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტის საფუძველზე და შრომის სამინისტროს დასკვნით, რომ მოცემული სამუშაო მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ან სხვა მიზეზით ის ვერ სრულდება ადგილობრივი მუშების მიერ.

მიმღები ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტები დაკავებულნი არიან შრომითი იმიგრაციის პრობლემებით. ისინი მოქმედებენ ეროვნული კანონმდებლობის, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. იმიგრაციის პროცესების პრობლემათა გადაწყვეტაში მინიმუმ სამი სახელმწიფო უწყება მონაწილეობს: საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის საკონსულო განყოფილებაც გასცემს ვიზებს; იუსტიციის სამინისტრო, ან სასაზღვრო კონტროლის სხვა სამსახური, რომელიც შრომითი

რესურსების მოძრაობის რეგულირებას კანონის რეჟიმში ახორციელებს და შრომის სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებას.

ბევრ მიმღებ ქვეყანაში იმიგრაციის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა წარმოდგენილია უამრავი კანონით და კანონქვემდებარე აქტით. იმიგრაციის კანონმდებლობის ძირითადი მიმართულებებია:

_ *პროფესიული კვალიფიკაცია* _ მრავალი მიმღები ქვეყნისთვის დადგენილია მკაცრი მოთხოვნები განათლების დონესა და სპეციალობის მიხედვით სამუშაო სტაჟზე. შეიძლება საჭირო გახდეს სარეკომენდაციო წერილი;

_ *კერძო ხასიათის შეზღუდვები* _ მიმღები ქვეყნის კანონმდებლობა მკაცრ მოთხოვნებს უყენებს იმიგრანტების ჯანმრთელობას. ისინი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა, რომელსაც მიმღები ქვეყნის საკონსულო ამტკიცებს, ან გაიარონ სამედიცინო შემოწმება. იმიგრანტების ასაკობრივი ცენზი კანონმდებლობით მტკიცდება, იმისდა მიხედვით, თუ წარმოების რომელ დარგში უნდა იმუშაოს მან. და ბოლოს, ძალიან სერიოზულია კანონმდებლობითი მოთხოვნები იმიგრანტების პოლიტიკური და სოციალური ორიენტაციის მიმართ. კანონმდებლობით ხშირად აკრძალულია ქვეყანაში ადრე ნასამართლევი პირების, ტერორისტული და ფაშისტური ორგანიზაციების წევრების მიღება;

_ *რაოდენობრივი კვოტირება* _ მრავალ ქვეყანაში იმიგრანტების მიღების მაქსიმალურ რაოდენობას აწესებენ. რაოდენობრივი კვოტები შესაძლებელია დაწესდეს მთლიანად ეკონომიკის მიხედვით და განისაზღვროს უცხოური სამუშაო ძალის მაქსიმალური წილი მთელ შრომით რესურსებში; ცალკეული დარგის მიხედვით განისაზღვროს უცხოური სამუშაო ძალის მაქსიმალური წილი მოცემულ დარგში დასაქმებულთა რიცხვის მიხედვით; ცალკეული საწარმოს მიხედვით, ერთ საწარმოში უცხოელი მუშების მაქსიმალური წილი; წლის განმავლობაში იმიგრანტების მიღების მაქსიმალური რაოდენობა;

_ *ეკონომიკური რეგულირება* _ იგი მოიცავს გარკვეულ საფინანსო შეზღუდვებს, რომელიც იმიგრანტების რიცხვის შეზღუდვას უზრუნველყოფს. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ზოგიერთ ქვეყანაში ფირმებს აქვთ უცხოური სამუშაო ძალის დაქირავების უფლება გარკვეული ბრუნვის ან გაყიდვების მოცულობამდე, ან სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრული გადასახადის შეტანის შემდეგ. კერძო პირებს იმიგრაციის უფლება აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მზად არიან მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში მოახდინონ განსაზღვრული თანხის ინვესტირება, დაადასტურონ ამ ფულის ლეგალურობა და შექმნან განსაზღვრული რაოდენობის სამუშაო ადგილი;

_ *დროითი შეზღუდვა* _ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით დგინდება ტერიტორიაზე უცხოელი მუშების ყოფნის მაქსიმალური ვადა, რომლის ამოწურვის შემთხვევაშიც მათ ან უნდა დატოვონ მიმღები ქვეყანა, ან კომპეტენტური ორგანოებისგან მიიღონ ნებართვა ვადის გახანგრძლივების შესახებ. ხშირად არის აუცილებელი სამშობლოში ჩასვლისა და რამდენიმე წლით დარჩენის მოთხოვნა, რომლის შემდეგაც კვლავ შეუძლიათ მიიღონ მიმღებ ქვეყანაში ჩასვლის უფლება;

_ *გეოგრაფიული პრიორიტეტები* _ პრაქტიკულად იმიგრანტების მიმღები თითოეული ქვეყანა კანონით ადგენს იმიგრაციის გეოგრაფიულ და ნაციონალურ სტრუქტურას. იგი ჩვეულებრივ რეგულირდება განსაზღვრული ქვეყნებიდან იმიგრანტების რაოდენობრივი შეზღუდვის – კვოტის მეშვეობით.

_ *აკრძალვები* _უცხოური სამუშაო ძალის დაქირავებაზე არსებობს გარკვეული ნუსხა, რომელიც პირდაპირ (არაფარულად) გვაწვდის იმ დარგებისა და სპეციალობების სიას, სადაც უცხოელთა დასაქმება შეუძლებელია. ფარულ

აკრძალვებში ჩამოთვლილია ის დარგები და სპეციალობები, სადაც მუშაობა მხოლოდ მოცემული ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ.

კანონით დგინდება სანქციები იმიგრაციის წესების დარღვევისას. ისინი შეიძლება გავრცელდეს როგორც იმიგრანტებზე, ასევე მათ ხელშემწყობებზე. ქვეყანაში უკანონო შეღწევა დანაშაულად ითვლება და აღმოჩენის შემთხვევაში დგინდება დეპორტაცია, ფულადი ჯარიმა ან ციხეში დაკავება.

რეემიგრაციის რეგულირება ხორციელდება პროფკავშირების ან სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლის პირობებში, რომლებიც უმუშევრობის მთავარ მიზეზს იმიგრანტთა ნაკადების ზრდაში ხედავენ. რეემიგრაციის სახელმწიფო ზომების ტრადიციული მეთოდებია:

_ *რეემიგრაციის სტიმულირების პროგრამები* _ ისინი მოიცავენ ღონისძიებათა ფართო წრეს, არაკანონიერი იმიგრანტების რეპატრიაციიდან დაწყებული იმიგრანტების მატერიალური დახმარებით დამთავრებული (ვისაც სამშობლოში დაბრუნების სურვილი აქვს). დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რეემიგრაციის მატერიალური წახალისების პროგრამები დასაბრუნებელი თანხების გადახდის მეთოდით ხორციელდება. ნებაყოფლობითი რეემიგრაციის ზოგიერთ შემთხვევაში თანხების გადახდა ხდება გამგზავრებამდე, ზოგჯერ კი სამშობლოში ჩასვლისას;

_ *იმიგრანტების პროფესიული მომზადების პროგრამები* _ სამშობლოში დაბრუნების სტიმულირების მიზნით ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია) განიხილავს იმიგრანტების პროფესიული განათლების პროგრამებს, რომლის საფუძველზეც განვითარებულ ქვეყნებში განათლების მიღებით იმიგრანტებს უჩნდებათ სამშობლოში დაბრუნებისა და იქ მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების სურვილი;

_ *მასობრივი ემიგრაციის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების პროგრამები* _ განვითარებული ქვეყნები სამუშაო ძალის ექსპორტიორ ქვეყნებთან დებენ შეთანხმებას სამუშაო ძალის სამშობლოში დაბრუნების ინვესტირებაზე და განვითარებად ქვეყნებში ისეთი ახალი საწარმოების შექმნაზე, სადაც დასაქმებული იქნებიან რეემიგრანტები. მაგალითად, გერმანული კაპიტალით შექმნილი თურქული კომპანიები რეემიგრანტთა მოზიდვის პუნქტი გახდა და თურქეთიდან ემიგრანტთა ნაკადიც შემცირდა.

ემიგრანტთა ნაკადებს საქართველოში არეგულირებს ,,ემიგრაციის კანონი», რომლის თანახმად საქართველოდან ემიგრაციის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს: პირზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ან განაჩენით შეფარდებული მოუხდელი სასჯელი; აღძრული სამოქალაქო სარჩელი; წვევამდელი ასაკის პირის მოუხდელი სამხედრო ბეგარა; სახელმწიფო საიდუმლოებათა ცოდნა; ემიგრაციაზე შუამდგომლობის შეტანისას ყალბი დოკუმენტების წარდგენა და ა.შ.

იმიგრანტთა ნაკადების რეგულირება საქართველოში ხორციელდება ,,იმიგრაციის კანონით», რომლის საფუძველზეც განისაზღვრება იმიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობა, საქართველოში იმიგრაციასთან დაკავშირებული პროცესების სახელმწიფო რეგულირება და მართვის ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში იუსტიციის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად უნდა განისაზღვროს საიმიგრაციო კვოტა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, თუმცა კვოტის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის უცნობია.

ამგვარად, საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება ხორციელდება მიმღები და ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობათა კანონმდებლობით სახელმწიფოთაშორისი და უწყებათაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე. რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებით, რომელიც მიმართულია უცხოური

სამუშაო ძალის ნაკადის შეზღუდვაზე ან იმიგრანტთა რეემიგრაციაზე. ბევრი მიმღები ქვეყანა იყენებს იმიგრაციის რეგულირების შერჩევით მეთოდს. რეემიგრაციის სტიმულირება კი ხდება წამსვლელთა მატერიალური კომპენსაციით, მათი პროფესიული გადამზადებით, სამუშაო ადგილების შექმნით და მასობრივი ემიგრაციის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევით.

Eka Lekashvili

STATE REGULATION OF INTERNATIONAL LABOR FLOWS: THE WORLD EXPERIENCE AND GEORGIA

(Abstract)

The problems accompanying the International flows of labor led to the creation of a complex system of state and interstate regulation.

The main characteristics of immigration laws are the following: professional qualification, individual restrictions, quantitative quotas, economic regulations, time limitations, geographical priorities, wages, etc.

Traditional state measures of regulating reemigration are: motivation programmes for reemigration, skills re-training programmes for immigrants, economic aid programmes for the states of mass emigration.

There is no promising information indicating the participation tendency of Georgia in international labor flows, but negative migration balance for the past years will cause demographic problems in the country, unless realistic migration policy is carried out.

ვლადიმერ სულაბერიძე

მიგრაცია და დემოგრაფიული უსაფრთხოება

ერთი შეხედვით, საქართველოს დემოგრაფიული საფრთხე 1990-იან წლებში შექმნილი კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებიდან იწყება, მაგრამ თუ ამ მოვლენების განვითარების ანალიზს თუნდაც ოთხი ათეული წლის მანძილზე განვიხილავთ, საკითხი სხვაგვარად წარმოგვიდგება. მართალია, თვით ტერმინი «დემოგრაფიული უსაფრთხოება» კვლევის პროცესში ქართველ დემოგრაფთა მიერ ნაკლებად გამოიყენებოდა მაგრამ მათი მეცნიერული გამოკვლევების შინაარსი მეტ-ნაკლებად მიუთითებდა აღნიშნულ საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ ქართველები, ბევრ სხვა ერისგან განსხვავებით, გამოირჩეოდნენ საკუთარ ქვეყანაში კომპაქტური ცხოვრებით. 1989 წლის აღწერით საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქართველთა 95,1% საკუთარ სამშობლოში ცხოვრობდა. 1990-იან წლებში ვითარება შეიცვალა. ქართველთა გარე მიგრაციის მაღალი უარყოფითი სალდო, ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთობ აქტუალური გახდა და იგი რამდენიმე მიმართულებით შეიძლება იქნეს განხილული.

გლობალიზაციის პროცესში მცირერიცხოვანი ერის სახელმწიფოებზე ძლიერი საერთაშორისო ეკონომიკური კორპორაციების გავლენა მეტად ძლიერდება. ამ უკანასკნელთა ძირითადი ინტერესი კი, ასეთი სახელმწიფოებისგან ბაზრის (მათ შორის იაფი შრომითი რესურსების) და ზემოგების მიღებაა. მათთვის სულერთია სახელმწიფოში ავტოქტონური მოსახლეობის დემოგრაფიული ბედი.

მეორე მხრივ, საქართველოს ჩართვა გლობალიზაციის პროცესში, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, გარდაუვალია, რაც დემოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ არასახარბიელო პერსპექტივას გვიქადის. ერთი ვარიანტით, მიგრაციის კანონზომიერების შესაბამისად, გასული მოსახლეობის ადგილს შემოსული იკავებს, უწინარესად მეზობელი ქვეყნიდან. თუ მრავალეროვნულ სახელმწიფოში ავტოქტონური მოსახლეობის ბუნებრივი მატება სხვა ეროვნებებთან შედარებით დაბალია, ხოლო ემიგრაცია მაღალი, მათი წილი მთელ მოსახლეობაში მოიკლებს და, საბოლოოდ, შესაძლოა, უმცირესობაშიც კი დარჩეს.

საქართველოში არსებული ეკონომიკური დეპრესია, დეპოპულაცია, ემიგრაციის მაღალი დონე, უცხო ენების ფართოდ გავრცელება, ცალკეული რელიგიური სექტების მომრავლება და სხვა მიგვანიშნებს აშშ-ს, ჰოლანდიის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მსგავსად, სხვადასხვა რასის, ერისა და რელიგიის ასიმილირებული «ეგზოტიკური მოსახლეობის» წარმოქმნის საფრთხეზე. თავდაპირველად, ევროპის ქვეყნებს მათგან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის ემიგრაციამ, ნაკლები დემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ბუნებრივი მატების დონე დაეცა და გაძლიერდა იმიგრაცია, დღის წესრიგში ავტოქტონური მოსახლეობის დემოგრაფიული უსაფრთხოების პრობლემა დადგა.

კომუნისტური სისტემის დაშლამ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, 1990-იან წლებში თვისებრივად ახალი სახის ემიგრანტები წარმოშვა. ადრინდელისგან განსხვავებით, «ახალ ემიგრანტთა» დიდ ნაწილს უმაღლესი განათლება აქვს, ზოგიერთ მათგანს სამეცნიერო ხარისხიც კი გააჩნია. ესენი არიან ის სპეციფიკური მიგრანტები, რომელთა «ტვინი» როგორც თავის ქვეყანაში, ისე უცხოეთში

ნაკლებად სჭირდებათ, ამიტომ ისინი არასპეციალობით, შემთხვევით სამუშაოს ჯერდებიან და მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ახერხებს პროფესიით დასაქმებას.

ორივე შემთხვევაში ხდება «ტვინების» გადინება, რასაც ემიგრაციის წყაროს ქვეყნებისთვის არა მხოლოდ დროებითი, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მრავალმხრივი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

ინტენსიური ემიგრაციისა და დეპოპულაციის პირობებში საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივა სანუგეშოდ არ გამოიყურება და დღის წესრიგში, სხვა პრობლემათა გვერდით, დემოგრაფიული უსაფრთხოებაც დგას. დემოგრაფიულ საფრთხეს გარკვეულად აძლიერებს მეზობელი სახელმწიფოების მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი (აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვა). სწორედ ამ ასპექტით განვიხილავთ სამხრეთ კავკასიაში საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრობლემის ასე დაყენება სრულებითაც არაა რაიმე კავშირში რომელიმე ნაცისტურ იდეოლოგიასთან.

ჩვენზე ბევრად დიდი სახელმწიფოს_ რუსეთის დემოგრაფებმა წინა პლანზე წამოსწიეს თავიანთი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური საკითხი. ი. გუნდარევი რუსეთს მომავალში დემოგრაფიულ კატასტროფას უწინასწარმეტყველებს და არ ეთანხმება იმ დემოგრაფებს, რომლებიც თვლიან, რომ დეპოპულაცია არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისთვის და, აშშ-ის მსგავსად, ავტოქტონური მოსახლეობის შემცირების კომპენსირება სხვა ქვეყნებიდან იმიგრაციით მოხდება, რაც რუსეთისათვის მიუღებელია.

იგი მიიჩნევს, რომ აშშ ნაციის რაოდენობრივი შემცირების დანაკარგებს, მართლაც, მექანიკური მატებით ინაზღაურებს. 1910-1935წლებში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ყოველწლიური მიგრაცია 25-55%-ით უზრუნველყოფდა ამ ქვეყნის მოსახლეობის ზრდას. მათთვის (ამერიკელებისთვის_ ვ.ს.) «ნაციის» ცნება გამოიხატება ტერიტორიულ ერთიანობაში, მოქალაქეობაში, ენაში და მეურნეობის მართვაში. ისეთ ქვეყნებში კი, როგორიცაა: ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და სხვა, საზოგადოებისათვის უდიდეს ფასეულობას ეთნიკური ფესვები წარმოადგენს. აქ სხვა ხალხების წარმომადგენელთა რიცხობრივი გადამეტება ავტოქტონურ მოსახლეობაზე შესაბამისი ეთნოსის ისტორიული არენიდან გაქრობას ნიშნავს.

სავსებით ბუნებრივია, რომ სრული უფლება გვაქვს, ვილაპარაკოთ საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი ერის დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე, მით უფრო, როცა საქართველოს მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის ტემპი 1960-1990 წლებში 1,46%-დან 0,15%-მდე დაეცა, ხოლო 1993 წლიდან მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება დაიწყო (1995წელს მან 0,03% შეადგინა), რაშიც მნიშვნელოვანი როლი ემიგრაციამაც ითამაშა.

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ თურქეთის მოსახლეობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 2%-ზე ნაკლები მხოლოდ 1990 წლიდან, აზერბაიჯანში კი 1975 წლიდან გახდა. ამჟამად მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა თურქეთში (1,55%). ეს მიანიშნებს კიდევ ერთ დემოგრაფიულ საფრთხეზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში _ მუსულმანური რელიგიის მქონე მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდაზე.

ცხრილი №1 გვიჩვენებს, თუ ძირითადად რა განაპირობებს საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის ზრდის ტემპს: ბუნებრივი თუ მიგრაციული მატება. 1965 წლიდან საქართველოს, აზერბაიჯანს და თურქეთს, ხოლო 1980 წლიდან სომხეთს მიგრაციის უარყოფითი სალდო გააჩნიათ. მათგან განსხვავებით, რუსეთში ეს პროცესი 1960 წლიდან 1995 წლამდე მიმდინარეობდა, ხოლო 1995 წლიდან 1999

წლამდე მას მიგრაციის დადებითი სალდო აქვს. ნიშანდობლივია, რომ 1990-იან წლებში მიგრაციის მაღალი უარყოფითი სალდო, გარკვეულწილად დაკავშირებულია ამ ქვეყნების (თურქეთის გარდა) დამოუკიდებლობის მოპოვებასთან. კერძოდ, არაავტოქტონური მოსახლეობის საკუთარ, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებასთან.

საქართველო მიგრაციის უარყოფითი სალდოს საშუალოწლიური ზრდის ტემპით 1970-1980 და 1990-1995 წლებში (გარდა სომხეთისა, რომელსაც 1975 წლამდე დადებითი მიგრაციული სალდო ჰქონდა) აღემატებოდა ყველა მეზობელი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს და მხოლოდ 1985 და 1999 წლებში ჩამორჩებოდა ზოგიერთ მათგანს (სომხეთი, აზერბაიჯანი). მართალია, საქართველოს მსგავსად, მიგრაციის ხარჯზე თურქეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა თითქმის 35 წლის მანძილზე (1965-1999წწ.), ხოლო სომხეთის 1980 წლის შემდეგ, კლებას განიცდიდა და მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა ბუნებრივი მატების ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ მათ შორის არსებულმა როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკურ აღწარმოების განსხვავებულმა ტემპმა, მოსახლეობის და, კერძოდ, ავტოქტონური მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ცხრილი 1

საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის
საშუალო წლიური ზრდის დინამიკა 1960-1999წწ. *(პროცენტობით)*

წლები / ქვეყნები	1960წ.	1965წ.	1970წ.	1975წ.	1980წ.	1985წ.	1990წ.	1995წ.	1999წ.
საქართველო	1.46	1.23	0.90	0.50	0.80	0.86	0.15	-0.03	-0.01
აზერბაიჯანი	4.05	2.85	2.12	1.57	1.50	1.43	1.21	1.08	0.84
სომხეთი	4.06	3.15	2.34	1.84	1.45	1.35	1.68	0.34	0.14
თურქეთი	2.78	2.47	2.51	2.42	2.11	2.48	1.93	1.51	1.55
რუსეთი	0.97	0.78	0.48	0.68	0.52	0.78	-0.22	-0.22	-0.53
					მ.შ. ბუნებრივი მატების საშუალო წლიური მატების ტემპი				
საქართველო	1.41	1.25	1.14	0.97	0.77	1.01	0.86	0.15	0.01
აზერბაიჯანი	3.59	3.02	2.25	1.80	1.82	1.99	1.95	1.20	0.89
სომხეთი	3.33	2.29	1.70	1.68	1.72	1.82	1.63	0.64	0.33
თურქეთი	2.68	2.55	2.64	2.45	2.29	2.02	1.74	1.61	1.48
რუსეთი	1.59	0.83	0.59	0.59	0.49	0.52	0.23	-0.57	-0.63
					მ.შ. მიგრაციის სალდოს საშუალო წლიური ზრდის ტემპი				
საქართველო	0.05	-0.03	-0.24	-0.47	0.03	-0.15	-0.71	-0.32	-0.02
აზერბაიჯანი	0.45	-0.18	-0.13	-0.23	-0.32	-0.55	-0.75	-0.13	-0.05
სომხეთი	0.73	0.87	0.64	0.16	-0.27	-0.47	0.05	-0.30	-0.19
თურქეთი	0.10	-0.09	-0.13	-0.03	-0.19	0.46	0.19	-0.10	-0.01
რუსეთი	-0.62	-0.04	-0.12	0.09	0.03	0.18	-0.44	0.35	0.11

1975-1990 წლებში საქართველოსთან შედარებით, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს საკმაოდ მაღალი საშუალო წლიური ბუნებრივი მატება ჰქონდათ. ჩამორჩენა აღნიშნულ მეზობლებთან შემდგომაც შენარჩუნდა. რაც შეეხება რუსეთს, 1995 წლიდან ბუნებრივი მატება აქ აღარ აღინიშნება და მიმდინარეობს ინტენსიური დეპოპულაციის პროცესი.

საქართველოსთან შედარებით, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის მაღალი აღწარმოების ტემპის გამო, არაა გამორიცხული ამ ქვეყნებიდან მოსახლეობის საქართველოში იმიგრაციის ზრდა. საქართველოდან კი ჯერჯერობით კვლავაც გრძელდება გარემიგრაციული პროცესები. ამიტომ ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოება მყარად გარანტირებული არაა. სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიცაა შესაძლო «ეგზოტიკური მოსახლეობის» წარმოქმნა. ამიტომ ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სხვა პროგრამებთან ერთად, აუცილებელია უსაფრთხო დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია.

Vladimer Sulaberidze

MIGRATION AND DEMOGRAPHIC SECURITY
(Abstract)

The article discusses the role of population migration in the demographic security of the country. Regarding neighboring countries, Georgian demographic prospects in south Caucasus are discussed. On the background of intensive emigration developed within the globalization process, the danger of “Exotic population” formation is given as a result of local population decrease in the small country.

დავით აბულაძე

იმიგრაცია და იმიგრაციული პოლიტიკა საფრანგეთში

საფრანგეთი წარმოადგენს კლასიკურ იმიგრაციულ ქვეყანას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობით. ბოლო 150 წლის განმავლობაში მან მიიღო უფრო მეტი იმიგრანტი, ვიდრე რომელიმე სხვა ევროპულმა ქვეყანამ.[1]

იმიგრანტთა რაოდენობის დადგენის მცდელობას პირველად 1851 წელს ჰქონდა ადგილი. ამ წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, უცხო ქვეყნებიდან გადმოსახლებულთა რიცხვმა 381 ათასს გადააჭარბა; მათგან 33,6% ბელგიელი იყო, 16,5%_ იტალიელი, 7,9%_ ესპანელი, 6,6%_ შვეიცარიელი. იმიგრანტთა დანარჩენ ნაწილს ინგლისელები, ჰოლანდიელები, ბერძნები, პოლონელები წარმოადგენდნენ.[2]

მომდევნო აღწერების შედეგების მიხედვით იმიგრაციის ინტენსივობა აშკარად გაზრდილია. 1881 წელს იმიგრანტთა რიცხოვნობა ერთი მილიონი იყო, 1921_ 15 მლნ, 1926_ 2,4 მლნ, ხოლო 1931– 2,7 მილიონი.[3]

მეორე მსოფლიო ომამდე იმიგრაცია საფრანგეთში ძირითადად «ევროპული» წარმოშობის იყო. იმიგრაციის პროცესებს ხელს უწყობდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების მკვეთრი შემცირება სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და, აქედან გამომდინარე, გაზრდილი მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. 1930 წლისათვის იმიგრაციის ინტენსიურობით საფრანგეთმა გაუსწრო თვით აშშ-ს. ყოველ 100 ათას მცხოვრებზე საფრანგეთში მოდიოდა 550 იმიგრანტი, აშშ-ში– 492.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთში იმიგრაციული ვითარება არსებითად არ შეცვლილა. გაფართოვდა იმიგრანტთა წარმოშობის გეოგრაფიული არეალი (ჩრდილოეთი და ცენტრალური აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, აღმოსავლეთი ევროპა, თურქეთი და ა.შ.).

1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის მკვეთრი ზრდა ომისშემდგომ დაბადებულთა დიდი რიცხვის შრომის ასაკში შესვლის გამო, რომელმაც განაპირობა მთელი რიგი შემზღუდავი ღონისძიებების გატარება შრომითი იმიგრაციის წინააღმდეგ. უცხო სამუშაო ძალის დაქირავების უმეტეს პროგრამათა დახურვის მიუხედავად, 1974-1982 წლებში საფრანგეთში საშუალოწლიურად 220 ათასი იმიგრანტი შემოდიოდა.

შემდგომი გამკაცრებული პოლიტიკის პირობებში იმიგრანტთა საშუალო წლიური რიცხოვნობა 100 ათასის ფარგლებშია.[4]

იმიგრაცია საფრანგეთში ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. ეს კონტინგენტი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას წარმოადგენს. 2002 წლისათვის მან საფრანგეთის შრომისუნარიანი მოსახლეობის 7,8% შეადგინა. იმიგრანტთა 46% დასაქმებული იყო წარმოების, ხოლო დანარჩენი_ მომსახურების სფეროში. იმიგრანტები შეადგენდნენ საფრანგეთში მუშათა 12,5%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ

---

[1] Денисенко М. Б., Хараева О.А., Иммиграционная политика в Российской Федерации и странах запада, М., 2003, с. 245.

[2] Tapinos G., L'immigration etranger en France, 1946-1973, Paris, PUF, 1975.

[3] Guy le Moigne - L' immigration en France, Presses universitaires de France, Vendôme, 1995, #41088, p. 5-7.

[4] Денисенко М. Б., Хараева О.А., Иммиграционная политика в Российской Федерации и странах запада, М., 2003, с. 245.

იმიგრანტთა საკმაოდ დიდი ნაწილი (17%) დასაქმებულია მშენებლობასა და საავტომობილო მრეწველობაში (11%), ხოლო 10%_ კომერციულ სტრუქტურებსა და ხელოვნების სფეროში.[5]

დასაქმების სტრუქტურაში თავს იჩენს ეთნიკური ნიშანი. მაგალითად, იტალიელები (მათი 30%) ძირითადად დასაქმებულნი არიან სასტუმროებსა და რესტორნების ბიზნესში, ესპანელები (11,3%)_ ადმინისტრაციულ აპარატსა და კომერციულ სტრუქტურებში.[6]

მუშებს ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკელები (ალჟირელები, მაროკოელები და ა.შ.), ნაწილობრივ პორტუგალიელები წარმოადგენენ. ეს უკანასკნელნი ესპანელებთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად ინტენსიურად არიან ჩაბმულნი მომსახურების სფეროში.

იმიგრანტთა 71% კერძო სექტორშია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ იმიგრანტთა უმეტესობას (54%) ერთ წლამდე ვადით აქვს კონტრაქტი გაფორმებული დამქირავებელთან, მათ შორის ჭარბობენ აფრიკული წარმოშობის იმიგრანტები[7].

ამჟამად საფრანგეთში უმუშევრობა მეტად მაღალ დონეზეა (12%), ხოლო იმიგრანტთა შორის იგი ბევრად მეტია და 20%-ს შეადგენს. უმუშევრების წილი მაღალია მაღრიბის ქვეყნების წარმომადგენლებში (28%), თურქებში (29,3%), ცენტრალური აფრიკიდან ჩამოსულებში (26%). მათი უმუშევრობა ხანგრძლივი ხასიათისაა და ერთ წელს აღემატება (უმუშევართა 69%).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფრანგეთში იმიგრაცია ეკონომიკური ხასიათისაა და განპირობებულია წარმოშობის ქვეყანასთან შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების მოტივით. 2002 წლის მონაცემებით, მარტოხელა ფრანგი მოქალაქის საშუალო თვიური შემოსავალი 1800 ევროს უდრის, მაშინ როდესაც იმიგრანტების შემოსავალი ბევრად ნაკლებია და დიფერენცირდება ეთნიკური წარმოშობის მიხედვით. მაგალითად, ცენტრალური აფრიკიდან საფრანგეთში მიგრირებულთა შემოსავალი 1000 ევროს არ აღემატება, თურქებისა_ 1400 ევროს, მაღრიბის ქვეყნებისა_ 1300 ევროს, პორტუგალიელებისა_ 1500 ევროს.[8]

იმიგრანტთა დიდი ნაწილი მაქსიმალურად ეხმარება თავიანთ ქვეყანაში დარჩენილ ოჯახის წევრებს. საფრანგეთის ბანკის მონაცემებით, ფულად გზავნილთა მოცულობამ 2000 წელს 18 მლრდ ფრანკი შეადგინა.

იმიგრანტთა უმრავლესობა ქალაქად ცხოვრობს, აქედან ერთი მესამედი მოდის პარიზის აგლომერაციაზე, დანარჩენი_ სხვა დიდ ქალაქებზე. იმიგრანტები ძირითადად თავმოყრილნი არიან აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებში _ ილ-დე-ფრანსი, შამპან-არდენი, პიკარდი, ალზასი და ლოტარინგია.

სავსებით ბუნებრივია, რომ იმიგრანტთა საბინაო პირობები არასახარბიელოა. მათგან მხოლოდ 26% ფლობს საცხოვრებელ ფართს, ხოლო 70% ქირაობს. აფრიკელებთან შედარებით უკეთესი პირობები აქვთ თურქებსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან ჩასულებს.[9]

ადგილობრივ მკვიდრთა მსგავსად, იმიგრანტები ინტენსიური შიგა ტერიტორიული მობილურობით ხასიათდებიან. მოძრაობის მაღალი მაჩვენებლით (58%) გამოირჩევიან თურქები და იმიგრანტები მაღრიბის ქვეყნებიდან. იტალიელები

---

[5] INSEE – Les immigrés en France, Paris, 1997, p.77

[6] INSEE – Enkuête sur l'emploi de 1995 – Résultats détaillés, nº 448, 1996.

[7] www.grivo.com

[8] www.adri.fr

[9] Simon P. Les conditions de vie des immigrés : le logement, "Mouvements" nº 8, septembre, 1995.

და ესპანელები, რომლებიც წარმოადგენენ იმიგრანტთა ძველ ტალღას, ნაკლებს მოძრაობენ და ცხოვრობენ თავდაპირველი ჩასვლის დასახლებულ პუნქტებში (შესაბამისად 72% და 68%)[10].

1990-იანი წლებიდან შრომითი იმიგრაციის ინტენსიურობის ზრდასთან ერთად შეიმჩნევა პოლიტიკური იმიგრაციის ინტენსიურობის დიდი მატება, პოლიტიკური თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვის უპრეცენდენტო ზრდა. საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული გახდა 60-70-იანი წლებისათვის დამახასიათებელი ტოლერანტული პოლიტიკიდან მკაცრ შეზღუდვებზე გადასულიყო. ე.წ. დებრეს კანონის (1997) ამოქმედებით მეტად გამკაცრდა თავშესაფრის მიღების პროცედურა, რამაც თითქმის სამჯერ შეამცირა ამ კატეგორიის იმიგრანტთა რაოდენობა.

აქვე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენი თანამემამულეების მიერ პოლიტიკური თავშესაფრის ძებნას საფრანგეთში. საყოველთაოდ ცნობილია 1920-იანი წლების პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოდან, რომლის შემდეგ, მთელი 70 წლის განმავლობაში, მსგავს პროცესებს ადგილი არ ჰქონია. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისის დაწყების პერიოდიდან კვლავ აღინიშნება ჩვენი ქვეყნიდან წასული პოლიტიკური იმიგრაციის ინტენსიური მატება საფრანგეთში. 1992-2004 წლებში ამ ქვეყანაში 15 ათასმა ქართველმა ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი, რომელთაგან მხოლოდ 10% დაკმაყოფილდა.[11] ქართველი პოლიტიკური იმიგრანტების რიცხვი განსაკუთრებით 1999 წლიდან გაიზარდა. ისინი ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ რეგიონებში იმყოფებიან, რასაც მათი შემოსვლის ქვეყნების სიახლოვეც (გერმანია, ბელგია, ჰოლანდია) განაპირობებს.

1974 წლიდან საფრანგეთი ატარებს შრომითი იმიგრაციის შემზღუდავ პოლიტიკას, ვინაიდან, ძირითადად, სამუშაოს ძებნა წარმოადგენს იმიგრაციული პროცესების მიზეზს. ასეთმა პოლიტიკამ, მართალია, მნიშვნელოვნად შეამცირა იმიგრაციული ნაკადები, მაგრამ მთლიანობაში იგი მაინც ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა. მაგალითად, 1986 წელს ქვეყანაში სამუშაო ვიზით შევიდა 9867 იმიგრანტი, 1988_ 12705, 1990_ 23842, 1992_ 43537 შრომითი იმიგრანტი.[12] შემოსულთა ასეთი ზრდა იმ პერიოდისათვის მნიშვნელოვნად განპირობებული იყო 1988 წლის შევენმანის კანონით, რომელმაც მნიშვნელოვნად შეარბილა შეზღუდვები ცალკეული კატეგორიის სპეციალისტების მიმართ.

შევენმანის კანონს მოჰყვა 1992-1993 წლებში გატარებული რადიკალური, შემზღუდავი ღონისძიებები, რომლის შედეგად 1994 წელს საფრანგეთმა მიიღო 18349 უცხოელი მშრომელი, 1996 წელს_ 13106.[13]

ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საფრანგეთშიც მეტად მწვავედ დგას არალეგალური იმიგრაციის პრობლემა. არალეგალურ იმიგრანტთა რიცხვი ქვეყანაში 300 ათას კაცს აჭარბებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დანაშაულებრივი ჯგუფების მიერაა ქვეყანაში შეყვანილი. მათთვის ტრეფიკინგი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მონობის ამ თავისებურად ახალი სახის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთულია. საფრანგეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არ დაუშვას არალეგალური დასაქმება. იგი ხშირად მიმართავს ქვეყნიდან არალეგალთა გასახლებას, რაც ყოველწლიურად 20 ათას კაცს უტოლდება.

---

[10] INSEE – Recensement de la population de 1990.

[11] www.colisee.com , www.forumrefugies.org .

[12] Guy Le Moigne - L'immigration en France. Presses universitaires de France. Vendôme, 1995, №41088, p.94

[13] OMI, Omistats – Annuaire des migrations 1996.

სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ზეწოლით ქვეყანაში თანდათან მკაცრდება იმიგრაციული პოლიტიკა და ცალკეულ იმიგრანტთა ინტეგრაციის პირობები.

Davide Abouladzé

L` immigration et la politique de l`immigration en France
(Abstract)

La France est le pays classique d'immigration. Principalement, l'immigration porte le caractére économique.

Les immigrés s'occupent des travaux moins qualifiés. La plupart des immigrés envoient de l'argent dans leur pays d'origine, au bénéfice de leur famille.

La décennie dernière est remarquable par l'augmantation des flux migratoires géorgiens vers la France.

Les immigrés géorgiens évoquent surtout le motif politique. 90% des demandes d'asile sont rejetées.

მაია შამუგია

საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის მიგრაციული პროცესები მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე

XXI საუკუნის დამდეგს მსოფლიოში ყოველი 35-ე ადამიანი საერთაშორისო მიგრანტი იყო. გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო მიგრაციული პროცესები სრულიად განსხვავებული მასშტაბით მიმდინარეობს, შეიცვალა წარმომავლობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის მიგრაციული ნაკადების სიმძლავრე და მათი გეოგრაფიული მიმართულება. 2002 წელს, გაეროს შეფასებით, მსოფლიოში 175 მლნ საერთაშორისო მიგრანტი იყო. ამ მონაცემებში შედიან ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები, მაგრამ არ არის დაფიქსირებული არალეგალური მიგრანტების რაოდენობა, რომლებიც ოფიციალური აღრიცხვის მიღმა დარჩნენ. 2000 წელს, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობამ 6,057 მლრდ ადამიანს მიაღწია, საერთაშორისო მიგრანტების მაჩვენებელი 2,9%-ს შეადგენდა. პირობითად, თუ მათ ყველას ერთ ადგილზე დავასახლებთ, მაშინ ეს აღმოჩნდება მსოფლიოში მე-5 უდიდესი ქვეყანა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

1965 წელს მსოფლიოში 75 მლნ საერთაშორისო მიგრანტი იყო; 10 წლის შემდეგ_ 1975 წელს ამ მაჩვენებელმა მიაღწია 84 მლნ, 1985 წელს კი_ 105 მილიონს. 1965-1975 წლებში საერთაშორისო მიგრანტების ყოველწლიური მატების ტემპი შეადგენდა 1,16%-ს და ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მსოფლიო მოსახლეობის ყოველწლიური მატების ტემპი, რომელიც იმავე წლებში შეადგენდა 2,04%-ს. ეს სურათი შეიცვალა 1980-იანი წლებიდან, როდესაც მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპმა შემცირება დაიწყო და ყოველწლიურად 1,7% შეადგინა, საერთაშორისო მიგრაციის ტემპი კი ამ პერიოდში 2,6%-მდე გაიზარდა. 1965-2000 წლებში საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა 75 მლნ-დან 175 მლნ-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობაც 3-დან 6 მლრდ-მდე გაიზარდა. დემოგრაფიული პროგნოზებით, 2050 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობა გაიზრდება 9 მლრდ-მდე, ხოლო საერთაშორისო მიგრანტების საერთო რაოდენობა 230 მილიონს მიაღწევს (დიაგრამა 1).



ყოველწლიურად მიგრანტთა ნაკადი (annual flow of migrants) შეიძლება განისაზღვროს 5-დან 10 მლნ.-მდე ადამიანით, ამ რაოდენობაში შედიან დოკუმენტების არმქონე მიგრანტებიც. თუ ჩვენი გაანგარიშებისთვის მიგრანტთა ნაკადის ზედა ზღვარს ავიღებთ, მაშინ ის მსოფლიო მოსახლეობის ყოველწლიური მატების 1/10 შეადგენს. აღსანიშნავია, რომ აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებით, ყოველწლიურად დაახლოებით 2 მლნ-მდე ქალი და ბავშვი ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება.

მოსახლეობის მიგრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა მისი არამდგრადი და სწრაფად ცვალებადი ბუნების გამო საკმაოდ რთულია. მიგრაციის მნიშვნელოვანი ხარვეზებით აღრიცხვა ხშირად უზუსტობასა და შეუსაბამობას იწვევს მიგრანტთა საერთო რაოდენობასა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის.

დღევანდელი საქართველო მოსახლეობის მიგრაციული ვითარების თვალსაზრისით მკვეთრად გამოხატულ ქვეყანა-დონორს წარმოადგენს, რომლის ძირითად რეციპიენტ ქვეყნებად გვევლინება _ რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, გერმანია და აშშ. სამწუხაროდ, საქართველოში 2002 წელს ჩატარებული პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები არასრულია. ეს შეიძლება ითქვას შრომით ემიგრანტთა საერთო რაოდენობაზეც, რომელიც დაფიქსირებულია მხოლოდ 113 ათასი ადამიანით.

1989 წლის აღწერის შედეგად საქართველოში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 5400 ათასი ადამიანი, 2002 წლის აღწერამ მხოლოდ 4372 ათასი ადამიანი დააფიქსირა, ამ 13 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 1029 ათასი ადამიანით შემცირდა. 1989 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი შედაგენდა 40,8 ათასს კაცს, ანუ უხეში გაანგარიშებით საქართველოს მოსახლეობა 13 წლის განმავლობაში უნდა გაზრდილიყო 530 ათასი კაცით, მაშინ 2002 წლისათვის საერთო რაოდენობა იქნებოდა 5 930 ათასი კაცი და არა 4372 ათასი; ჰიპოთეტიკური გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა არა 1029 ათასი, არამედ 1559 ათასი ადამიანით, ანუ 1989-2002

წლებში საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური დემოგრაფიული დანაკარგი 120 ათასი კაცი იყო.

რადგანაც 1989-2002 წლებში საქართველოში დაეცა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (16,8‰-დან 10,7‰-მდე), გაიზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი (9,2‰-დან 10,7‰-მდე) და გარე მიგრაციულ ნაკადთა ინტენსივობა, ამან საგრძნობლად შეამცირა მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი. 2002 წელს შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სხვაობის შედეგად მიღებული ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა 0‰ შეადგინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა აღარ იზრდება და მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, ამას ემატება გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოც.

საქართველოში ამჟამად რამოდენიმე კატეგორიის მიგრანტები არიან:

I შიგა მიგრანტები:

I.1_ რომლებმაც ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად (ზვავი, მეწყერი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) დატოვეს ძველი ადგილები და სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად, ანუ ეკოლოგიური მიგრანტები;

I.2_ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ)_ 162 ათასი ადამიანი (მსოფლიოში დაახლოებით 25 მლნ იგპ);

I.3_ ლტოლვილები_ 3 751 ათასი ადამიანი (მსოფლიოში ლტოლვილების საერთო რაოდენობა 12 მლნ ადამიანს აღწევს);

II გარე მიგრაციული ნაკადები (ამ კატეგორიის მიგრანტები არანაკლები სიჭრელით გამოირჩევიან):

II.1_ საერთაშორისო შრომითი მიგრანტები, ლეგალურად თუ არალეგალურად წასულები (ტრეფიკინგის მსხვერპლნი, საზღვარგარეთ უკანონოდ გადაყვანილნი, არალეგალური მიგრანტები და სხვა);

II.2_ ტრანზიტული მიგრანტები;

II.3_ ლტოლვილები აფხაზეთიდან და სამხ.ოსეთიდან;

II.4_ საზღვარგარეთ თავშესაფრის მაძიებელი პირები (მსოფლიოში_ 614 ათასი ადამიანი).

II.5_ მეორე მსოფლიო ომის დროს დეპორტირებული ხალხები თურქი მესხები_ 300 ათასი.

თითოეული ამ კატეგორიის მიგრანტების შესახებ რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის დაზუსტებული, ან მიახლოებითი ციფრებია ცნობილი, ამიტომ საკმაოდ რთულია საერთო ტენდენციების დანახვა და მათი ანალიზის გაკეთება. ამიტომ საჭიროა შეიქმნას მოსახლეობის მიგრაციული სტატისტიკის შემცველი ერთიანი მონაცემთა ბაზა.

ამის შემდეგ უნდა დაისვას საკითხი, რომელიც მკვეთრად გააუმჯობესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას და შეცვლის მიგრაციულ ვითარებას. მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება უნდა მოხდეს გააზრებულად და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

Maya Shamugia

CURRENT HUMAN MIGRATION PROCESSES IN GEORGIA ON THE BACKGROUND OF WORLD GLOBALIZATION

(Abstract)

International migration and migration processes in Georgia are closely interwoven. In 1965-2000 the number of international migrants doubled and rose from 75 to 175 million. As there exist no procise mechanisms of migrant registration in Georgia, it is very difficult to make a general analysis. But it can be said, that after gaining independence the number of international migrants significantly increased in Georgia, which negatively influences the demographic situation in the country. In 1989-2002 Georgia lost approximately 120 thousand persons per year, which is the result of low birth rate, increased death rate and strong outbound migration flows. The above will have negative results in quite a near future and joint effort should be directed towards saving the country's future.

ქეთევან მდინარაძე

სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარი და მიგრაციის პრობლემები

წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პირობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარი. იგი არღვევს კარჩაკეტილობას, ჩნდება ტრანსნაციონალური ნაკადები და სამუშაო ძალის გადაადგილება სისტემატურ ხასიათს იღებს. შრომის საერთაშორისო ბაზარი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ნაციონალური წარმონაქმნი, სადაც თავს იყრიან უცხოური სამუშაო ძალის გამყიდველები და მყიდველები, რომლებიც მონაწილეობენ სამუშაო ძალის შერჩევის პროცესში სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის საერთაშორისო რეგულირების საზღვრებში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და სხვა პოლიტიკურმა პროცესებმა გამოიწვია სამუშაო ძალის მიგრაცია, რაც დაეტყო ამ ქვეყნების შრომის ბაზრებს. ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაკადები გაედინებოდა. ბევრმა ქვეყანამ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაკარგა. წარმოების ძირითადი დარგებიდან მიგრაციული ნაკადები მიედინება ძირითადად რუსეთში და სხვა ქვეყნებშიც. 1995 წლისათვის რუსეთში 900 ათასმა ემიგრანტმა ოფიციალურად მიიღო დევნილისა და ადგილობრივი გადაადგილებული პირის სტატუსი.

საქართველოში, დღითიდღე იზრდება არალეგალური ემიგრანტების რაოდენობა, რომლებმაც სამშობლო თავის გადარჩენის მიზნით დატოვეს. 2001 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს გარე მიგრაციის შედეგად 995 ათასი კაცი დააკლდა; აქედან რუსეთში წავიდა 670 ათასი, უკრაინაში– 40 ათასი, დანარჩენ ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში განაწილდა 50 ათასი კაცი; საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში– 235 ათასი კაცი, აქედან: საბერძნეთში– 100, გერმანიაში– 30, ჰოლანდიაში– 30, თურქეთში– 20, აშშ-ში– 15 ათასი კაცი[1].

არალეგალურ მიგრანტთა უმრავლესობა ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება. გაეროს განმარტების მიხედვით «ადამიანთა ტრეფიკინგი ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, თავშესაფრის მიცემას ძალდატანების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების გზით. ექსპლუატაციაში შედის პროსტიტუცია, სექსუალური ძალადობა, იძულებითი შრომა, კატორღული სამუშაოები ან შინაგან ორგანოთა ამოღება».

მსო-ს მონაცემებით, ტრეფიკინგის მსხვერპლ რესპოდენტთა 93,5%-მა აღნიშნა, რომ გამგზავრებამდე არ იცოდნენ, რომ შესაძლო იყო დაქვემდებარებოდნენ შრომით ექსპლუატაციას, იძულებით სექსს ან სხვა დამამცირებელ პირობებში მუშაობას.

მსო-ს მიერ გამოკითხულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თითქმის ნახევარი – (121 რესპონდენტიდან 58 ქალი რესპონდენტი) იძულებული იყო ემუშავა ღამის კლუბებში, სტრიპტიზის ბარებში ან მეძავეებად. აღნიშნულ გამოკვლევებში მითითებულია, რომ ქართველ ქალებს ყველგან აიძულებდნენ პროსტიტუციას რუსეთის, დანიისა და

[1] საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის მასალები

ისრაელის გარდა. აშშ და თურქეთი ძირითადი ქვეყნებია პროსტიტუციით დაკავებული ქართველი ქალებისათვის.

ქართველი კაცების უმრავლესობა (16 გამოკითხულიდან 12) ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად თურქეთში, საბერძნეთში, საფრანგეთში, დანიაში, გერმანიაში, პორტუგალიაში და შვეიცარიაში. მათი ბედი გაიზიარა 13-მა ქართველმა ქალმა, რომლებიც ტრეფიკერებმა გადაიყვანეს საბერძნეთში, თურქეთში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში ველებზე, საძოვრებსა და ბაღებში სამუშაოდ, ასევე კარგი ხელფასისა და ძიძებად მიმზიდველი სამუშაოს დაპირებით მოტყუებული 15 ქართველი ქალი, სინამდვილეში მონურ პირობებში აღმოჩნდა.

ტრეფიკინგის მსხვერპლ ქართველ მიგრანტთა 116 რესპონდენტიდან 96-მა განაცხადა, რომ საქართველოში მათმა დამქირავებელმა ისინი მოატყუა და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, მხოლოდ ხუთმა განაცხადა, რომ თბილისში პროსტიტუციით იყვნენ დაკავებულნი და საზღვარგარეთ იგივეს საქმიანობდნენ უფრო შეურაცხმყოფელ პირობებში.

საზღვარგარეთ თავშესაფრის მაძიებელთა შორის დიდი რაოდენობით არიან მცირეწლოვანები. 1999-2001 წლებში ნიდერლანდებში თავშესაფარი ითხოვა 601 ქართველმა, რომელთაგან 17% იყო თანმხლებ პირთა გარეშე ჩასული. ეს პროცენტული რაოდენობა 7-ჯერ აღემატება ნიდერლანდებში თავშესაფრის მაძიებელ სომეხთა პროცენტულ რაოდენობას და 9-ჯერ _ აზერბაიჯანელთა რაოდენობას.

მსო-ს მონაცემებით, ტრეფიკინგის მსხვერპლ მიგრანტთა 70%-ზე მეტმა, მიუხედავად გაუსაძლისი მდგომარეობისა, თანხმობა განაცხადა იმუშაოს ამ მონურ პირობებში. ერთმა მათგანმა დარჩენის მოტივაცია ასე ჩამოაყალიბა: «საზღვარგარეთ მონობა სჯობს, საქართველოში შიმშილს»[2].

გარდა აღნიშნულისა, «საქართველო_თურქეთი_საქართველო» მარშრუტით ინტენსიურად მგზავრობს დაახლოებით 20 ათასამდე ქანქარისებრი შრომითი მიგრანტი. მათი დაახლოებით ნახევარი თვეში 2-ჯერ მაინც ჩადის თურქეთში და მოკლე ხანში უკან ბრუნდება. სხვადასხვა გათვლებით, აგრეთვე მიგრანტთა ჯგუფების სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების, ასევე მწირი ოფიციალური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ თურქეთში ერთი დასაქმებული თვეში 80-120 აშშ დოლარს გზავნის საქართველოში. ე.ი. თურქეთში დასაქმებული საშუალოდ 20 ათასამდე საქართველოს მოქალაქე ახლობლებთან თვეში გზავნის საშუალოდ 1,6_2,4 მილიონ, წელიწადში კი – 19,2_28,8 მილიონ აშშ დოლარს. საქართველოს მოქალაქე, რომელიც სხადასხვა სახის წვრილ ბიზნესს ეწევა თურქეთში, ერთხელ ჩასვლით თვეში საშუალოდ 150 დოლარის მოგებას ღებულობს. ითვალისწინებენ, რომ ამგვარი ბიზნესით არის დაკავებული მათი საერთო რიცხვის ნახევარი – ე.ი. 10 ათასი კაცი, საიდანაც, ვარაუდობენ, რომ ამ არხით საქართველოში თვეში დაახლოებით 1,5 მლნ, წელიწადში კი 18 მილიონი აშშ დოლარი შემოდის[3].

თურქეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების ზრდას ადასტურებს «Western Union»-ის ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი. საქართველოდან სხვადასხვა ქვეყანაში წასული ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თუ გამოგზავნილი

---

[2] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მასალები თრეპიქინგის შესახებ, თბ., 2001.

[3] პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მასალა: «თურქეთის რესპუბლიკის საფინანსო კრიზისი და მისი მოსალოდნელი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე», თბ., 2001. გვ. 43-44

თანხების ზუსტი აღრიცხვა არც ერთ უწყებას არ გააჩნია. იგი მიახლოებით, ვარაუდით გამოითვლება.

საქართველოში საქონლის ექსპორტიდან, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2000 წელს შემოვიდა 380 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ემიგრანტთა ტრანსფერტები დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარია[4].

საქართველოდან ემიგრანტთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. 2002 წლის მარტის მდგომარეობით იგი შეადგენს 144,5 ათას კაცს. საზღვარგარეთ მყოფთა დაახლოებით 80% 20-50 წლამდეა. შეინიშნება მიგრაციის პროცესში ახალგაზრდების ინტენსიურად ჩაბმის ტენდენცია. ამავე პერიოდის მონაცემებით ემიგრანტთა საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა 1-დან 3 წლამდე 24,3%-ია, ხოლო 3 წელზე მეტი ხნით 45,3%. არასახარბიელოა საზღვარგარეთ წასვლის პროგნოზებიც, რომლის მიხედვით საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა რაოდენობა არ კლებულობს. 2002 წლის მარტისათვის 103,4 ათასმა კაცმა საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლის სურვილი დააფიქსირა[5]. ეს ცუდი ტენდენციაა. საზღვარგარეთ წამსვლელთა უმრავლესობა უმუშევრობასა და გაჭირვებას გაურბის, თუმცა არც საზღვარგარეთ აქვთ გარანტირებული სამუშაო და ცხოვრების ნორმალური პირობები. ყოველივე ეს მიუთითებს ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. სანამ ქვეყანაში არ იქნება აღორძინებული ადგილობრივი წარმოება, არ შეიქმნება ეფექტიანი სამუშაო ადგილები, ზემოთ მოცემული არასახარბიელო მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდება.

ემიგრანტთა ნაკადიდან თავისი ეკონომიკისათვის საჭირო მომუშავეების მიღებისთვის ყველა სახელმწიფო არეგულირებს შრომით მიგრაციას. ამ მიზნით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში შექმნილია დაწესებულებები, რომელთაც ევალებათ იმ პრობლემების გადაჭრა, რომელიც დაკავშირებულია უცხოელი სამუშაო ძალის გადაადგილებასთან. აშშ-ში ამ საკითხებზე მუშაობს მრავალი ფედერალური ორგანო. სახელმწიფო ბიუროები არეგულირებენ სამგზავრო ვიზების წარდგენას, მათ გაცემას. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროში არსებობს მიგრაციის სამსახური, რომელიც აკონტროლებს სამართლებრივ რეჟიმს, ახდენს ემიგრანტთა დაკავებას თუ ისინი არღვევენ აშშ-ის მოქმედ კანონმდებლობას. შრომის სამინისტრო განსაზღვრავს ხომ არ წარმოადგენს ემიგრანტი ამერიკისათვის ტვირთს, ხომ არ დაიკავებს იგი ამერიკელის სამუშაო ადგილს. ამ გარემოებების გათვალისწინებით საიმიგრაციო სამსახური აძლევს ნებართვას ემიგრანტს იცხოვროს აშშ-ში. ასეთი სამსახურები არსებობს გერმანიაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში, ირლანდიაში, პოლონეთში, თურქეთში და სხვა.

შრომით მიგრაციის რეგულირების მიზნით საქართველოში მნიშვნელოვანი არაფერი კეთდება. ეს მაშინ, როდესაც სოფლები დაცარიელდა, დედაქალაქი კი გადაიტვირთა, დაკარგა თავისი სახე, ქვეყანა ყოველწლიურად კარგავს ასობით და ათასობით ადამიანს, რომელთა უმრავლესობა უცხო ქვეყანაში ეძებს ფიზიკური გადარჩენის საშუალებას. ამ პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

---

[4] იქვე, გვ. 43-44

[5] სსსდ, მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი, თბ., 2002. გვ.55.

Ketevan Mdinaradze

INTERNATIONAL LABOR MARKET AND MIGRATION PROBLEMS
(Abstract)

By means of gradual merging of international labor markets, when legal, economic, national and cultural limits are ultimately erased, unemployment is to some extent regulated by the international labor markrket.

Due to migration many Post-Socialist countries have been deprived of high-qualified specialists. The number of emigrants in Georgia is increasing on a daily basis.

By the data of January of 2001, 995 thousand people migrated from Georgia.

Almost half of currency income in Georgia fall to emigrants' transfers. The desire of going abroad for life, expressed by 103.4 thousand people in March of 2002 is worth considering. Most of those wishing to emigrate try to avoid unemployment or hardship. This severe problem falls within the state's competence.

მანანა ჭიპაშვილი

შრომითი ემიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამუშაო ძალის რაოდენობაზე, ხარისხსა და სტრუქტურაზე. გარდამავალ პერიოდში საქართველოში კრიტიკულ ზღვრამდე დაეცა ცხოვრების დონე და მოსახლეობის ფიზიკური არსებობაც კი გაჭირდა. არნახულად გაიზარდა უმუშევრობის მასშტაბები. ასეთ ვითარებაში საქართველოს მოსახლეობის აქტიურმა ნაწილმა გამოსავალი სხვა ქვეყნებში დასაქმებაში იპოვა და, შეძლებისდაგვარად, შრომით ემიგრაციაში წავიდა.

ჩვენი მონაწილეობით შრომითი ემიგრაციის პრობლემების შესასწავლად თბილისში ანამნესტიკური მეთოდით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით საქართველოდან ყველა ქვეყანაში ემიგრირებულთა შორის ნათლად იკვეთება შრომით ემიგრანტთა ნაკადში 21-40 წლის ასაკობრივი კონტინგენტის სიჭარბე (ცხრილი 1). ამის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება მოსახლეობის ეკონომიკური და დემოგრაფიული დატვირთვა, რაც აუარესებს მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის დამდეგს წინა საუკუნის 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების მასშტაბები, პირველ რიგში, საქართველოსა და თანამეგობრობის ქვეყნებს (განსაკუთრებით რუსეთს) შორის. ეს განაპირობა პოსტსაბჭოთა სივრცეში მდგომარეობის გარკვეულმა ნორმალიზაციამ, ძირითადად ეთნიკური მიგრაციის პოტენციალის ამოწურვამ. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ემიგრირებულ ნაკადთა ინტენსივობის შენელებას, იგი გამოწვეულია, პირველ რიგში, ამ ქვეყნებში იმიგრაციის შეზღუდვებით, ასევე, ახალ საცხოვრებელ ადგილას იმიგრანტთა შრომითი და ყოფითი ადაპტაციის პროცესის გართულებით.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა შრომითი ემიგრაციული ნაკადების პროფესიული სტრუქტურისა და საქმიანობის ტიპების შეჯერება-ანალიზი. როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, უცხოეთში სამუშაოდ წასულთა შორის დომინირებენ ეკონომისტები, ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები და იურისტები, ე.ი. უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. ემიგრანტთა ამგვარი სტრუქტურა სავსებით კანონზომიერია, რადგანაც ჩვენში დასაქმების სფერო, პირველ რიგში, ამ კატეგორიის სამუშაო ძალისთვისაა შეზღუდული.

ცხრილი 2

სხვადასხვა ქვეყნებში შრომით ემიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურა
(პროცენტობით ჯამის მიმართ)

ასაკობრივი ჯგუფი / ქვეყანა	16 წლამდე	16-20 წ.	21-30 წ.	31-40 წ.	41-50 წ.	51-60 წ.	60-ზე მეტი	სულ
რუსეთი	2,5	5,8	19,8	34,7	22,3	9,9	5,0	100
აშშ	-	9,4	34,0	23,6	24,5	7,6	0,9	100
გერმანია	-	14,3	55,8	22,1	3,9	3,9	-	100
საბერძნეთი	-	5,8	26,9	30,8	19,2	11,5	5,8	100
ისრაელი	-	15,4	23,0	30,8	7,7	15,4	7,7	100
ესპანეთი	-	-	20,0	60,0	20,0	-	-	100
საფრანგეთი	-	12,5	37,5	37,5	12,5	-	-	100
ბენილუქსის ქვეყნები	-	7,7	53,8	15,4	7,7	15,4	-	100
ინგლისი	-	21,1	26,3	36,8	15,8	-	-	100
უკრაინა	-	-	50,0	33,3	16,7	-	-	100
კვიპროსი	-	20,0	-	-	80,0	-	-	100
თურქეთი	-	11,1	11,1	22,2	22,2	11,1	22,2	100
სხვა	-	10,7	25,0	39,3	17,9	-	-	100

აღნიშნული მაღალკვალიფიციური კონტინგენტი ემიგრაციის ქვეყნებში უმთავრესად დაბალკვალიფიციურ, საკმაოდ მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე დასაქმებას თუ ახერხებს (ცხრილი 2). შრომით ემიგრანტთა შორის თანაბარია უმუშევართა და სტუდენტთა ხვედრითი წონები. ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ ნახევარი ახერხებს სწავლის გაგრძელებას და სწავლას მუშაობასაც უთავსებს. შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ მიგრირებულთა გარკვეული ნაწილი ემიგრაციაშიც ვერ ახერხებს რაიმე სამუშაოს შოვნას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებულმა უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ, რასაც თან ერთვის საერთაშორისო შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკურობაც, განაპირობა ქალთა შრომითი ემიგრაციის მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა. ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, ემიგრანტთა ნაკადში ქალების წილი 35,3%-ია. მათი დაახლოებით ორი მესამედი მუშაობს ძიძად, მომვლელად ან შინამოსამსახურედ, 12,3%_ გამყიდველი ან ოფიციანტია, მხოლოდ მცირე ნაწილია თავისი სპეციალობით მომუშავე (10,4%), მაშინ როცა სამუშაოდ წასულ ქალთა კონტინგენტის ნახევარზე მეტი (53,8%) უმაღლესი განათლების სპეციალისტია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყანაში (აშშ, საბერძნეთი, გერმანია და სხვა) საცხოვრებლის დაქირავება საკმაოდ ძვირადღირებული «სიამოვნებაა», ბუნებრივია, ქალთა უმრავლესობაც ბინის პრობლემის გადასაჭრელად იოლ გზას მიმართავს და უპირატესობას სწორედ ასეთი დაბალკვალიფიციური სამუშაოს შესრულებას ანიჭებს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ორმხრივი ინტერესი შედარებით შეხამებულია.

ნიშანდობლივია, რომ ემიგრანტ ქალთა თბილისში დარჩენილი ოჯახის წევრები განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან საკუთარი ახლობლების საზღვარგარეთ

ყოფნას, თუმცა მომავალს იმედის თვალით შესცქერიან. მათი აზრით, ქალთა 70,8% აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში საცხოვრებლად. არავითარ შემთხვევაში აღარ დაბრუნდება უკან მათი მხოლოდ 3,8% (უმთავრესად არაქართველი ეროვნების ქალები).

შეიძლება ითქვას, რომ 1990-ან წლებში საქართველოდან სხვა ქვეყნებში საშოვარზე წასვლის მასშტაბების კარდინალურმა ზრდამ კიდევ უფრო დაამძიმა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ამგვარი ვითარება, მიგრანტთა პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმებასთან და ზემოაღნიშნულ სხვა სირთულეებთან ერთად, ვლინდება ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით დისკრიმინაციულ შრომის ანაზღაურებაში, ასევე არალეგალური ემიგრაციისათვის დამახასიათებელ უამრავ სხვა პრობლემაშიც. ნათქვამი დასტურდება არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა მკვლევართა მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებითაც, რაც, ჩვენი აზრით, შრომით ემიგრანტთა ემიგრაციის ქვეყნებში სამუდამოდ დარჩენის ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

უდავოა, რომ შრომითმა ემიგრაციამ საქართველოსათვის უარყოფითთან ერთად დადებითი შედეგი, გამოიღო. კერძოდ: შემცირდა ზეწოლა ეროვნულ შრომის ბაზარზე; მოიკლო უმუშევრობის მასშტაბებმა და მისთვის დამახასიათებელმა ნეგატიურმა სოციალურმა შედეგებმა; საზღვარგარეთ წასული კონტინგენტის დიდმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დადებითად იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზე; სამუშაო ძალის ექსპორტის საფასურით ბოლო ათწლეულის მანძილზე თითქმის იფარება ქვეყნის საგარეო-სავაჭრო დეფიციტი და ა.შ.

ცხრილი 2

შრომით ემიგრანტთა განაწილება საქმიანობის ტიპის მიხედვით
(პროცენტობით ჯამის მიმართ)

საქმიანობის ტიპი	საქართველოდან წასვლამდე	საქართველოდან წასვლის შემდეგ
ბიზნესმენი	5,2	13,3
მუშა, მოსამსახურე, ძიძა, მომვლელი	9,6	53,4
სტუდენტი	26,2	13,1
ვაჭრობის სფეროს მუშაკი	3,2	5,0
მეცნიერ-მუშაკი	3,2	1,1
პედაგოგი	6,7	-
ინჟინერი	4,0	0,5
ეკონომისტ-ბუღალტერი	2,5	0,9
ექიმი	2,7	1,4
სახელმწიფო მოხელე	5,7	-
უმუშევარი	26,2	4,1
სხვა	4,8	7,2
სულ	100	100

ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ემიგრანტთა თბილისში დარჩენილ ოჯახთა საკმაო ნაწილს საერთოდ არ გააჩნია არავითარი შემოსავალი და ისინი ფინანსურად მთლიანად დამოკიდებულნი არიან საშოვარზე წასული ოჯახის წევრების ფულად გზავნილებზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ შრომით ემიგრანტთა

გარკვეული ნაწილის შემოსავალი ბევრად ჩამორჩება რეციპიენტ ქვეყნებში არსებულ საარსებო მინიმუმს. მათ 7,3%-ს 200 აშშ დოლარამდე აქვთ თვიური შემოსავალი (ცხრილი 3). ცხადია, ამ კონტინგენტს თავის შენახვა ძალიან უჭირს და ოჯახსაც ვერაფრით ეხმარება.

ემიგრანტთა უმრავლესობა ჩვენს ქვეყანაში არსებულ ხელფასებთან შედარებით საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა მეოთხედმა არ მიუთითა ემიგრანტთა თვიური შემოსავლის ოდენობა, ძირითადად, ამ მხრივ ნაკლები ინფორმირებულობის გამო.

ცხრილი 3

შრომით ემიგრანტთა განაწილება შემოსავლებისა
და გზავნილების მიხედვით
(პროცენტობით ჯამის მიმართ)

შემოსავლის განაწილება / თანხა აშშ დოლარებში	შემოსავალი სულ	უგზავნის ოჯახს
100 დოლარამდე	1,3	8,0
101 – 200	6,0	22,1
201 – 500	15,6	19,2
501 – 1000	22,1	6,7
1000 – ის ზევით	29,7	2,7
არ მიუთითა	25,2	11,4
არ უგზავნის ოჯახს	-	29,9
სულ	100	100

აღსანიშნავია, რომ შრომით ემიგრანტებს მიღებული შემოსავლის ძირითადი ნაწილი დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების სიძვირის გამო, ადგილზე ეხარჯებათ და ოჯახს მხოლოდ მცირე ნაწილს უგზავნიან. სამწუხაროდ, რესპოდენტთა 11,4%-მა გამოკითხვისადმი უნდობლობისა და თუ გარკვეული შიშის გამო არ მიუთითა ოჯახში საზღვარგარეთიდან ყოველთვიურად მიღებული თანხების ოდენობა, ხოლო თითქმის 30%-მა აღნიშნა, რომ არ ღებულობს არავითარ გზავნილს ემიგრირებული ოჯახის წევრისაგან.

ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე სავარაუდო გაანგარიშებით დადგინდა რომ ერთი თბილისელი ემიგრანტის საშუალო თვიური გზავნილი ოჯახში შეადგენს დაახლოებით 340 აშშ დოლარს, რაც წლიურად თითქმის 4000 დოლარის ექვივალენტურია. თ. გუგუშვილის გაანგარიშებით, შრომითი ემიგრაციისაგან საქართველოში შემოდის წლიურად 720 მლნ აშშ დოლარი[1], ხოლო რ. გაჩეჩილაძის გაანგარიშებით – მინიმუმ 400 მლნ დოლარი[2]. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობისა და ეკონომიკური განათლების ასოციაციის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად შემოდის 480-500 მლნ აშშ დოლარი[3]. ამას კი დიდი

[1] თ. გუგუშვილი, საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, თბ., 1998, გვ.128

[2] რ. გაჩეჩილაძე, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბ., 1998, გვ.60

[3] შრომითი მიგრაცია საქართველოდან, მსო, თბ., 2003. გვ.61

მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

Manana Chipashvili

SOCIAL-ECONOMIC ASPECTS OF LABOR EMIGRATION IN GEORGIA

(Abstract)

The economic collapse in Georgia caused substantial worsening of the living standards and the increase in the poverty level and depth. Therefore, the outbound migration potential of the Georgian population has considerably expanded. According to the latest data of State Department for Statistics of Georgia, the population of Georgia reduced by 827,9 thousand in 1993 – 2002.

Labour emigration causes a lot of negative results along with the posotive ones. The impact of both permanent and labour migration on the demographic potential of Georgia is extremely negative. It provokes the expansion of economic and demographic loading of the population. Employment of labour emigrants abroad from the viewpoint of professional qualification is often extremely discriminative. The positive effect of labour emigration for Georgia is the reduction of unemployment scale and the negative social results characteristic to it. The most important thing is that the labour emigrant remittances have saved a lot of Georgian citizens from physical destruction.

შორენა გუჩაშვილი

კახეთის მხარის მოსახლეობის მიგრაცია

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყანაში მიგრაციის გაძლიერება განაპირობა. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, უმუშევრობის ზრდამ, ცხოვრების დონის დაცემამ, შრომის ანაზღაურების დაბალმა დონემ გავლენა იქონია მოსახლეობის შიგა და გარე მიგრაციის ინტენსივობაზე. მეტად პრობლემატურია მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის გააქტიურება, მიმართულებანი და შედეგები როგორც მთელ ქვეყანაში, ისე მის ცალკეულ რეგიონებში. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს მიგრაციული პროცესები კახეთის მხარეში, რასაც ამ სტატიაში ვეხებით.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ბოლო ათწლეულში საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა 1169,9 ათასმა კაცმა, ანუ მთელი ქვეყნის მოსახლეობის 21,5%-მა. კახეთის მხარეში კი მიგრირებულთა რიცხოვნობამ 105,9 ათასი კაცი შეადგინა, რაც მხარის მოსახლეობის 24%-ია. მათგან მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადაადგილდა 35,3 ათასი კაცი ანუ 33,4%, დანარჩენი გადავიდა ქვეყნის რეგიონებში.

კახეთის მხარის მოსახლეობის შიგა მიგრაციულ მოძრაობაში გამოიკვეთა ორი რეგიონი: ქ. თბილისი და ქვემო ქართლი. კახეთის მხარიდან გასულია და ამჟამად ამ რეგიონში ცხოვრობს შესაბამისად 48,6 და 16,0 ათასი კაცი, ანუ სულ გასულთა 45,9% და 15,1%. ხოლო ჩამოსულებიდან ქ. თბილისზე მოდის _ 27,9%, ქვემო ქართლზე _ 6,4%. წასულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება ჩამოსულებს, რაც საბოლოოდ განაპირობებს უარყოფით მიგრაციულ სალდოს. ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან კი კახეთის მხარეს დადებითი სალდო აქვს შენარჩუნებული. სულ კი შიგა მიგრაციით მხარეს, აღნიშნულ პერიოდში, 29 670 კაცი დააკლდა.

კახეთისა და ქვემო ქართლის მხარეებს შორის მოსახლეობის მიგრაციულ მიმოცვლას ხელს უწყობს ეთნიკური ფაქტორი. ქვემო ქართლიდან, სადაც მოსახლეობის 45% აზერბაიჯანელია, მიგრაციული ნაკადი კახეთის მხარეში ძირითადად მიმართულია იმ რაიონებისაკენ, სადაც მეტია ამ ეროვნების მოსახლეობა. ქვემო ქართლიდან ჩამოსულთა 24,2% ლაგოდეხის რაიონზე მოდის, 19,6% _ საგარეჯოს რაიონზე. აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობის წილი შესაბამისად 22,3% და 31,9%-ია.

სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადაადგილებას, რაც გამოიხატა კახეთის მხარიდან ქ. თბილისში მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობით, იწვევს სოფლად არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები: დასაქმების შეუძლებლობა, ცუდი საყოფაცხოვრებო-კულტურული პირობები, ცხოვრების დონის მკვეთრი სხვაობა ქალაქთან შედარებით და ა.შ. ამ საკითხების გადაჭრა, მატერიალური და კულტურული დონის გათანაბრება სოფელსა და ქალაქს შორის, შეამცირებს ქალაქად მიგრაციას და ხელს შეუწყობს სოფელში მოსახლეობის დაბრუნებას.

საქართველოში, ბოლო პერიოდში, მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინტენსიური ემიგრაცია, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, ქვეყნიდან ემიგრირებულთა რიცხოვნობამ 113 726 კაცი შეადგინა. ექსპერტთა შეფასებებით იგი უფრო მეტია. ემიგრაციის თაობაზე ინფორმაცია არასრულია. აღწერების დროს გამოკითხული ოჯახის წევრები ხშირად არ ამჟღავნებენ მათი ოჯახის

წევრის ემიგრაციაში ყოფნას, ფიქრობენ, რომ ამით მათ პრობლემას შეუქმნიან, რადგან ბევრი მათგანი არალეგალური ემიგრანტია. ასევე, არის შემთხვევები, როცა ქვეყანა დატოვა მთელმა ოჯახმა და მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება ზოგჯერ ვერ ხერხდება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არაქართველია (რუსები, ბერძნები, უკრაინელები და სხვა), რომლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ ეთნიკურ სამშობლოს. მიგრაციის სტატისტიკა, რომელიც ამჟამად არის, მაინც გვაძლევს წარმოდგენას მიგრაციული პროცესების შესახებ. მის საფუძველზე ვლინდება, რომ საქართველოდან ემიგრირებულთა 78,4% ემიგრაციის მიზეზად ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ასახელებს.[1] ისინი, ფაქტობრივად, შრომითი ემიგრანტები არიან.

შრომითი ემიგრაციის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად მხარეში ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა. კვლევის ობიექტად შეირჩა საგარეჯოს რაიონი. გამოიკითხა შრომით ემიგრანტთა ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებიც მეტად იყვნენ ინფორმირებული შრომით ემიგრანტთა საზღვარგარეთ საქმიანობის შესახებ, სულ 213 რესპოდენტი.

შრომის ემიგრანტთა სტრუქტურაში ძირითადად დომინირებს ორი ასაკობრივი ჯგუფის კონტინგენტი: 31-35 წწ. (18,4%) და 26-30წწ. (17,8%). ქალთა წილი ემიგრანტებში 48,8%-ია. მათი მიგრაციული აქტივობა კახეთის მხარის მოსახლეობაში შიგა მიგრაციული პროცესების დროსაც გამოვლინდა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, მათი რიცხოვნება 1,9-ჯერ აღემატება მამაკაცების რიცხოვნობას (ნაწილობრივ ეს განპირობებულია ქორწინებითი მიგრაციით). კახეთის მხარის შიგა მიგრანტებში 65,8% ქალია, 34,2% _ მამაკაცი.

ემიგრაციის ქვეყნების არეალი ამჟამად საკმაოდ ფართოა. თავდაპირველად, შრომით ემიგრანტთა გადინება ძირითადად მეზობელ ქვეყნებში _ რუსეთსა და თურქეთში ხდებოდა. ამჟამად კი, კვლევის მიხედვით, შრომით ემიგრანტთა 31,9% საბერძნეთში იმყოფება, 26,8% _ რუსეთის ფედერაციაში, 11,3% _ გერმანიაში, 6,6% _ აშშ-სა და საფრანგეთში და ა.შ. (ცხრილი 1).

ცხრილი 1[2]

შრომითი ემიგრანტთა განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით *(პროცენტობით ჯამთან)*

ქვეყანა	რუსეთის ფედერაცია	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	თურქეთი	საფრანგეთი	ესპანეთი	ბელგია	უკრაინა	სხვა ქვეყნები	სულ
შრომითი ემიგრანტები საგარეჯოს რაიონიდან	26,8	31,9	11,3	6,6	3,8	6,6	2,8	1,4	0,9	7,9	100

[1] მოსახლეობის მიგრაცია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთა აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი II, თბ., სსსდ, 2004, გვ. 147.

[2] ცხრილი შედგენილია კვლევის მასალების მიხედვით.

დასაქმების უკეთესი პირობების გამო გახშირდა ევროპის ქვეყნებში ემიგრანტთა გადინება. ხოლო რუსეთთან მიმართებაში კი კვლავ მნიშვნელოვანია ადრე განვითარებული მრავალმხრივი კავშირები, რაც ხელისშემწყობი პირობაა ამ ქვეყანაში წასვლისა და იქ შრომითი მოწყობისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთლიანად ქვეყნიდან და ასევე, კახეთის მხარიდან, ემიგრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ფედერაციაზე მოდის (ცხრილი 2).

თანამედროვე ეტაპზე, მიგრაციამ თანდათან ოჯახური ხასიათი მიიღო. ემიგრაციაში მყოფნი თავისი ოჯახის წევრებს ეხმარებიან უცხო ქვეყანაში ჩასვლაში და იქ სამუშაოს შოვნაში.

საზღვარგარეთ შრომით ემიგრაციაში წასვლაში ემიგრანტთა უდიდეს ნაწილს დაეხმარა ნათესავი, მეგობარი, ახლობელი (80,3%), მუშახელის შემკრებმა ორგანიზაციამ გაგზავნა 5,6%, დანარჩენმა კი წასვლა სხვა გზით მოახერხა (წავიდა ტურისტად, სხვა სტატუსით და სხვა).

ცხრილი 2[3]

ემიგრანტთა განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით *(პროცენტობით ჯამთან)*

ქვეყანა / ემიგ-რანტები	რუსეთის ფედერაცია	საბერძნე-თი	გერმანია	აშშ	თურქეთი	საფრანგე-თი	ესპანეთი	ბელგია	უკრაინა	სხვა ქვეყანები	სულ
კახეთის მხარიდან	69,1	16,0	4,6	2,3	1,2	0,4	1,0	0,4	1,4	3,6	100
საქართველო-დან	64,1	16,2	4,3	3,8	1,3	0,6	0,8	0,5	1,8	6,6	100

დასმულ კითხვაზე: _»როგორ შეეგუა იქაურ გარემოს?»_ რესპოდენტთა უმრავლესობამ (77,9%) დადებითი პასუხი გაგვცა, 18,8%-ს გაუჭირდა შეგუება, ოჯახის, ნათესავებისა და ნაცნობების გარეშე ცხოვრება, 3,3% კი საერთოდ ვერ ეგუება სამშობლოდან მოშორებას.

შრომითი ემიგრანტები ძირითადად დაქირავებულ ბინაში ცხოვრობენ: 23,0%-ს ცალკე აქვს დაქირავებული ბინა, 32,4%-ს მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე 22,1% მუშაობის ადგილას ცხოვრობს, 5,6%-მა მოახერხა საკუთარი ბინის შეძენა, დანარჩენი კი საერთო საცხოვრებელში და სასტუმროში ცხოვრობს.

გარდა იმისა, რომ გარე მიგრაცია იწვევს ქვეყანაში მოსახლეობისა და შრომითი რესურსების რიცხოვნობის შემცირებას, იგი აუარესებს სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, მოქმედებს ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელთა დინამიკაზე და ა.შ. მისი ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა, აგრეთვე, ქვეყანაში განათლების პოტენციალის კლება. კვლევის მიხედვით, შრომით ემიგრანტთა 70,4%-ს მიღებული აქვს პროფესიული განათლება, მათ შორის 39%-ს _ უმაღლესი.

შრომით ემიგრანტთა შორის ჭარბობენ: ინჟინრები (19,2), მძღოლები (14,7%), მასწავლებლები (13,0%), ეკონომისტები (9,6%). შევნიშნავთ, რომ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ TACIS-ს პროგრამით 2000-2001

[3] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით.

წლებში ჩატარებული გარე მიგრაციის შერჩევითი გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიგრანტებს შორის უფრო მეტია აღნიშნული პროფესიის მქონეთა წილი: ინჟინრების_ 13,3%, პედეგოგების_ 10,4%, ეკონომისტების_ 8,4%.[4]

ემიგრაციის ქვეყანაში თავისი სპეციალობით მუშაობს ემიგრანტთა 17,8% (ექიმი, ექთანი_ 5,2%, მძღოლი_ 6,6%, მექანიკოსი_ 3,7%, ეკონომისტი_ 2,3%), დანარჩენები ვერ ახერხებენ პროფესიული ნიშნით დასაქმებას. ისინი მუშაობენ მომვლელად ან ოჯახში დამხმარედ (29,1%), მუშად (28,2%), კომერციულ საქმიანობას ეწევა 13,6%, 11,3% კი სხვა სფეროშია დასაქმებული.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტები თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო საქმიანობას ეწევიან, საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ ჩვენს ქვეყანაში არსებულ ხელფასებთან შედარებით. ემიგრანტთა 83,1% ფულადი გზავნილებით ეხმარება ოჯახს, ისინი სამუშაოდ თვეში 150 აშშ დოლარს აგზავნიან, რასაც ძირითადად ფოსტის საშუალებით ახდენენ (60,6%). ფულადი გზავნილები არა მარტო მრავალი ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა, არამედ ზოგჯერ ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების საფუძველიც ხდება.

მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად დაიწყება რეემიგრაციის პროცესი. რესპოდენტთა 69,1% აღნიშნავს, რომ შრომითი ემიგრანტები აუცილებლად დაბრუნდებიან სამშობლოში, 23,9%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 7%-ს უარყოფითი პასუხი გააჩნია. სავარაუდოა, რომ ემიგრაციის ქვეყნებში უფრო მეტად დარჩება არაქართველი მოსახლეობა, იმ ქვეყნების ეთნიკური მოსახლეობა. ჩვენი გამოკვლევით, ემიგრანტთა 93,4% ქართველია, 6,6% კი _ არაქართველი (3,3%_ რუსი, 1,4%_ ოსი, 1,4%_ ქურთი, 0,5%_ ბერძენი).

ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად შესძლებს ქვეყანა იმ მიზეზების აღმოფხვრას, რამაც განაპირობა გარე შრომითი მიგრაციის მასშტაბები. ჩვენს მიერ შესწავლილი კონტინგენტის 48,4%-ის ემიგრირების მიზეზი სამუშაოს უქონლობაა, 31,9%-ის _ მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი, 19,7%-მა კი ოჯახის ფიზიკური გადარჩენა აღნიშნა. დაბრუნების მოტივებად ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებსა და პირობებს ასახელებენ. აუცილებელია უფრო ქმედითი ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელება, რაშიც აქტიურად უნდა იქნეს ჩართული გარე დახმარებები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელთაც ქვეყნიდან არარაციონალური ემიგრაცია შეუძლიათ.[5]

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა გამოიწვევს ემიგრაციის მასშტაბის კლებას, მაგრამ შრომითი ემიგრაცია მომვალში გარკვეულწილად მაინც შენარჩუნდება, ამიტომ საჭიროა მისი მართვის ცივილიზებული სისტემის, სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება, აგრეთვე, საზღვარგარეთ ჩვენი ემიგრანტების უფლებების დაცვის სრულყოფა.

---

[4] მიგრაციის სტატისტიკა. თბ., საქ. სტატ. სახ. დეპარტ., 2002 (ცხრილი 10).

[5] Цапенко И., От иммиграционного контроля к управлению миграционными процессами, Жур. "Мировая экономика международные отношения," 2001, №10. стр. 23-24.

Shorena Guchashvili

POPULATION MIGRATION IN KAKHETI REGION

(Abstract)

Social, economic and political processes of the transitional period let to intensification of migration processes in the country. According to 2002 population census data 105,9 thousand people changed their permanent residence in Kakheti region in the last decade. That amounts 24,0% of the region population. Within the administrative boundaries of the region 35,3 thousand people migrated i.e. 33,4%, the rest moved to other parts of the country.

In the internal migration in Kakheti two regions may be distinguished: Tbilisi and Kvemo Kartli. The region has a negative migration balance in their regard, though it is positive with other regions. Kakheti lost 29670 people totally as a result internal migration.

In the migration processes intensive labour emigration abroad deserves a particular attention. With regard to it a sociological research was conducted in Kakheti. Sagarejo district was selected as an object. The research showed that dominant in the age structure of labour emigrants is 31-35 (18,4%) and 26-30 (17,8%) age contingent. The ratio of women in emigration is 48,8%.

The main flow of labour emigrants is directed towards Greece (31,9%) and Russian Federation (26,4%). 11,3 % lives in Germany, 6,6% - in the USA, 6,6% - in France, etc.

70,4% of labour emigrants has professional education, 39,0% of them are with higher education. Engineers (19,2%), drivers (14,7%), teachers(13,0%), economists (9,6%) prevail among emigrants. Only 17,8% works by the profession in the recipient countries, the rest are not employed in their profession. Nevertheless, they get considerably higher salaries here that the average salary in the country. 83,1% of emigrants support their families by remittances, which is not only a financial source of existence, but also it becomes a basis for small business development in our country.

It is likely that the process of return migration will start together with economic rise of the country. However, labour emigration will be maintained in future to some extent. Therefore the legislative basis is needed to protect the rights of our emigrants abroad and manage these processes.

Масленкова Е. В.

ПРОБЛЕМЫ БЕЗВОЗВРАТНОЙ МИГРАЦИИ МОЛОДЕЖИ В РЕСПУБЛИКЕ БЕЛАРУСЬ

Во многих странах мира сегодня широкое распространение получила практика привлечения молодежи из других государств для выполнения определенных видов работ (как правило, сезонных) в рамках различных международных культурно-образовательных программ. В большинстве своем, в этих программах принимают участие студенты высших и средних специальных учебных заведений, а также молодежь, имеющая рабочие специальности (выпускники колледжей и ПТУ). К таким программам можно отнести Work&Travel, Traince, Internships, Au Pair, Work Experience и др.

Как показал анализ, за последние годы резко выросло число участников подобных программ из Беларуси. Если в 1999 г. в США для временной работы по контракту выехали 105 чел., то в 2000 г. – 1438 чел., в 2003 г. – 3476 чел. Однако сегодня миграционные службы как Беларуси, так и зарубежных стран внимательно наблюдают за развитием подобных программ. К сожалению, мы вынуждены констатировать, что в этом году власти Беларуси практически закрыли для молодежи многие популярные программы работы студентов как в США, так и странах Западной Европы. Одна из основных причин подобных рестриктивных мер – нарушение белорусскими участниками правил программы, участившиеся случаи невозвращения студентов после летних каникул на родину и продолжение трудовой деятельности за рубежом после истечения сроков действия программы.

С целью изучения специфики безвозвратной молодежной миграции, нами в сентябре-ноябре 2004 г. был проведен опрос молодых людей из Беларуси, выехавших для работы в США на время летних каникул и не вернувшихся в Беларусь после окончания срока действия выданной визы. Опрос проводился посредством сети Интернет. Выборка строилась по методу «снежного кома». Анкетирование проводилось по заранее заданному плану, включающему несколько смысловых блоков: социально-демографические характеристики мигрантов, изучение причин и мотивов выезда, процесс легализации за рубежом, оценка возвратных намерений мигрантов. Особое внимание в ходе опроса акцентировалось на связях с родиной и денежными переводами домой.

Всего удалось опросить 64 чел., из которых 92 % (59 чел.) – выехавшие в США по одной из студенческих программ, остальные – молодые люди, приехавшие по вызову от выехавших ранее по аналогичным программам и уже легализовавшихся в США белорусов. Как показало исследование, более 80% всех эмигрантов из Беларуси проживает в таких американских штатах, как Нью-Йорк, Калифорния, Массачусетс, Флорида, Джорджия, Южная Каролина, Вашингтон, Коннектикут, Иллинойс и Пенсильвания. Остальные распределяются по другим регионам Америки. По времени проживания в США респонденты распределились следующим образом: 1 год и менее – 10,9 % (7 чел.), около двух лет – 28,1 % (18 чел.), около трех лет – 31,3 %, четыре года и более – 29,7 % (19 чел.).

Проведение опроса с помощью метода «снежного кома» обусловило довольно специфическую структуру выборочной совокупности исследования, в которую попали в основном представительницы женского пола. Среди опрошенных 53 чел. (82,8%) –

молодые девушки и только 11 чел. – мужчины. Значительный перекос в сторону представительниц женского пола можно объяснить несколькими причинами. Во-первых, девушкам, приехавшим для работы в США, легче остаться в данной стране посредством создания семьи. Как показало исследование, около 40% девушек из Беларуси легализовались в данной стране именно таким способом. Во-вторых, среди респондентов мужского пола было значительно больше отказов от участия в опросе. Это может быть связано с тем, что мужчины идут на риск и остаются за рубежом на нелегальном положении значительно чаще по сравнению с представительницами слабого пола, в связи с чем не так открыты для контактов. Кроме того, мужчины в большинстве случаев неохотно заполняют анкеты и участвуют в опросах.

Распределение респондентов по возрасту показало, что практически каждый третий из опрошенных находится в возрасте старше 22 лет, каждый пятый – до 20 лет. Большинство респондентов – бывшие студенты вторых-четвертых курсов ведущих белорусских вузов. На момент опроса около 16% (10 чел.) опрошенных закончили высшее образование в Беларуси, оформив академический отпуск или переведясь на заочное отделение. Из оставшихся 17,2% планируют вернуться в Беларусь и получить диплом, 14,1 % не имеют в ближайших планах получение высшего образования ни в Беларуси, ни в Америке (рис. 1). Большая часть (60,9 %) не собираются заканчивать образование в Беларуси, аргументировав это непризнанием белорусских дипломов за рубежом, а также отсутствием необходимости в получаемой специальности на новом месте жительства. В целом, среди опрошенных выявлена достаточно сильная установка на продолжение образования и повышение квалификации как на новом месте жительства, так и в Беларуси.

Рис. 1. Распределение ответов на вопрос «Собираетесь ли Вы продолжать обучение?» (N=54)

Структура мотивов безвозвратной молодежной миграции, как показывает анализ, определяется прежде всего материальными факторами. Основной мотив выезда для абсолютного большинства опрошенных – заработать деньги. В целом по выборке 85,0% опрошенных признали, что материальный интерес является наиважнейшим среди мотивов внешней трудовой миграции. Отрыв этого мотива от других столь значителен, что дает все основания говорить об отсутствии условий для молодежи зарабатывать деньги на родине, что обуславливает востребованность подобных программ выезда студентов в развитые страны. При этом стремление заработать определяет готовность большинства респондентов поступиться своими социально-профессиональными притязаниями и возможностью получить отечественный диплом о высшем образовании.

На второе место в структуре мотивов молодежной трудовой миграции респонденты поставили относительно нематериальный мотив – пожить в цивилизованной стране. Его назвали определяющим 60 % опрошенных. На наш взгляд, желание увидеть другой мир воочию, испытать себя в этом мире также обусловлено низкой материальной обеспеченностью, которую испытывает сегодня большинство молодых людей. В этой связи закономерность появления этого мотива в группе основных вполне очевидна.

На третьем месте среди основных мотивов невозвращения на родину – семейные обстоятельства. По данным опроса, 26 чел. (40,6 %) оставшихся в Америке, зарегистрировали брак, получив вид на жительство. Таким образом, причины, побуждающие молодых людей остаться в США на более длительный срок, условно можно подразделить на три группы: материальные, познавательные и семейные. При этом, что немаловажно, восприятие опрашиваемой молодежью перспектив в родной стране достаточно пессимистично. Как показало исследование, 38% опрошенных не видят никаких перспектив на родине.

Практически все молодые люди, решившие остаться в Америке на более длительный срок, сталкиваются с проблемой легализации своего пребывания на территории США. При этом желание жить и трудиться в США побуждает определенную часть респондентов преступить закон, использовать возможность нелегального трудоустройства, рискуя быть депортированными на родину без права снова въезжать на территорию США. Причина этой готовности – нежелание возвращаться на родину, которое вынуждает респондентов использовать любой шанс и любую форму работы за границей, какая для них окажется доступной.

На период опроса 38 чел. находились в данной стране на законных основаниях, практически каждый пятый (15 чел.) – незаконно. Как показало исследование, в категорию нелегальных мигрантов попадают в основном «новички», находящиеся на территории США не более 1-1,5 года. Те, кто проживает в Америке более длительный срок, как правило, уже определились со своим иммиграционным статусом. Интересно, что 17% опрошенных (11 чел.) затруднились определить степень легальности своего нахождения на территории США, что в определенной степени отражает отсутствие знаний в сфере миграционного и трудового законодательства в стране назначения у выезжающей на заработки молодежи.

Исследование позволило выявить основные способы легализации дальнейшего пребывания в США. Во-первых, это воссоединение с семьей. Как уже отмечалось, данный канал иммиграции выбрали 26 чел. (40,6 %). Во-вторых, получение или продолжение образования в американских учебных заведениях – 10 чел. (15,6 % опрашиваемых). В-третьих, трудоустройство – 6 чел. (9,4 %), в-четвертых, получение статуса беженца – 2 чел. (3,1 %).

Проведенное исследование позволило выявить существенные отличия в сферах приложения труда белорусской молодежи вначале своей трудовой деятельности в США и после нескольких лет пребывания в данной стране. Если сразу после приезда практически 100 % трудовых мигрантов из Беларуси были заняты преимущественно физическим трудом, то на момент опроса – около 70 %. Наиболее типичная стратегия трудоустройства для девушки – это переход из сферы услуг, торговли и общественного питания в сферу финансов и кредита, образования или здравоохранения. Мужчины, как правило, дольше задерживаются в той сфере занятости, с которой начинали свое трудоустройство в США. Однако необходимо учитывать, что в выборочную

совокупность исследования попали в основном студенты экономических вузов, для которых вероятность трудоустройства в финансовой и банковской сферах более высока по сравнению с представителями других белорусских вузов. В целом, можно сделать вывод, что молодые мигранты из Беларуси адаптируются в США довольно быстро. После получения образования и легализации на новом месте жительства, по крайней мере, две трети из них переходят на более интеллектуальную и высоко оплачиваемую работу.

Связи с другими выходцами из Беларуси поддерживают менее 20% опрашиваемых. В основном это те, кто проживает в крупных мегаполисах: Нью-Йорке, Филадельфии, Лос-Анджелесе и Чикаго. В некоторой степени низкий уровень общения с соотечественниками можно объяснить менталитетом белорусской нации. Белорусы не относятся к представителям этнических групп, объединяющихся и активно развивающих мигрантские сети. Как правило, белорусы являются одиночками, самостоятельно устраивающими свою зарубежную жизнь. Общение с земляками у 85% опрошенных сводятся только к электронной переписке и нечастым встречам во время возвращения домой.

Как видно из табл. 1, материальную помощь родным и близким оказывают только 21,9 % опрошенных (14 чел.), при этом только 5 чел. делают это регулярно. Основная часть опрошенных (50 %) пересылают деньги домой только по определенному поводу, чаще всего по крупным праздникам, таким, как день рождения. Практически треть опрошенных вообще не практикуют денежные переводы на родину.

Таким образом, не подтвердилась гипотеза о переводах части заработанных трудовыми мигрантами средств на родину. Исследование показало, что молодые люди, налаживающие свою жизнь в чужой стране, не настолько материально обеспечены, чтобы помогать оставшимся родственникам, и зачастую сами нуждаются в финансовой поддержке. Несмотря на более высокие (по сравнению с белорусскими) доходы, молодежь относится к категории населения, вынужденной нести более значительные расходы, связанные с приобретением жилья и обустройством быта. Кроме того, в структуре расходов данной возрастной группы значительный удельный вес занимают расходы на развлечения и досуг.

Таблица 1

Распределение ответов на вопрос «Как часто вы помогаете родным и близким, оставшимся в Беларуси»? (N=64)

	чел.	%
Всего	64	100
в том числе:		
регулярно	5	7,8
изредка	9	14,1
только по праздникам	32	50
не помогаю совсем	18	28,1

На вопрос о возвращении в Беларусь на постоянное место жительства утвердительно ответили только два человека (табл. 2). Категорически не хотят возвращаться пятеро опрошенных. Остальная часть респондентов колеблется, причем

51,6% опрошенных все-таки не планируют в ближайшее время свое возвращение. Каждый четвертый респондент затруднился ответить на данный вопрос. Как показывает анализ, отсутствие категорических отказов дает, хоть и довольно призрачную, надежду, что при изменении экономической ситуации внутри страны хотя бы каждый десятый выехавший из Беларуси вернется на родину.

Таблица 2

Распределение ответов на вопрос «Планируете ли Вы вернуться в Беларусь на постоянное место жительства?» (N=64)

	чел.	%
Всего	64	100
в том числе:		
нет	5	7,8
скорее нет, чем да	33	51,6
скорее да, чем нет	7	11,0
да	2	3,1
затрудняюсь ответить	17	26,5

Проведенное исследование позволило сделать вывод, что основной причиной невозвращения молодых людей из зарубежных трудовых поездок является низкая материальная обеспеченность и отсутствие перспектив трудоустройства на родине. В этой связи для поддержания возвратного характера внешней трудовой миграции необходимо более эффективное содействие трудоустройству молодежи на родине, что предполагает обеспечение вторичной занятости в свободное от учебы время, а также развитие сезонных видов работ, а именно:

- ведение руководством вузов более лояльной политики по отношению к тем студентам, которые совмещают работу с учебой;
- развитие малозатратных форм занятости молодежи, в том числе лагерей труда и отдыха, студенческих строительных отрядов;
- содействие молодежи в организации собственного дела, малого бизнеса, что предполагает организацию эффективного информационного обеспечения, предоставление профессионально-ориентационных услуг и необходимой профессиональной подготовки, приоритетного кредитования молодежного малого бизнеса и т.д.

Maslenkova E.V.

THE PROBLEMS OF IRRETRIEVABLE FORM OF YOUTH LABOUR MIGRATION IN BELARUS

(Abstract)

The problems of transformation of temporary youth labour migration to irretrievable form are examined in this article. The results of sociological interrogation of Byelorussian students who didn't come back to native land when labor contract was finished are analysed. The author proposes specific directions of ensuring the retrievable youth labour migration.

Крайнов В.В.

ВНЕШНЯ ТРУДОВАЯ МИГРАЦИЯ БЕЛОРУССКИХ СТУДЕНТОВ

В настоящее время студенческая трудовая миграция составляет более 40%[1] от общего объема регистрируемой внешней трудовой миграции из Беларуси и с каждым годом это число увеличивается. Росту масштабов студенческой миграции способствует активизация деятельности фирм, занимающихся трудоустройством белорусских студентов на время летних каникул в США и некоторые страны Западной Европы (например, Великобритания, Германия, Франция и т.д.), для выезда которых существует облегченный визовый режим.

В то же время, несмотря на рост масштабов студенческой миграции и, как следствие, усиление обеспокоенности со стороны государственных органов за ее последствия, достоверная информация, необходимая для принятия скоординированных решений, пока отсутствует.

Для определения состава, ориентации, мотивации, а также трудностей, которые возникают в процессе трудовой миграции у белорусских студентов, нами в сентябре 2004 г. в городе Минске совместно с фирмой «Star Travel» и учебно-методическим центром БГЭУ было проведено социологическое обследование среди выезжающей на работу за рубеж молодежи. Данные организации занимаются трудоустройством студентов по программам «Work & Travel» и «Au Pair» на летний период за рубежом.

Минск в качестве места исследования был выбран не случайно, так как именно в здесь находится свыше 90% всех фирм и общественных организаций, занимающихся трудоустройством белорусских граждан за рубежом. Основная часть трудящихся-мигрантов выезжает из г. Минска (50,5%) и Минской области (28,8%). Объектами исследования были студенты белорусских вузов, которые летом 2004 г. выезжали за рубеж на заработки. В ходе обследования нами было опрошено 323 студента.

Социально-демографический состав. Основная доля респондентов (91,3%) – коренные жители города Минска, остальная доля (8,7%) – представители иных населенных пунктов Беларуси. Такая большая доля студентов-мигрантов из числа коренных жителей Минска, очевидно, обусловлено тем, что большинство иногородних студентов на летний период уезжают из столицы в свои населенные пункты.

Наибольшую миграционную активность проявили студенты женского пола, на их долю приходится 60,9%, на долю же респондентов мужского пола приходится 39,1%.

76,8% студентов на момент выезда были в возрасте от 19 до 21 года, 16,7% – от 17 до 19 лет и 5,7% – от 21 до 23 лет. Подобное возрастное распределение респондентов не случайно, так как основная доля опрошенных это студенты старших курсов.

В трудовой миграции принимали участие студенты различных курсов, кроме 5 и 6 (медицинская академия). Большинство студентов на момент выезда за рубеж обучались на третьем и четвертом курсе – 38,8 и 35,3% соответственно. Третье место по активности

[1] Статистический ежегодник Республики Беларусь, 2004 (Стат. сб.), Минстат Республики Беларусь – Минск, 2004.

занимают студенты второго курса, которые составили 20,6% от общего числа опрошенных.

На момент опроса 100% респондентов обучались в различных Вузах г. Минска. 74,7% опрошенных были студентами Белорусского государственного экономического университета, 10,0% – студенты Белорусского государственного университета, 5,9% – Минского лингвистического университета. Преобладание представителей этих вузов, очевидно, связано с тем, что фирмы-посредники арендовали помещения именно в данных учебных учреждениях.

Мотивация. На первом месте, в структуре мотивов, занимает желание не материального характера – увидеть мир (61,4%). На втором месте оказалось желание заработать деньги (29,6%); на третьем – изучить иностранный язык (12,0%); на четвертом – пожить в цивилизованной стране (11,8%).

Как видно из результатов опроса, для молодых людей пока еще не обремененных семьей (91,3% респондентов на момент опроса были холосты), нематериальные мотивы выезда на работу за рубеж предпочтительнее материальной выгоды, хотя желание заработать деньги также присутствует, но не столь большое.

По сути дела, участвуя в этих программах, заработать большие деньги практически невозможно. Максимальная заработанная сумма за три-четыре рабочих месяца составляет 2 – 3 тыс. долларов США. На саму же дорогу, например в США, необходимо затратить от 1 до 1,2 тыс. долларов США.

Срок работы и география выезда. Срок работы за рубежом зависит от поставленных условий работодателем и посольствами тех стран, куда выезжали студенты. Обычно срок не превышает 4-ех месяцев. Так, 87,8% студентов-мигрантов заключили трудовой договор с работодателем на срок 3 месяца, остальные 12,2% респондентов подобный договор заключили на 4 месяца.

Что касается стран выезда, то они не отличались большим разнообразием, все зависело от того, с представителями какой зарубежной страны сотрудничали организации-посредники. Большинство студентов (86,9%) заключили договоры с работодателями, которые предлагали сезонную работу в США. Выезжали также в Великобританию и Германию.

Трудовая деятельность. Всем студентам, выезжающим на работу за рубеж, предлагалась низкоквалифицированная работа, связанная с применением преимущественно физического труда, то есть предоставлялась та работа, которая не пользуется спросом у местных жителей.

Основная масса респондентов трудилась за рубежом в сфере услуг (бар, ресторан, магазин) – 95,7%, а также на сельскохозяйственных фермах – 4,3%. Работа на сельскохозяйственных фермах предлагалась в Великобритании (3,1%) и Германии (1,2%): уборка и сортировка овощей и фруктов, уход за скотом, т.е. все то, что под силу неквалифицированной рабочей силе.

Предоставляемые места в сфере услуг зависели от уровня владения иностранным языком. Если знание языка было на достаточно высоком уровне, то предлагали работу официанта или продавца в магазине, если же нет – работу посудомойки или уборщика помещений. В США в сфере услуг работало 86,9% респондентов, в Великобритании – 7,4% и в Германии – 1,4%.

На работу в сельскохозяйственной сфере соглашались в основном студенты первого курса обучения. Это связано с тем, что в большинстве своем старшекурсники выезжают на

работу за рубеж не первый раз и поэтому знают, где работа наиболее трудоемкая. К тому же у студентов младших курсов несколько иная мотивация, в отличие от старшекурсников, их основная цель – просто выехать за рубеж и увидеть «новый мир».

Результативность трудовой миграции студентов. На выезде у большинства студентов не возникало серьезных проблем. В большинстве своем были сложности бытового характера. У 30,4% респондентов на выезде возникали следующие бытовые проблемы: трудности при поиске жилья, малая площадь жилья при наличии большого числа жильцов и т.д.; у 17,4% респондентов возникли сложности с оформлением карты социального страхования.

Для большинства респондентов трудовая миграция позволила увеличить их материальный достаток. 60,9% работавших за рубежом студентов получили возможность приобрести для себя хорошую одежду, 39,1% студентов рабочие заработки позволили внести плату за обучение, 30,4% приобрели дорогостоящие товары.

На вопрос «Как вы расцениваете мигрантские заработки?» 82,6% респондентов ответили, что они их вполне устраивают, 8,7% респондентов ответили, что заработки довольно скромные, такой же процент респондентов считает, что заработанная сумма очень мала и не соответствует затраченным силам.

В большинстве случаев транспортировкой денег занимались сами респонденты и лишь 1,2% студентов воспользовались банковскими услугами - «Western Union».

Основная доля респондентов (78,3%) считает, что работа на выезде не оказала отрицательного воздействия на их жизнь и жизнь их семьи и, в целом, они довольны своей поездкой. Однако у 17,4% респондентов отметили, что у них ухудшилось здоровье, у 8,7% респондентов не стало хватать времени на учебу, а у 4,3% респондентов ухудшились отношения с родителями.

На вопрос «Собираетесь ли вы и в дальнейшем выезжать на заработки за рубеж?» 60,9% респондентов ответили утвердительно, остальные 39,1% затруднились с ответом.

Необходимо также отметить, что основная часть выезжавших студентов (96,5%) не была знакома с миграционным законодательством той страны, в которой они работали.

В ходе социологического обследования было также выявлено, что 18,2%, т.е. 58 человек из числа выехавших студентов при посредстве исследуемых фирм не вернулись вовремя домой. Подобная ситуация по словам работников посреднических организаций имеет место практически каждый год.

Потенциал студенческой трудовой миграции. Для определения потенциала студенческой трудовой миграции нами в октябре 2004 года было проведено социологическое исследование, в котором приняло участие 100 человек из числа студентов.

Социально-демографический состав. Опрашивались студенты первого и второго курсов географического факультета Белорусского государственного университета. Студенты младших курсов были нами определены как миграционный потенциал неслучайно, так как на сезонные работы за рубеж в основном выезжают студенты третьих и четвертых курсов белорусских вузов. Причиной тому является негласное указание зарубежных посольств трудоустраивать на сезонные работы только студентов третьих и четвертых курсов. Предпочтение отдается лицам мужского пола и находящимся в браке студентам. Все эти меры направлены на то, чтобы уменьшить число так называемых невозвращенцев.

Что касается опрошенных нами студентов, то 99 человек из 100 выразили желание съездить за рубеж. Из 99 студентов 51 человек – первокурсники и 48 – второкурсники; 38 человек мужского пола и 61 – женского. Возраст студентов не превышал 20 лет. Студентов в возрасте 17-18 лет было отмечено 61% и в возрасте 19-20 лет – 38%.

Мотивация. Первый и основной вопрос, который был задан студентам, – «Каковы основные причины Вашего желания поработать за границей?». 79,7% студентов обоих курсов ответили, что основной мотив выезда за рубеж – это увидеть мир, а 65,6% респондентов – что собираются таким образом улучшить свое материальное положение. При этом у первого курса наиболее популярным оказался ответ «Повидать мир», его отметило 82,3% респондентов, у второго же курса – «Улучшить свое материальное положение», – 83,3% респондента. Подобное распределение ответов, видимо, связано с тем, что младшие курсы, ввиду своего возраста, пока что мало задумываются о своем финансовом положении, в отличие от старших курсов, у которых с годами увеличиваются и финансовые запросы. Данное предположение подтверждается тем, что на вопрос «Является ли заработок наиболее значимым мотивом вашей поездки за рубеж?» утвердительно ответило меньше половины студентов первого курса – 43,2%, и больше половины (52,1%) – второго курса.

География выезда. Большинство студентов – 52,8% – желали бы на период летних каникул поработать в США, 15,7% – в странах Западной Европы, 12,4% – в странах Восточной Европы, а для 19,1 % респондентов все равно, в какой из зарубежных стран работать.

Трудовая деятельность. 83,9% респондентам не безразлично, каким видом деятельности заниматься на выезде и лишь 5,0% все равно.

Основная часть студентов (98%) желает работать в сфере услуг – продавец, официант и т.д., и лишь 2% согласились бы на работу в сельскохозяйственной сфере – сбор овощей и фруктов, уход за животными.

Миграционная готовность. 70,7% студентов, если они все же решатся поехать на работу за рубеж, будет сложно найти сумму денег, необходимую для оформления документов на выезд и покупку билетов. При этом значительная часть студентов – 46,5%– готова занять деньги на поездку.

К тому же большинство студентов обоих курсов (87,9%) не знакомы с миграционным и трудовым законодательством ни Беларуси, ни зарубежных стран.

В то же время 75,8% студентов не против того, чтобы в их вузе преподавались основные моменты миграционного и трудового законодательства Беларуси и зарубежных стран.

Следующий вопрос, который был поставлен перед студентами, – «Готовы ли вы остаться за рубежом на более продолжительный срок, чем летние каникулы и при этом пропустить учебный год?». В целом наибольшая часть студентов обоих курсов – 50,5% – ответила отрицательно. Однако здесь же опять наблюдаются различия в ответах студентов первого и второго курсов. Так, из числа первокурсников 30,5% могли бы остаться за рубежом на более продолжительный срок, а из числа второкурсников на это готовы пойти 41,6%, но при этом 70,7% студентов обоих курсов не согласны на нелегальную занятость за рубежом.

* * *

Данное исследование подтверждает тот факт, что студенческая молодежь – это наиболее мобильная часть населения, которая принимает активное участие в трудовой миграции. Расширению масштабов студенческой трудовой миграции способствует и целый ряд фирм и общественных организаций, занимающихся трудоустройством белорусских граждан за рубежом на время летних каникул.

В то же время возникает ряд проблем. Наиболее важная из них – несвоевременное возвращение студентов на родину, а также правовая неграмотность в области трудовой миграции, что, порой, приводит к нежелательным последствиям.

Поэтому помимо разработки законодательных актов необходимо расширять сеть образовательных структур по подготовке лиц, желающих работать за рубежом. Эти структуры должны предоставлять различные виды услуг: профессиональная подготовка, обучение иностранному языку, знакомство с культурой и традициями той страны, куда выезжает гражданин, и, что очень важно, – консультации юриста, психолога и других специалистов.

Со стороны государственных административных структур желательно оказание поддержки наиболее эффективно работающим на международном рынке посредническим фирмам, имеющим лицензии на трудоустройство за рубежом, для того чтобы снизить вероятность возникновения «пиратских» посреднических кампаний, занимающихся противоправными действиями в области трудовой миграции.

Необходимо налаживать связи и заключать различного рода договора о политической и социальной защите трудящихся-мигрантов с правительствами тех стран, в которые выезжают белорусские граждане.

Важным вопросом является создание информационных центров, в которых были бы сосредоточены сведения об особенностях миграционной политики зарубежных стран, конъюнктуре зарубежных рынков труда и т.п.

Немаловажной является и работа на государственном уровне по проблеме международного признания действующих в нашей стране дипломов об образовании и свидетельств о профессиональной квалификации.

Также необходимо разрабатывать меры социальной защиты трудящихся-мигрантов, в том числе меры по профессиональной реадаптации вернувшихся, включению их в трудовую деятельность.

Krainov V.V.

EXTERNAL LABOR MIGRATION OF BYELORUSSIAN STUDENTS
(Abstract)

The report analyses the data received as a result of sociological research of 2004 among the Byelorussian students who participated in external labor migration and students who would like to be engaged in a similar kind of activity. The report evaluates the modern processes of youth labor migration, as well as some proposals for their optimization.

მარიკა ქაჯაია

ახალგაზრდობის გარე მიგრაციული განწყობის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ცალკეული ინდივიდისა თუ ადამიანთა ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის მუდმივად ან ხანგრძლივი დროით შეცვლას, ანუ მოსახლეობის მიგრაციას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისათვის.

მიგრაციის მეცნიერული შესწავლის ძირითადი მიზნებია:

* დადგინდეს მოსახლეობის გადაადგილების მიზეზები, მიმართულება და დროითი მაჩვენებლები;

* განისაზღვროს მიგრაციის ინტენსიობა და ნაკადები;

* შეფასდეს მიგრაციის შედეგები, ანუ მისი გავლენა ადამიანთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, ბუნებრივ გარემოზე და ა.შ.

მიგრაცია თავისი არსითა და მნიშვნელობით, ერთ-ერთი სერიოზული და საინტერესო დემოგრაფიული პროცესია, რომელსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მან მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარებაში. ბოლო ხანს მიგრაციული პროცესებისადმი ინტერესი კიდევ უფრო აქტუალური გახდა, რაც მისი მასშტაბების ზრდისა და მთელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის შედეგია.

უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალური ხდება მთელი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი თუ პრობლემა მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანი და მტკივნეულია ქვეყანაში მიმდინარე საგანგაშო დემოგრაფიული პროცესებისა და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო.

მიგრაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი მაინც სათანადოდ შესწავლილი არაა და მისი კვლევის მრავალფეროვანი ხერხები ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფენ რეალურად მიმდინარე მოვლენების დაფიქსირებას. მრავალრიცხოვანი მეცნიერული ნაშრომებისა და ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, მიგრაციის კვლევის მეთოდებში მეტად მნიშვნელოვანია სპეციალური სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებაც; სწორედ მას ეფუძნება ჩვენს მიერ ჩატარებული ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის გამოკვლევა, რომელიც 2003-2004 წლებში ჩავატარეთ თბილისის ახალგაზრდობის მაგალითზე. გამოკვლევამ მოიცვა ხუთასზე მეტი რესპონდენტი.

მთელი რიგი მიზეზებისა და პრობლემების გამო, უკანასკნელ პერიოდში საქართველო არაერთმა ახალგაზრდამ დატოვა და, ალბათ, უახლოეს მომავალში კიდევ ბევრი დატოვებს. ამის თქმისა და მტკიცების საფუძველს გვაძლევს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რამაც გვიჩვენა, რომ საკმაოდ მაღალი და ძლიერია ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობა, მათი ნახევარზე მეტი (51,9%) ფსიქოლოგიურად მზადაა საზღვარგარეთ წასასვლელად და, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქცეს მიგრანტად. ამ პოტენციურ მიგრანტთა შორის შედარებით მეტია მამაკაცები (მამაკაც რესპოდენტთა 57%), ეს მაჩვენებელი თითქმის ათი პროცენტული პუნქტით აღემატება ქალ

რესპონდენტთა შესაბამის მაჩვენებელს (47,5%). ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით სავსებით ლოგიკურია, რომ ახალგაზრდობის ძლიერი მიგრაციული განწყობა ყველაზე დიდია ქორწინებაში არმყოფებში და 54,1%-ს უდრის, ხოლო ქორწინებაში მყოფებში კი ისეთები სჭარბობენ, რომლებიც არ აპირებენ ქვეყნის დატოვებას და მათი ნაწილი ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზედ კატეგორიულიცაა.

საზღვარგარეთ მიგრირების თაობაზე ნათლად ჩამოყალიბებული არ იყო გამოკითხულთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (23,7%), ანუ თითქმის ყოველი მეოთხე, თუმცა მათი საგრძნობი ნაწილი შესაძლოა წინა ჯგუფს მიემატოს და გაზარდოს პოტენციური მიგრანტების რაოდენობა.

საყურადღებოა ისიც, რომ ყოველი მეოთხე ახალგაზრდა (24,4%) არ აპირებს ქვეყნის დატოვებას, ხოლო მათი ერთი მესამედი, ანუ ყველა რესპოდენტის 8% ძალზე კატეგორიულია და არავითარ შემთხვევაში არ აპირებს სამშობლოს დატოვებას (ცხრილი 1).

ახალგაზრდობის დღევანდელი მიგრაციული განწყობის მიზეზებიდან და ძირითადი მოტივებიდან შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი, კერძოდ:

1. გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (46,4%) თვიანთი შესაძლო მიგრირების მოტივად საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ამიტომ ,,წელში გასამართად» საზღვარგარეთ მუშაობის სურვილი დაასახელა. ამ მიზეზების გავლენა მიგრაციულ განწყობაზე საგრძნობლად მაღალია მამაკაცებში (50,3%), ვიდრე ქალებში (41,7%). ძალზედ სამწუხაროა, რომ სამუშაო ადგილების სიმცირე, სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე, დაბალანაზღაურებადი სამუშაო აიძულებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს სამსახური და არსებობის წყარო ქვეყნის გარეთ ეძებოს;

ცხრილი 1

რესპოდენტთა პასუხები კითხვაზე _»ხომ არ აპირებენ უახლოეს წლებში დიდი ხნით ან სამუდამოდ საზღვარგარეთ წასვლას?»_

(პროცენტობით პასუხთა ჯამიდან)

			მათ შორის					
№	პასუხთა ვარიანტები	სულ	მამრობითი	მდედრობითი	20 წლამდე	20-25 წ.	26-30 წ.	31-35 წ.
1	კი, აუცილებლად	**24,5**	29,4	20,3	23,1	33,3	16,0	_
2	საშუალება რომ მქონდეს	**27,4**	27,6	27,2	22,4	25,1	29,6	51,1
3	აუცილებლად არ ვიცი, არ	**23,7**	22,8	24,5	34,0	19,2	23,5	11,1
4	გადამიწყვეტია	**16,4**	13,2	19,2	10,2	17,8	24,6	17,8
5	ალბათ არა არავითარ შემთხვევაში	**8,0**	7,0	8,8	10,2	4,6	6,2	20,0
	სულ	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**

2. ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის კიდევ ერთი ძლიერი მიზეზია სწავლის სურვილი (23,7%), ხოლო თუ ამ რესპონდენტებს იმათაც მივუმატებთ, რომელთაც ჯერ სწავლა უნდათ საზღვარგარეთ, ხოლო შემდეგ მუშაობა, მათი წილი 40,3%-ს აღწევს. სწავლა-განათლების მიზნით მიგრირებას უფრო მეტად ქალები აპირებენ, ხოლო მამაკაცები კი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად შრომით მიგრაციას მიმართავენ;

3. საზღვარგარეთ ახალგაზრდობის შესაძლო მიგრაციის არცთუ ისე უმნიშვნელო მიზეზს წარმოადგენს: ქვეყანაში არსებული განუკითხაობა, კრიმინალური სიტუაცია და მდგომარეობის გამოსწორების რწმენისა და იმედის დაკარგვა. თითქმის ყოველი მეათე რესპონდენტისთვის (8,9%) სწორედ ეს მიზეზები აღმოჩნდა მიგრაციული განწყობის მასტიმულირებელი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან პოტენციური მიგრაციის შემთხვევაში რესპონდენტთა უკან დაბრუნების სურვილი საკმაოდ მაღალია. გამოკითხული ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობის (84,0%) აზრით, საზღვარგარეთ შესაძლო გამგზავრების შემდეგ, ადრე თუ გვიან ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან სამშობლოში. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გამოკითხული რესპონდენტების საზღვარგარეთ ბოლო ათი წლის განმავლობაში წასული ოჯახის წევრებიდან, გამოკვლევის ჩატარებისას უმრავლესობა (66,6%) საქართველოში არ იყო დაბრუნებული; როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში სურვილი და რეალობა ერთმანეთს საკმაოდ სცილდება.

გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ რესპონდენტთა საკმაო ნაწილის (30%-40%) სამშობლოში დაბრუნება დამოკიდებულია საზღვარგარეთ მათ მატერიალურად მოძლიერებასა და საქართველოში არსებული სოციალურ-კონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახის მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებში სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები დომინირებდა, ალბათ, სიამაყით უნდა ითქვას, რომ რესპონდენტთა საზღვარგარეთ დიდი ხნით წასვლის შემთხვევაში მათი დაახლოებით ორი მესამედისთვის საბოლოოდ უკან დაბრუნების მთავარი მოტივები სამშობლოს სიყვარულს, ნოსტალგიას, ეროვნულ ტრადიციებს, ქართულ ფასეულობებსა და, საერთოდ, ქართული ცხოვრების წესის მონატრებას უკავშირდება.

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების დეტალური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შექმნილი უკიდურესად მძიმე ეკონომიკური ვითარება _ როცა ოფიციალური სტატისტიკითა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს დაბლა ცხოვრობს, ძალზე მაღალია უმუშევრობის დონე, გართულებულია სპეციალობით სამუშაოს შოვნა, რთულია კრიმინოგენული ვითარება _ აშკარად უწყობს ხელს საკმაოდ მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ პოტენციურ მიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდაა, რომლებიც ყველაზე აქტიურ, შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შექმნილი ვითარება სერიოზულ დაფიქრებასა და განსჯას მოითხოვს როგორც თითოეული მოქალაქის ისე მთელი საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, ხელისუფლების მხრიდან. გარდაუვალი აუცილებლობაა რეალური და პოტენციური მიგრაციის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაზრდა; წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ძალზედ სერიოზული

დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული უსაფრთხოებისა და სხვა პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

Marika Kajaia

SOME ISSUES ON THE OUTBOUND MIGRATION TRENDS IN THE YOUTH

(Abstract)

On the basis of sociological research (held by the author) and other sources of information, the author of this report is trying to introduce the main problems regarding the following questions:

* The essence of migration and the main trends of migration processes.
* The trends of the youth possible depart.
* Causes, scales and main trends of the outbound migration of the youth.
* Some questions about the possibility of returning the potential young migrants home.

The end of the report stresses the main trends of resolving the problems of migration with help of government and outlines useful recommendations.

ნათია ჭელიძე

საქართველოს ახალგაზრდობის შრომითი ემიგრაცია

შრომითი ემიგრცია ამჟამად საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უმწვავეს სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ, რომელიც საბჭოთა სივრცის დარღვევასა და ღრმა ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახადა გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა. საზოგადოება განსაკუთრებით შეშფოთებულია მიგრაციულ ნაკადებში ახალგაზრდობის დიდი წილითა და განვითარებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის, უპირატესად, ახალგაზრდობის მოქცევით. შრომით ემიგრანტ ახალგაზრდებში უკიდურესად გაუარესებულია კვლავწარმოების მაჩვენებლები. ფაქტობრივად ეს კონტინგენტი ვეღარ ასრულებს თავის გენერაციულ ფუნქციას.

შექმნილ დამძიმებულ ვითარებაში აუცილებელია ახალგაზრდობის შრომითი ემიგრაციის შესწავლა. კვლევის მიზნად დავისახეთ გამოგვევლინებინა მისი ძირითადი მიზეზები, მიმართულებანი, ნაკადთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, ემიგრირების ორგანიზების საშუალებები, იმიგრაციის ქვეყნებში მათი დასაქმების, სწავლისა და ურთიერთშეთავსების პირობები, უცხო გარემოში ადაპტაცია, შრომითი ემიგრაციის სიმყარე და რეემიგრაცია-რეინტეგრაციის პირობები, მუდმივ ემიგრაციაში გადაზრდის ალბათობა; მათი შემოსავლები, სამშობლოში გზავნილები და ემიგრაციით მიღებული სარგებელი.

კვლევა დაეყრდნო ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტებიდან ინტერნეტის საშუალებით ინტერვიუირების გზით მიღებულ ინფორმაციას. გამოკითხვამ მოიცვა 66 რესპონდენტი. რესპონდენტთა შერჩევისთვის მივმართეთ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საგარეო ურთიერთობების სამმართველოებს და მოვიპოვეთ საზღვარგარეთ წასული სტუდენტების ელექტრონული ფოსტის მისამართები.

უმაღლესი სასწავლებლების საშუალებით მოძიებული ახალგაზრდების გამოკითხვა ნაკლოვან მხარესაც მოიცავს, ვინაიდან ამ ხერხით დაკავშირება მოხერხდა შედარებით დამაკმაყოფილებელ სოციალურ გარემოში მოხვედრილ რესპონდენტებთან და არა სიდუხჭირეს გაქცეულ ახალგაზრდა თაობასთან.

შერჩეულ რესპონდენტთა 89,4% დაუმთავრებელი უმაღლესი ან უმაღლესი განათლების მქონეა (ცხრილი 1). ამ კატეგორიის ახალგაზრდობის ემიგრაციული პროცესების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხდება «ტვინების ცვეთა» და არა «ტვინების გადინება» (ნაწილობრივ მიმდინარეობს დეკვალიფიკაციის პროცესი, ზოგჯერ კი მათი პროფესიული ზრდა).

ცხრილი 1

ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების განაწილება განათლების დონის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

განათლების დონე / პასუხები	საშუალო სპეციალური (კოლეჯი)	დაუმთავრებელი უმაღლესი (სტუდენტი)	უმაღლესი	სამეცნიერო ხარისხი	სულ
სულ	10.6	22.7	60.6	6.1	100

ბოლო წლებში განხორციელებული კვლევებიდან გამოვლინდა, რომ საქართველოდან შრომით ემიგრაციაში წასულთა შორის 16-დან 30 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენს 40,8%[1]_47%[2]-ს. ქართველი ახალგაზრდები შედარებით მოკლევადიანი პერიოდით ემიგრირდებიან. ისინი ხშირად მიმართავენ კერძო სააგენტოებს, რომლებიც ახორციელებენ AuPayr-ის (სწავლა და მუშაობა), Work&Travel-ის (მუშაობა და მოგზაურობა) და სხვა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებო პროგრამებს, რომლებიც 4 თვიდან 1,5 წლამდე გრძელდება. გამონაკლისია უმაღლესი საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საერთაშორისო პროგრამები მაგისტრანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის, რომლებიც 6 თვიდან 3 წლამდე პერიოდს მოიცავს. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების 78,9% ბოლო 3-5 წლის მანძილზეა საზღვარგარეთ წასული, 21,1% კი_ 6-7 წელი. ამ უკანასკნელთა შორის შრომითი ემიგრირების სტაციონარულ მიგრაციაში გადაზრდის ალბათობა ძალიან დიდია.

გამოკვლევებით[3], შრომით ემიგრანტთა მთელი ნაკადის 40% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. ახალგაზრდა შრომით ემიგრანტებს შორის კი გოგონების წილი შედარებით დაბალია (31,8%). ახალგაზრდა ემიგრანტებში 16-დან 20 წლამდე ასაკისანი მხოლოდ 7,6%-ს შეადგენენ. გამოკითხულთა შორის შემთხვევითი შერჩევის მიუხედავად ეროვნებით ყველა ქართველი აღმოჩნდა, რაც, ნაწილობრივ, აიხსნება არაქართველი მოსახლეობის 1990-იანი წლების I ნახევარში ინტენსიური შრომითი ემიგრაციის სტაციონარულში გადაზრდისა და, საბოლოოდ, მუდმივ საცხოვრებლად საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე გადასვლით. საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე უარყოფით გავლენას ახდენს რესპონდენტთა შორის დაუოჯახებელთა მაღალი წილი (71,2%), ისინი უცხოეთში წასვლას ძირითადად არამატერიალური ხასიათის მოტივებით ხსნიან - 64,4% (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების განაწილება ემიგრირების მოტივების მიხედვით* (პროცენტობით ჯამთან)

ემიგრირების მიზეზები	სულ
განათლების მიღება	29.8
უცხო ენის ცოდნის დახვეწა	9.6
აინტერესებდა საზღვარგარეთ ცხოვრება და მუშაობა	2.9
სამშობლოში პერსპექტივას ვერ ხედავს	15.4
თვითრეალიზაციის შეუძლებლობა	5.8
იქორწინა უცხოელზე	3.8
მიიღო სპეციალური მიწვევა აქაური ფირმიდან (დაწესებულებიდან)	-
მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი	24.2
ვერ იშოვა სამუშაო	0.9
ოჯახის ფიზიკური გადარჩენა	0.9
ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა	0.9
იქ ცხოვრობენ მისი უახლოესი ნათესავები	5.8
სხვა პასუხი	-
სულ	100

* აღნიშნულ კითხვაზე რესპონდენტებმა რამოდენიმე პასუხი მიუთითეს

[1] ნ. ჭელიძე, საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია, თბ., 2000, გვ.15

[2] შრომითი მიგრაცია საქართველოდან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბ., 2003, გვ.41

[3] იქვე, გვ.47

ახალგაზრდებისთვის უფრო მეტად მიმზიდველია უმაღლესი განათლების მისაღებად ხელსაყრელი ქვეყნები: რუსეთი (27,3%), გერმანია (19,7%), აშშ (18,2%), ინგლისი (13,6%) (ცხრილი 3). უფროსი ასაკის მიგრანტებისაგან განსხვავებით ახალგაზრდები სტუდენტური ვიზის საშუალებით გადიან საზღვარგარეთ (54,6%) და უცხო ქვეყანაში ყოფნაზე კანონიერ უფლებასაც, მუშაობასთან პარალელურად, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დამამტკიცებელი დოკუმენტაციით ინარჩუნებენ (61,4%). გასამგზავრებლად ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ფორმების ანალიზით ჩანს, რომ ისინი სარგებლობენ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით (28,4%), თუმცა ნდობას ემიგრირების ორგანიზებისთვის ეს კატეგორიაც უპირატესად მეგობრებსა და ახლობლებს უცხადებს (41,9%). რესპონდენტთა 28,8%-ისთვის კი, რომლებმაც განმეორებით განახორციელეს ემიგრაცია, ეს პროცედურა უცხო არ არის და, თვითონვე იკვლევენ გზას.

ცხრილი 3

ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების განაწილება ემიგრაციის მიმართულების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

ემიგრაციის ქვეყანები	რუსეთის ფედერაცია	გერმანია	აშშ	ინგლისი	საბერძნეთი	ავსტრია	ბელგია	შვეიცარია	ესპანეთი	სულ
სულ	27.3	19.7	18.2	13.6	3.0	7.6	3.0	3.0	4.5	100

ახალგაზრდების ემიგრაციის ძირითადი მიზეზიც განსხვავდება უფროსი თაობის მოსახლეობის ემიგრირების მიზეზისგან. იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის სურვილით მიდის მათი 29,8%, უცხო ენის ცოდნის დახვეწის მიზნით_ 9,6%, სამშობლოში უპერსპექტივობასა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობას ასახელებს 21,2%. ყურადსაღებია, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი (პასუხების 5,8%) ემიგრაციის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად მიუთითებს მიმღებ ქვეყანაში უახლოესი ნათესავების დროებით ან მუდმივად ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ წასვლამდე რესპონდენტთა 63,6% სწავლობდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, 10,6% კი მუშაობდა პროფესიის შესაბამისად, ხოლო მიმღებ ქვეყანაში მათი საქმიანობის სფეროა მომსახურების სექტორი (25,7%), მშენებლობა (18,1%), მრეწველობა (7,6%), ბავშვების მოვლა (7,6%). პროფესიის შესაბამისად მუშაობს მხოლოდ 25,7%, რაც უმეტესად განპირობებულია თვით გაცვლითი პროგრამის მოთხოვნით, ამავე დროს, ეს ახალგაზრდები მუშაობენ კვალიფიკაციის მიხედვით, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებთან შედარებით დაბალი ანაზღაურების პირობებში (ცხრილი 4). გამოკითხული ახალგაზრდების 43,9% სწავლას მუშაობასაც უთავსებს, 48,5% მხოლოდ მუშაობს და 7,6% მხოლოდ სწავლობს. აღსანიშნავია, რომ ნაკადის 13,6%-ის საზღვარგარეთ ცხოვრება და განათლების მიღება დაფინანსებულია საერთაშორისო საგანმანათლებო პროგრამებით. ახალგაზრდა ემიგრანტების ნახევრისთვის კი შეუძლებელია დამქირავებელთან წერილობითი კონტრაქტის დადება.

გაჭიანურებული ღრმა ეკონომიკური კრიზისის გამო ემიგრანტთა ფულად გზავნილებს დღევანდელი საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საშუალოდ ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმღებ ქვეყანაში შეადგენს 626,5 აშშ დოლარს. შრომითი ემიგრანტების 50% ეხმარება თავიანთ ოჯახს ფულადი

გზავნილებით, რომელიც თვეში დაახლოებით 151,5 დოლარს უდრის. რესპონდენტთა 15,1%-ის აზრით, მათი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ძირითადი წყაროა, 36,4% კი მას შემოსავლის ნაწილობრივ წყაროდ მიიჩნევს. შრომით ემიგრანტთა მცირე ნაწილი გადმოგზავნასთან ერთად იქაც აგროვებს ფულს და თვლის, რომ დაბრუნებისას ჩამოიტანს. ხოლო ახალგაზრდების 34,8% მართალია ვერ ეხმარება ოჯახს, მაგრამ თითონ ადგილზე აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახერხებს.

ცხრილი 4

ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების განაწილება მიმღებ ქვეყანაში საქმიანობის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

საქმიანობის სფერო	სულ	საქმიანობის სფერო	სულ
მუშაობს ძიძად	7.6	ავტომანქანის ხელოსნად	-
დამლაგებლად	-	მძღოლად	-
დამხმარე მუშად	3.0	ბინის რემონტზე	1.5
მშენებლობაზე	13.6	მომსახურების სფეროში (სასტუმროში, რესტორანში, სამორინეში, სალონში, ღამის კლუბში)	18.2
წარმოებაში	7.6	ექთნად	1.5
კანცელარიაში	4.5	ექიმად	12.1
ოფიციანტად	3.0	აქვს საკუთარი ბიზნესი	1.5
გამყიდველად	4.5	აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობს სპეციალობის მიხედვით	13.6
სასოფლო-სამეურნეო ფერმაში, სეზონურ მუშად	1.5	სხვა პასუხი	6.1
სულ	100		100
მუშაობს			**48.5**
სწავლობს			**7.6**
სწავლობს და მუშაობს			**43.9**
სულ			100

ახალგაზრდობა შრომით ემიგრაციაში წასვლას სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს. მათი 55,2%^ კმაყოფილია საზღვარგარეთ ემიგრირებით. უარყოფითი პასუხი გასცა მხოლოდ რესპონდენტთა 4,5%-მა.

საინტერესოა, თუ რა პრობლემების გადაჭრა მოახერხეს ახალგაზრდებმა ემიგრაციის განხორციელებით. მათი 24,2% ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კმაყოფილია დასავლური განათლების მიღებით. მიღებული სარგებლის სპექტრი კი საკმაოდ ფართოა: პასუხების 38,4% ნაწილდება სხვადასხვა ძვირადღირებული საოჯახო და საყოფაცხოვრებლო ნივთების, მათ შორის ავტომანქანისა და ბინის შეძენაზე, 10,7% _ შემოსავლის საკუთარი წყაროს გაჩენაზე, 3,6% _ ოჯახის წევრების საქართველოში შემოსავლიან სამსახურში მოწყობაზე.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციის გამო თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება რესპონდენტებს არ მიუთითებიათ, თუმცა არცთუ მცირე რაოდენობაა, ვინც ანკეტაში დასახელებული ვერცერთი პრობლემის გადაჭრა ვერ მოახერხა (პასუხების 8,9%).

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 83,3%-ს იქაურ სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია არ უჭირს და წინააღმდეგობებსაც ასე თუ ისე ძლევს, კითხვაზე_ «დაასახელეთ ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც მიმღებ ქვეყანაში გხვდებათ» - რესპონდენტების პასუხები ასეთია: 12,1%-ს გაუჭირდა სამუშაოზე მოწყობა, 8,1%-ს _ სხვადასხვა დოკუმენტაციის გაფორმება, 8,1%-მა მიუთითა შრომის ანაზღაურების პრობლემებზე, 20,1%-მა კი _ ძლიერ ნოსტალგიურ განწყობაზე.

ჩვენი გამოკვლევით დადგინდა, რომ ახალგაზრდების ემიგრაცია საკმაოდ მყარია. გადაწყვეტილი პასუხი საქართველოში დაბრუნებაზე მხოლოდ 49,3%-ს აქვს, დანარჩენს ან ჯერ არ გადაუწყვეტია ჩამოსვლა ან დაბრუნების შემთხვევაში კვლავაც გეგმავს განმეორებით ემიგრაციას.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების მიგრაციულ განწყობას აძლიერებს ოჯახის ემიგრირებული წევრების უცხოეთში ყოფნა და იქ ადაპტაციის ხარისხი. ამიტომ 20,3%-ს განზრახული აქვს ახლობლების საზღვარგარეთ წაყვანა (ცხრილი 5).

ცხრილი 5

ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების პასუხების განაწილება კითხვაზე– «ხომ არ აპირებთ თქვენი ოჯახის წევრების ან ახლობლების საზღვარგარეთ წასვლაში ხელის შეწყობას?"– პასუხების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

განზრახვა	სულ
არა	53.1
ჯერჯერობით არა	12.1
საერთოდ ვაპირებ	19.7
ვაპირებ უახლოეს მომავალში წამოვიყვანო რამდენიმე ახლობელი	6.1
აქ ჩემი დახმარებით ბევრი მოწყობილა სამუშაოზე	4.5
არ ვიცი	4.5
სულ	100

მიღებული სურათი შემაშფოთებელია ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დემოგრაფიული საფრთხის წინაშე დგას. აუცილებელია სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ქმედითი ღონისძიებების გატარება, მიგრაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, კომპლექსური მიდგომა და მჭიდრო თანამშრომლობა მიმღები ქვეყნის თითქმის ყველა შესაბამის სტრუქტურასთან შრომითი მიგრაციის რეგულირების ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით, რაც აამაღლებს ლეგალური შრომითი მიგრაციის ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს.

Natia Chelidze

LABOR EMIGRATION OF GEORGIAN YOUTH
(Abstract)

Youth's labor emigration can be considered as a positive phenomenon if it is of short term and returnable nature, takes place in legal way and the purpose of leaving corresponds to the existing real situation in a receiving country. In addition to improving material conditions, the main purpose of students' emigration is a desire to get education, to improve their knowledge in foreign languages and gain experience. At the same time, it is acknowledged that through the short term emigration more

funds flow into the country than through the long term one. Beside remittances, returned youth's professionalism and their high competitiveness is much more valuable.

At the same time, unmanaged labor migration can gain more negative features. In case of non-return of youth, country experiences direct economic and demographic losses that results in the fall of labor potential. In relation to this, the government's objective is to find a compromise between youth's labor migration and maintaining the necessity of their return; to collaborate with the countries where the labor migration is directed in view of mutual profitability, effective use of human resources and protection of their citizens' labor and social rights.

ნინო ბერულავა

სტუდენტთა მოსალოდნელი მიგრაცია

საქართველოს პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული სოციალურ–ეკონომიკური კრიზისის გამო ცხოვრების დონე დაეცა და მოსახლეობის მნვიშვნელოვანმა ნაწილმა გამოსავალი საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილის ტერიტორიულ ცვლილებებში დაინახა. მიგრაციის ინტენსიურობა არნახულად გაიზარდა.

საქართველოში მიგრაციული პროცესების განვითარებაში, ცალკეული ეპოქების გათვალისწინებით, მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათი მოქმედება განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ამ დროისათვის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ვითარება. ბოლო პერიოდში მიგრაციულ პროცესებზე ზეგავლენა ძირითადად ეკონომიკურმა ფაქტორმა მოახდინა.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მიგრაციული ინფორმაციის ვაკუუმის პირობებში ყველაზე უმწვავესი პრობლემა _ სტუდენტთა მოსალოდნელი მიგრაცია შეგვესწავლა. შერჩევითი გამოკვლევის გზით შევეცადეთ შეგვესწავლა სტუდენტთა ემიგრაცია საზღვარგარეთ და გაგვესაზღვრა შესაძლო მიგრაციის მიზეზები და მიმართულებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა მაგალითზე. ინფორმაციის მოპოვების მთავარი ინსტრუმენტი და მეთოდი ჩვენ შემთხვევაში იყო ანკეტური გამოკითხვა.

საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, მიგრაციული პროცესები ინტენსიურად მონაწილეობს სტუდენტთა ცხოვრებისეულ სტრატეგიაში, სადაც პროფესიული ხასიათის ელემენტები ჭარბობს. ის კონტინგენტი, რომელიც ინტენსიურ ტერიტორიულ მოძრაობაშია, უპირატესად, მაღალი განათლების დონითა და კვალიფიკაციით გამოირჩევა. ვინაიდან მიგრაციული პროცესები კვლავაც გრძელდება, ამიტომ მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა მოსალოდნელი მიგრაციული ნაკადების ზოგიერთი პარამეტრის განსაზღვრას.

საქართველოში მცხოვრები სტუდენტების სამუშაოდ თუ სასწავლებლად წასვლა უმთავრესად დროებითი მიგრაციის ხასიათს ატარებს. გამოკითხულთა მხოლოდ 2%-ს არა აქვს სურვილი საზღვარგარეთ წასვლისა და თავის ქვეყანაში სურს ცხოვრება და მუშაობა. სტუდენტთა უმეტეს ნაწილს (55%) უცხო ქვეყანაში წასვლა სურს თავისი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, 13%-ს – სამუშაოდ, 32%-ს – სურს უცხო ენების ცოდნის დახვეწა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოქმედების მოდელია ან მხოლოდ «ოცნება», რომლის რეალიზაცია რიგ ფაქტორებზეა

დამოკიდებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთი განწყობა ამჟამად უმთავრესად ელიტარულ სტუდენტთა შორის დომინირებს.



ნახ.1. სტუდენტთა მოსალოდნელი მიგრაციის მიზნების პროცენტული განაწილება.

ძირითადად სასოფლო-ადმინისტრაციული რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები აპირებენ დარჩენას თბილისში, ვინაიდან მშობლიურ რაიონში უმუშევრობის მაღალი დონეა და პროფესიის მიხედვით დასაქმება თითქმის შეუძლებელია. საქართველოში არსებული უმუშევრები განათლების მაღალი დონით ხასიათდებიან. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 619 ათასი უმუშევრიდან 28,4% უმაღლესი განათლების, ხოლო 4,3% დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირია. უმაღლესი განათლების მქონეთა შორის უმუშევრობის მაჩვენებელი მეტად მაღალია. ამჟამად მათი ქალაქად დასაქმების გაცილებით მეტი შანსია, ვიდრე სოფლად, რაც მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში გადანაწილების პროცესს უფრო ინტენსიურს ხდის.

კითხვაზე _აქვთ თუ არა სურვილი საზღვარგარეთ წასვლისა?_ რესპოდენტთა 90%დადებითად პასუხობს, 3% საერთოდ არ აპირებს, ხოლო 7%-ს ჯერჯერობით არა აქვს გადაწყვეტილი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ 30%-ს საზღვარგარეთ გამგზავრებაში ოჯახის დახმარების იმედი აქვს, 20%-ს _ სასწავლო გრანტებისა. 2004 წლის მონაცემების მიხედვით, მათგან, ვინც მონაწილეობას იღებდა დროებით სასწავლო მიგრაციაში, 40% წავიდა აშშ-ში, 24%– გერმანიაში, 9,2%– ინგლისში, 10,8%_ რუსეთში და სხვა ქვეყნებში (16,6%).



ნახ. 2. 2004 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კონკურსის წესით გაგზავნილ სტუდენტთა განაწილება ქვეყნების მიხედვით

უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა შერჩევა ძირითადად აკადემიური მოსწრების მიხედვით ხდება.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სტუდენტთა დროებით მიგრაციაში მონაწილეობის ძირითადი ხელისშემწყობი ფაქტორია ენის ცოდნა. გამოკითხულთა დიდ ნაწილს უცხო ენად მითითებული აქვს ინგლისური, რის გამოც ინგლისურენოვან ქვეყნებში დროებითი მიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს რეგიონებიდან თბილისში სასწავლო მიგრაცია, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების მიღება, პოტენციურად შეიძლება გადაიზარდოს საზღვარგარეთ ემიგრაციად.

გამოკითხულ რესპოდენტთა შორის აშშ-ში გამგზავრება სურს 37%-ს. ინგლისში_ 34%-ს, გერმანიაში_ 12%-ს, დანარჩენ ქვეყნებში_ 17%-ს.

უმრავლესობას დაგეგმილი აქვს გადადგას გარკვეული ნაბიჯი განზრახული მიზნის რეალიზაციისათვის. გარდა უცხო ენის ინტენსიური სწავლებისა და ინტერნეტით ინფორმაციის მოგროვებისა, ისინი მიმართავენ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფონდებს და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, საზღვარგარეთ სტუდენტობა ძირითადად წასულია კონკურსის გზით, რაც მიუთითებს მათ მაღალ ინტელექტუალურ დონეზე. ამიტომ, სავსებით მოსალოდნელია, რომ მაღალი ინტელექტის მქონე აქტიური სტუდენტები კვლავაც გავიდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. კვლევის მიხედვით, მათი წასვლა დროებითია. კითხვაზე: თუ მოგეცათ შესაძლებლობა საზღვარგარეთ წასვლისა, დაბრუნდებით? – რესპოდენტთა 98%-მა უპასუხა: «განათლებას მივიღებ საზღვარგარეთ და აუცილებლად დავბრუნდები». ეს იმას ადასტურებს, რომ ახალგაზრდობას არ უნდა თავისი ქვეყნის მიტოვება. საზღვარგარეთ წასვლა ხდება აუცილებლობიდან გამომდინარე.



ნახ. 3. სტუდენტთა მოსალოდნელი მიგრაცია ქვეყნების მიხედვით (პროცენტებში)

Nino Berulava

POSSIBLE STUDENT EMIGRATION
(Abstract)

The research of potential student emigration conducted by the Tbilisi State University revealed that the emigration potential is very high. The majority of students plans going abroad in order to extend their knowledge, as well as to improve their professional skills, also to learn a foreing language better and to get profitable job.The future emigration flows are expected to the USA (37%), England (34%), Germany (12%), and other countries (totally 17%).

The potential emigration is characterized as temporal.

ირინა ტყეშელაშვილი

ქუთაისის სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური მიგრაცია

ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი პრობლემის გადაწყვეტის გზას ხედავს საზღვარგარეთ გამგზავრებაში. ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვის, ქ. ქუთაისისთვისაც დამახასიათებელია სტუდენტი ახალგაზრდობის საზღვარგარეთ სასწავლებლად და სამუშაოდ გამგზავრების განზრახვა, რაც აუცილებელ შესწავლას მოითხოვს.

ქ. ქუთაისში ჩვენს მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ მოიცვა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი და სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი. 172 გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობას (57,7%) აქვს გამგზავრების სურვილი, 21,6% უახლოეს მომავალში აპირებს წასვლას და 4,1% საერთოდ ქვეყნის დატოვებას გეგმავს. მხოლოდ და მხოლოდ 5,9% ვარაუდობს თავის შემდგომ მოღვაწეობას საქართველოში.

გამოკითხულთა 53,5% ქალია, 46,5%_ ვაჟი. საერთო რიცხვიდან 20 წლამდე ახალგაზრდაა 41,3%, 21-24 წლის ასაკშია 46,5%, ხოლო დანარჩენი მომდევნო ასაკობრივ ინტერვალში იმყოფება.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა დაუოჯახებელია, მხოლოდ 10,5%-ს აქვს ოჯახი.

გამოკითხულთა 18,9%Gთვლის, რომ განათლების მიღება ან სწავლის გაგრძელება არის მათი მიგრაციული განზრახვის მთავარი გადამწყვეტი მიზეზი. ხოლო 33,9%-მა აღნიშნა, რომ ისინი უცხოეთში აპირებენ წასვლას იმიტომაც, რომ იქ უკვე იმყოფებიან მათი უახლოესი ნათესავები. გამოკითხულთა 30,4% საერთოდ არ იცნობს არც სასურველ ქვეყანაში იმიგრაციის პირობებს, და არც საქართველოდან გასვლის შესაძლებლობებს.

საზღვარგარეთ წამსვლელთა 43,1%-მა მიუთითა, რომ სიამოვნებით გაეცნობოდა ნებისმიერ აუცილებელ ინფორმაციას, მითუმეტეს, რომ 32.3%-ს თავისი მიზნების განსახორციელებლად ჯერ არაფერი მოუმოქმედებია, ხოლო 19,1%-ისათვის ეს ჯერ კიდევ ოცნების დონეზეა.

განზრახული ემიგრაციის ძირითადი ქვეყნებია: ამერიკის შეერთებული შტატები (17,7%), იტალია (17.7%), ინგლისი (16,3%) და გერმანია (12,8%).

განზრახული მიგრაციის ძირითად ხელშემშლელ ფაქტორებად დასახელდა შემდეგი: წასვლა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული (40,7%), სასწავლებლის დამთავრება და დიპლომის აღება (39,1%), დაბრკოლება მშობლების მხრიდან (6,8%), ხოლო 6,8% ვერ მიატოვებს ოჯახს.

ახალგაზრდების უმრავლესობა (78,2%) გადაჭრით გეგმავს უკან დაბრუნებას, 7,4% კი იქ ისწავლის და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას დაბრუნების შესახებ. ხოლო 5,1%-ს არ უფიქრია სამშობლოში დაბრუნებაზე. მხოლოდ 3,7%-მა უკვე დაგეგმა, რომ წასვლის შემთხვევაში ისინი აღარასოდეს დაბრუნდებიან სამშობლოში.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტთა 32,3%-ს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ მიზნის მისაღწევად, 6,9%-ს სისტემატური კავშირი აქვს უკვე ემიგრირებულ ახლობლებთან და ასევე 19% სწავლობს საჭირო უცხო ენას.

რესპონდენტთათვის საზღვარგარეთ გამგზავრება იმდენად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას წარმოადგენს, რომ 85,4% თვლის საჭიროდ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციის სახით საკანონმდებლო აქტებისა და მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხების გარშემო შესაბამისი კურსის მოსმენას.

ამრიგად, გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქ. ქუთაისის სტუდენტი-ახალგაზრდობის ემიგრაციული პოტენციალი მეტად მაღალია. მისი რეალიზაცია, წინააღმდეგობების მიუხედავად, მოსალოდნელია. საჭიროა მას მიეცეს უფრო მიზანმიმართული ხასიათი.

Irina Tkeshelashvili

POTENTIAL MIGRATION OF KUTAISI STUDENTS
(Abstract)

Sociological research performed amongst studying youth of Kutaisi Universities has revealed high potential for emigration, which calls for further deep study and relevant management.

Суварян Н.

НЕВИДИМАЯ ПРОБЛЕМА ГРУЗИИ: ТРЕФИКИНГ И ПОДХОД К НЕМУ РАЗНЫХ СТРУКТУР

Одной из наиболее острых проблем современной Грузии является нелегальная трудовая миграция, которая охватывает все этнические и половозрастные группы населения и существует в самых различных формах. Одна из наиболее распространенных форм современной трудовой миграции _ сексуальная миграция.

До 90-х годов в Грузии практически не наблюдалась трудовая миграция среди женщин, особенно с целью проституции. Однако экономическое положение вынудило женщин искать работу за пределами страны. Открытие границ и формирование определенных тенденций на международном рынке труда повысили спрос на определенные категории женской трудовой силы (прислуга, няня, сфера обслуживания), что обусловило рост миграционной динамики и ее феминизацию. Феминизация миграции считается новым этапом в развитии трудовой миграции и большим прогрессом в достижении гендерного равноправия. Но тот факт, что женщина наравне с мужчиной может разделить существующую дискриминацию на мировом рынке труда, встретиться со всей грязью развитого трафика, полностью нивелирует т.н. «правовые успехи». Тем более, что для большинства эмигрантов обычаи, семейные традиции, гендерные обязанности столкнулись с серьезными испытаниями. После встречи с такими сегментами трудового рынка, как секс-обслуживание, те ценности, которые формировались столетиями, необычно быстро подверглись разрушению.

Сексуальная миграция в Грузии представлена в двух формах: добровольная и недобровольная (трафик живого товара)[1].

Ежегодная прибыль криминального сектора в этой сфере деятельности достигает от 5 до 7 миллиардов долларов, а в некоторые годы и до 9.5 миллиардов долларов[2]. Все большее число преступных сообществ переходит от торговли наркотиками к перемещению и торговле людьми из-за высокого уровня доходности при низких затратах и минимализации риска быть наказанным[3].

Очень трудно установить количество тех, кто задействован в так называемом секторе секс-обслуживания, потому что члены семей таких людей не знают или не говорят об этом. Хотя из других исследований видно, что грузинская молодежь часто становится жертвой трафика и независимо от воли семьи подключается к секс-бизнесу[4].

Несмотря на сложности, многие граждане Грузии пытаются попасть в другие страны нелегальным путем, что наглядно демонстрирует следующая статистика: за период с 1995 года только из Турции по разным причинам было депортировано 8113 граждан Грузии, что составляет около 2.3% всех депортированных из этой страны, а в 2001 году количество

---

[1] Мошняга В. Республика Молдова: трафик «живых существ» и меры противодействия. Трудовая миграция и защита гастарбайтеров: практика посткоммунистических стран. Кишинев 2003, стр. 136.

[2] Widgren J. Multilateral Co-operation to Combat Trafficking in Migrants and the Role of International Organization. Paper Presented at the 11th IOM Seminar on International Organization Response to Trafficking in Migrants fund the Safeguarding of Migrant Rights. Geneva 1994, 26-28 Oct., p. 5-6.

[3] Стокер С., Организованная преступность как фактор роста числа случаев торговли людьми// Организованная преступность и коррупция, №1 2000, стр.5-8.

[4] გაჭირვება საზღვარგარეთ თუ შიმშილი სამშობლოში, თბილისი, მსო, 09.2000.

составило 2527, что уже соответствует 5,4% всех депортированных[5].

Грузия представляет собой, в основном, источник «живого товара», но иногда является и транзитной страной. В 2000-2001гг. МОМ провела исследование, целью которого было выяснить масштабы и тенденции трефикинга людей из Грузии, через Грузию и в Грузию. Оно показало, что трафик у нас является серьезной проблемой. Основными странами, куда перевозят потерпевших трафика, являются Турция, Греция, США, некоторые страны Европы, такие, как Франция, Испания, Нидерланды и Германия. По другим исследованиям, трафик грузинских женщин осуществляется и в Арабские Эмираты[6].

По некоторым данным около 25% трефикинга из Армении в Турцию и другие страны Ближнего Востока осуществлялось транзитом через Грузию[7]. Также Грузия, Азербайджан и Иран упоминаются как транзитные страны для граждан Ирака, Пакистана, стран СНГ и других стран[8].

РОЛЬ ГОССТРУКТУР В РЕШЕНИИ ПРОБЛЕМЫ.

Грузинское правительство долгое время не было информировано о трефикинге и не осознавало обязательности быстрого решения данной проблемы. Несмотря на некоторые попытки изменить положение в связи с трафиком живого товара, результатов не было видно[9].

Полное безразличие и бездействие государственных структур к проблеме торговли людьми привело к тому, что на основании отчета по трефикингу людей, который в июне 2003 года был представлен специальной комиссией экспертов в конгрессе США, республика Грузия из второй было переведена в третью категорию. Такой поворот событий уже тогда мог закончиться политической дестабилизацией и коллапсом экономики, так как США много лет выступают ее основным донором (150-200млн. долларов в год, что составляет одну треть всего бюджета страны).

Решение властей США стало неожиданностью для администрации Грузии, которая начала в пожарном порядке принимать антитрефинговые законы и создавать необходимые правоохранительные структуры. В результате указанных мер и предпринятых дипломатических усилий властям Грузии удалось восстановить статус-кво. Уже в сентябре того же 2003 года государственный департамент США заявил, что Грузия была вновь возвращена во 2-ую категорию, т.е. выпала из так называемого черного списка конгресса[10].

Правительство Грузии, руководствуясь стремлением избежать возможных санкций, спешно подготовило и провело через Парламент в 2003г. закон «Об

---

[5] Irregular Migration and Trafficking in Women: The case of Turkey. IOM, International 2003, p.16

[6] მარკ ჰულსტი, საქართველოდან ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ინსტიტუციონალური და სამართლებრივი სტრუქტურების ანალიზი. კონფერენციის მასალათა კრებული – «მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში». თსუ, მსო. თბ., «ლეგა». 2003. გვ.26.

[7] Trafficking in Women and Children from Republic of Armenia: a Study IOM, International report 2001, p.25.

[8] Away from Azerbaijan destination Europe (Study migration motives, routes and methods). IOM, 2001. p.40.

[9] მარკ ჰულსტი, საქართველოდან ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ინსტიტუციონალური და სამართლებრივი სტრუქტურების ანალიზი, კონფერენციის მასალათა კრებული – «მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში». თსუ, მსო, თბ., «ლეგა». 2003. გვ.24.

[10] Глонти Г. Торговля людьми с целью сексуальной эксплуатации: реалии и перспективы, 2004, стр.122.

изменениях и дополнениях в УК Грузии», в соответствии с которым в уголовный кодекс были внесены дополнения и изменения. Это новые статьи: 143(1)УК «Торговля человеком (трефикинг) или осуществление других незаконных сделок в отношении него» и статья 172(1)УК «Трефикинг несовершеннолетних».

Были внесены изменения и в статью 172УК «Торговля несовершеннолетними».

К сожалению, в виду форс-мажорных обстоятельств, нововведения грузинского правительства оказались далекими от совершенства. Можно сказать, что правовой аспект проблемы трафика незавершен. Жертва так и остается уязвимой. В УК нет ни одного пункта, где бы говорилось о ее социальной или психологической защите. Более того, в 2001г. жертву трефикинга Хатуну Хабарашвили, убившую Ирину Рютину, которая пыталась продать 19-летнюю Хатуну хозяину бара в Турции, признали виновной.

РОЛЬ НПО В РЕШЕНИИ ПРОБЛЕМЫ ТРЕФИКИНГА

Огромную роль в процессе борьбы с торговлей людьми в Грузии играют неправительственные организации. Именно НПО первыми обратили внимание на эту проблему. В рамках программы Anti-Trafficking Project in Georgia в 1998 г. было начато изучение проблемы принудительного труда и торговли людьми в Грузии во время тренинга, проводившегося в Киеве.

Начиная с декабря 1999 года были проведены интервьюирования. Были изучены материалы последних демографических исследований в Грузии, а также статистические данные по проблеме трефикинга международных организаций. На основе собранных материалов были подготовлены к публикации буклеты, лифлеты, бюллетени, плакаты. В них содержалась информация о проблеме торговли людьми, методах вербовки, мерах предосторожности, телефонах консульств и посольств Грузии за рубежом. Был снят короткометражный фильм Марии Кацарава «sxva gza» (Другой путь). Проводились социологические и психологические исследования трафика, организовывались семинары и тренинги по предотвращению трафика. 26-27 декабря 2003 года в городе Тбилиси при участии правительственных и неправительственных организаций была проведена региональная рабочая конференция на тему: «Проблема трефикинга в Грузии и пути борьбы с ним». В разных городах Грузии организовывались выставки антитрефикинговых плакатов. Наряду с другими акциями 11 февраля 2004 в кинотеатре «Амирани» была проведена акция «Stop Trafficking». Проводилось юридическое консультирование девушек и молодых женщин на этапе поиска работы. Для жертв трефикинга создавались «горячие линии», а также психологическое обслуживание. По данным грузинских независимых организаций, были ужесточены условий получения выездных виз рядом посольств в Грузии. В частности, аккредитованные послы были приглашены в Парламент, где им были предъявлены претензии в необоснованной волоките и невнимательности к гражданам республики. На самом деле весь шум возник потому, что посольства перестали выдавать визы по протекции высоких чиновников, которые, по всей видимости, получали за это вознаграждение от выезжающих граждан. По заявлению бывшего председателя парламентского Комитета Грузии по правам человека Е. Тевдорадзе некоторые парламентарии Грузии даже оформляли фиктивные браки с желающими эмигрировать, с целью способствовать их беспрепятственному выезду в США и другие страны.

29 декабря 2004 года Указом №623 Президента Грузии М. Саакашвили был утвержден проект плана действии с небольшими поправками. В обсуждении проекта

принимали участие сотрудники IRIS (International Reform And Informal Sector), МОМ, «Международного центра по развитию миграционной политики» ICMPD.

В целом необходимо отметить, что НПО Грузии сделали многое для того, чтобы проблема торговли людьми, в особенности женщинами и детьми, стала явной, и правительство было вынуждено делать под их давлением определенные шаги. Однако, несмотря на проведенные мероприятия в области трафика женщин, необходимо отметить, что еще существует ряд проблем, до решения которых Грузия по-прежнему будет колебаться между второй и третьей категориями.

Во-первых, число НПО из-за недостаточного финансирования постоянно меняется, поэтому их действия не систематизированы. Особенно сильно ощущается недостаток НПО в провинциях, ведь основная масса жертв именно с этих регионов. Очень важна реабилитация и реинтеграция жертв в наше общество, но это опять-таки сталкивается с недостатком финансирования. Известно, что только одна треть из возвращенных домой женщин начинают новую жизнь. Остальные либо становятся добровольными секс-мигрантками, либо входят в криминальные структуры и сами занимаются вербовкой женщин. Поэтому говорить об успехе в борьбе с проблемой трафика еще рано, но наметившиеся тенденции позволяют надеяться, что результат будет в пользу потенциальных жертв.

ОСВЕЩЕНИЕ ПРОБЛЕМЫ ТРАФИКА В СМИ.

В последнее время все чаще начали появляться статьи, касающиеся трафика. Во-первых, несколько лет назад трафика как такового и не было, а если и были конкретные случаи, то о них никто и не знал. После того, как НПО начали активную работу по информированию населения, выпуская рекламные ролики по радио и телевидению, а газеты _ печать о трефикинге, общество всё больше осознавало всю опасность этого явления. «Алиони» очень чётко выразило всю серьёзность проблемы в заголовке одной из своих статей: `trefikingi~ saqarTvelos Sav Wirad iqca~ («Трефикинг» для Грузии стал чумой»).

Роль СМИ в решении данной проблемы довольно важна. Большинство населения узнает о трафике именно через телевидение.

В миграции много естественных сенсаций, столь ценимых журналистами и столь важных в нынешних условиях острой конкуренции за читателей. В последние годы произошел «взрыв» научных исследований и научных публикаций по миграционной тематике.

Драматизм и нередко трагизм историй жертв трафика придает статьям журналистов интерес и увлекательность. К сожалению, журналисты очень часто игнорируют миграционную статистику, легко доступную и относительно информированную. В большинстве редакций очень не любят цифры. Точно также игнорируют журналисты научную литературу по миграции и возможности получения «горячих» данных от исследователей, постоянно держащих руку на пульсе миграционных событий (исключения чрезвычайно редки).

Уровень освещения миграционных процессов и проблем зависит от профессионализма журналистов. Поскольку они почти не пользуются статистикой и не прибегают к помощи специалистов-исследователей миграции, в некоторых случаях они даже не информируют население, а наоборот, дезинформируют общественность,

предоставляя такие цифры, о которых вряд ли говорили исследователи.

Самое существенное, что бы сделали сотрудники СМИ _ это, во-первых, прежде чем писать статью о трафике, основательно исследовали бы данную проблему. И не просто констатировали бы факты, а глубже раскрывали проблему. А потом вместе с НПО пытались бы как-нибудь урегулировать правовую сторону проблему трефикинга, достучавшись до «верхов», чтобы те приняли, наконец-то, закон, касающийся жертв трафика, т.е. дали понять, что общественное мнение заинтересовано данной проблемой. А население, в свою очередь, убедилось бы, что жертвы трафика _ это действительно жертвы, а не «легкомысленные, глупые, неосмотрительные женщины» (79% из 1000 опрошенных организацией `qalebi momavlisaTvis~ респондентов считают именно таковыми).

Заключение

Определенная деятельность по предупреждению трефикинга осуществляется, однако результат может быть положительным лишь при организации тесного сотрудничества НПО, государственных структур и СМИ. Только общими усилиями трафик будет если не уничтожен, то хотя бы сведен до оптимального минимума. Однако только мер по информированности, введения новых законов и реабилитации жертв недостаточно (хотя это очень важно). Главное поднять экономику страны, улучшить социальное положение, в общем создать нормальные условия для жизни, чтобы люди не стремились за границу в поисках заработка, а были уверены в завтрашнем дне у себя на родине.

Nona Suvaryan

INVISIBLE PROBLEM OF GEORGIA_TRAFFICKING AND VARIOUS STRUCTURES' ATTITUDE TOWARDS IT
(Abstract)

Struggle against trafficking will remain unsolved problem until some measures for its elimination are taken in the country.

First of all the population should be informed. Mainly NGO and mass media deal with it. We can say, that as a result of recent trainings and seminars, as well as publications more often appearing in our media the increase in informed population is evident compared with 1998, when the majority of population did not know what the word ”trafficking” meant. Consequently, the problem has become actualized in the society.

On the second hand, the corresponding legislation should be adopted. Georgia unfortunately did not adopt the UN Convention against Transnational Crime, namely protocol №2 concerning the prevention of trafficking, which seriously complicates effective struggle against this negative phenomenon. At the same time, Georgia adopted a number of legislative amendments and additions in the current criminal code. Among them: 143(1), 172(1) and changes in article 172, directly dealing with trafficking. At the same time the legislation doesn’t include provisions concerning the prevention of trade in human beings. Victims remain undefended both physically and morally as state structures do not know how to use the existing information.

Also, reintegration and rehabilitation of victims of trafficking is crucial. This is the most serious problem of our society. The government does not do anything to solve it. Because of shortage of finances NGOs are only able to establish “hot lines”, but it’s too little. That’s why most women who have once been made victims of sex business aren’t able to give up. And sometimes they even become traffickers.

There are still some measures taken but only with collaboration between NGOs, state structures and mass media the results can be achieved. Only with joint effort trafficking can be minimized, if not eliminated.

However, the informing, adoption of new legislation and rehabilitation of the victims isn’t enough (but it’s very important). The main thing is to raise the economic situation in the country, improve social conditions and create favourable living conditions, so that people do not travel abroad in search of work, but stay confident and see their future in their native country.

ნანა ორკოდაშვილი

გარე შრომითი მიგრაციის მართვის სრულყოფის მიმართულებები

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მასალების მიხედვით გარე მიგრაციის სალდომ 998,5 ათასი კაცი შეადგინა. სხვა მონაცემებით საქართველოდან გასულთა რიცხვი დაახლოებით 1,5 მლნ აღწევს. ამათგან უმრავლესობა (2/3) შრომითი მიგრანტია. სამწუხაროდ, ქართველ ემიგრანტთა უმეტესობა რეციპიენტ ქვეყანაში

არალეგალურად იმყოფება, რის გამოც მათ უწევთ ჯანმრთელობისათვის საზიანო, დამამცირებელ და, ამასთან, დაბალანაზღაურებად სამუშაოს შესრულება.

აღნიშნული პროცესი ხელისუფლების მხრიდან აქტიურ რეაგირებას მოითხოვს, რაც ქვეყანაში გარე შრომითი მიგრაციის სახელმწიფო რეგულირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში შრომითი მიგრაციის სახელმწიფოებრივი რეგულირება, საკანონმდებლო ბაზის არსებობის მიუხედავად, თითქმის ვერ ხორციელდება, რაც ძირითადად მიგრაციის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის დაუხვეწაობისა და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს შორის ფუნქციების არარაციონალურად განაწილების, ასევე რიგი საკითხებისადმი უყურადღებობის შედეგია.

გარე მიგრაციის და, მათ შორის, გარე შრომითი მიგრაციის რეგულირებაში მონაწილეობენ: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამონისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და სხვა.

საქართველოში მიგრაციული პროცესების რეგულირების ეფექტური სისტემის შემუშავების პროცესში საინტერესოა აღნიშნული პრობლემისადმი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება. თორმეტი ქვეყნის (დანია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, აშშ და კანადა) გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მიგრაციის მართვის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს ის ზოგადი პრინციპები, რომლებიც მათ აერთიანებთ. რიგი ევროპული ქვეყნების მიგრაციის მართვის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია შემდეგი ზოგადი ნიშნები:

- უმაღლეს ინსტანციას მიგრაციულ საკითხებში წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- მიგრაციულ პოლიტიკასა და კანონმდებლობის პროექტებს შეიმუშავებს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- აღნიშნული უწყება ხასიათდება მიგრაციული ფუნქციების ძლიერი კონცენტრაციით;
- მიგრაციის პროცესების რეგულირებაში ჩართული სამინისტროები/უწყებები ამ საკითხებთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კავშირში, მის შესაბამის სტრუქტურებთან კონსულტაციის საფუძველზე ახორციელებენ;
- ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის შსს-ს სტრუქტურაში შექმნილია მრავალი განყოფილება თუ სამსახური.
- აღნიშნული სამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

აღნიშნულ მოდელს პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ «ევროპული მოდელი», რადგან ასეთი სტრუქტურა ძირითადად ევროპული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი: დანია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი.

ევროპულისაგან განსხვავებით «ამერიკულ მოდელში» (აშშ, კანადა) მიგრაციულ საკითხებში უმაღლეს ინსტანციას ცალკე სამინისტრო ან დეპარტამენტი არეგულირებს. აშშ-ს შემთხვევაში ეს არის იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური, რომელიც

იუსტიციის დეპარტამენტს ექვემდებარება, ხოლო კანადაში მოქალაქეობისა და იმიგრაციის დეპარტამენტი.

აღნიშნული მოდელისათვის დამახასიათებელია:

- სხვადასხვა სამინისტროებთან/უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ფუნქციების გადაცემა;
- რაც შეეხება თვითონ ცენტრალურ უწყებას, მისი სტრუქტურა ევროპულ მოდელთან შედარებით მარტივია და მცირერიცხოვან სამსახურებსა თუ განყოფილებებს აერთიანებს;
- ამ მოდელის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, ის რომ აქ საზღვრის დაცვის სამსახური, გავრცელებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

მიგრაციის მართვის საინტერესო სტრუქტურა აქვს ნიდერლანდებს, რომელიც ამ ორი მოდელის ჰიბრიდს წარმოადგენს. აქ მოქმედებს ამერიკული მოდელის იერარქია: იუსტიციის სამინისტრო იმიგრაციისა და ნატურალიზაციის დეპარტამენტი. საზღვარი ასევე, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. თუმცა იკვეთება ევროპული მოდელის შიდა სტრუქტურა: ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტული სამსახურები, მათი მრავალსახეობა, შემადგენელ რგოლებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, ადგილობრივ მთავრობასთან ურთიერთობა.

ისევე, როგორც ნებისმიერ საკითხში, მიგრაციის რეგულირების სფეროშიც გაუმართლებელია ამა თუ იმ მოდელის, ამა თუ იმ ქვეყნის გამოცდილების უცვლელად, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე გადმოტანა.

საქართველოში ისევე, როგორც ამერიკულ მოდელში, ვფიქრობთ, გამართლებული იქნება მიგრაციის მთავარი მარეგულირებელი უწყების არსებობა. საქართველოში მიგრაციულ საკითხებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო უნდა წარმოადგენდეს მთავარ სახელმწიფო სტრუქტურას (ნახატი 1) და მაკოორდინირებელ რგოლს. ამასთან, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მისი შრომისა და მიგრაციის სამინისტროდ გადაკეთება. იმის გამო, რომ ერთი სამინისტროსათვის თითქმის შეუძლებელია მიგრაციის რეგულირების ყველა ფუნქციის თავის თავზე აღება, მან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შესაბამის სამინისტროებთან: ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გარე შრომითი მიგრაციის თანმდევ ეკონომიკურ შედეგებზე, აგრეთვე გააკეთოს პროგნოზები ახლო მომავალში ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობისა და სტრუქტურის ცვლილების შესახებ, რათა ამჟამად არსებულმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ განსაზღვროს საზღვარგარეთ შრომითი ემიგრაციის ინტენსივობა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მეცნიერულად უნდა გააანალიზოს მიგრაციული პროცესები (ემიგრირების მიზეზები, სტრუქტურა, დაბრუნების პირობები და სხვა) და მიაწოდოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად. ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით ეკონომიკის განვითარების სამინისტრომ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რათა მან სწორად განსაზღვროს კადრების მომზადებაზე სახელმწიფო დაკვეთის მოცულობა და პროფესიული სტრუქტურა.

სტატისტიკის დეპარტამენტმა უნდა აწარმოოს მიგრაციული პროცესების აღრიცხვა და შემდგომი ანალიზისათვის მიაწოდოს მასალა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს საზღვრის გადამკვეთთა მკაცრი კონტროლი. უნდა მოხდეს ყალბი დოკუმენტაციით საზღვრის გადამკვეთთა გამოვლენა, რისთვისაც აუცილებელია გამშვები პუნქტების უახლესი ტექნიკით აღჭურვა და კომუნიკაციის განვითარებული სისტემის ფორმირება. მიგრაციის რეგულირების მიზნით გამართლებულად მიგვაჩნია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შსს-ს დაქვემდებარებაში ყოფნა, რადგან ეს უკანასკნელი საქართველოში ძლიერ სამინისტროს წარმოადგენს და უფრო მეტი რესურსი გააჩნია აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ უფრო ნაყოფიერად უნდა იმუშაოს მიგრანტთა აღრიცხვის მოწესრიგების, მათი საქმიანობის კონტროლისა და სამშობლოში დროული დაბრუნების უზრუნველსაყოფად. პრობლემის შემთხვევაში კი სამინისტროს უნდა შეეძლოს დაიცვას მიგრანტთა უფლებები. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია რეციპიენტი ქვეყნის კანონმდებლობის, შრომის ბაზრის, დასაქმების შესაძლებლობებისა და პირობების შესახებ, რათა ამ სამინისტრომ შეძლოს მიგრანტთა ინფორმირება და შესაძლებლობის შემთხვევაში მათი ნაკადების განაწილება. საგარეო საქმეთა სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა იმ ქვეყნებთან სპეციალური შეთანხმების გაფორმება, რომელთაც დაწესებული აქვთ ყოველწლიური კვოტები შრომითი მიგრანტებისათვის, ასევე იმ ქვეყნებთან, რომლებიც თვლიან, რომ შრომითი მიგრანტების ჩასვლა სასარგებლოა მათი ქვეყნის განვითარებისათვის.

მიგრაციის რეგულირების მიზნით საქართველოში აუცილებელია არსებობდეს რეალურად მოქმედი დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომელიც სამუშაოს მოძებნაში დაეხმარება საქართველოს მოქალაქეებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. უნდა მოწესრიგდეს კერძო საშუამავლო ფირმების რეგისტრაციის პრობლემაც, რათა ისინი აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას ემიგრაციის მსურველთათვის. ასევე სასურველია ჩატარდეს ტრეინინგები საზღვარგარეთ სამუშაოს მოძებნის გზებისა და საშუალებების შესახებ.

ჩამოთვლილი ფუნქციების ნაწილი ზემოთ დასახელებულ უწყებებს ამჟამადაც გააჩნიათ, მაგრამ რეალურად არ სრულდება, ზოგი ფუნქცია საერთოდ ყურადღების მიღმაა დარჩენილი. იმისათვის, რომ გარე შრომითი მიგრაციული პროცესები ეფექტიანად ვმართოთ, აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მიღებული ინფორმაციის სრულად გამოყენება (მაგალითად, IOM; ILO; UN და სხვა).

გარე შრომითი მიგრაციის მართვის ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოდელი საკმაოდ რთულია და მრავალი სამინისტროს (უწყების) გაერთიანებულ ძალისხმევას მოითხოვს. ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, მისი გამარტივება დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან იგი მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურულ და ფუნქციურ რეორგანიზაციას მოითხოვს. ამას მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს.

საქართველო – გარე შრომითი მიგრაციის მართვის სტრუქტურა



ყოველივე ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია გარე შრომითი მიგრაციის მართვა-რეგულირების ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივება.

ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით კვლევა მომავალშიც კიდევ უფრო მაღალი ინტენსივობით უნდა გაგრძელდეს.

Nana Orkodashvili

DIRETIONS OF IMPROVING LABOUR MIGRATION ADMINISTRATION

(Abstract)

Deep economic crisis and mass unemployment in Georgia caused the outflow of labour forces from Georgia. Today, the only source of income for the significant part of Georgian population is the remittances of their family members from abroad. Together with the mentioned positive effect, external labour migration caused many problems in Georgia.

The research showed that the great part of Georgian migrants live in recipient country illegally. Because of this the cases of trafficking are frequent, their health and mentality are endangered and the level of professional qualification falls. The facts of decreasing population, high share of single young people among migrants, divorces and the decrease in birthrate caused the process of depopulation.

The mentioned process needs active reaction from the government, which means the formation of effective state regulation system of outbound labor migration from Georgia.

ნინო აბაიშვილი

საქართველოს კანონმდებლობა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ

საქართველო გმობს ტრეფიკინგს, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევა და მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. ნიშანდობლივია, რომ ბოლო ხანებში მთელს ევროპაში აღინიშნება ტრეფიკინგთან დაკავშირებულ მოქმედებათა ზრდა, რაც ხშირად ორგანიზებულ დანაშაულს უკავშირდება. საქართველო აუცილებლად მიიჩნევს ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად ქმედით ღონისძიებათა განხორციელებას. ამ მიზნით შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ტრეფიკინგთან ბრძოლის ორი სამოქმედო გეგმა, რომლებიც სხვადასხვა ასპექტებს ითვალისწინებს.

საქართველოში ტრეფიკინგის საკითხი პირველად დაისვა 2000_2002 წლებში «ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის» გეგმაში, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 25 თებერვლის №64 ბრძანებულებით. ტრეფიკინგთან მიმართებაში აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა მხოლოდ ერთ საკითხს, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალებით ვაჭრობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებებს.

ყოველივე ამის შემდეგ მიღებულ იქნა ტრეფიკინგთან ბრძოლის ორი _ 2003_2005 და 2005_2006 წლების სამოქმედო გეგმა.

2003_2005 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2003 წლის 17 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის №15 ბრძანებულებით. ეს გეგმა ძირითადად შედგენილი იყო იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომელსაც ევროსაბჭო და ეუთოს გადაწყვეტილებები იძლეოდა. გეგმა ისახავდა ხუთ ძირითად ამოცანას: საკანონმდებლო ზომების განხორციელება ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, უფლებათა და ინტერესთა დაცვის უზრუნველსაყოფად; ტრეფიკინგის პრევენცია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება; ტრეფიკინგში დამნაშავე პირთა სამართლებრივი დევნა და მათი დასჯა; ჩატარებული მუშაობის მონიტორინგი. მიუხედავად ყოველივე ამისა, გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებათაგან შესრულდა მხოლოდ რამოდენიმე, კერძოდ: მხარი დაეჭირა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ «საქართველოს სისხლის სმართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ» პროექტს, რომელიც ტრეფიკინგის კრიმინალიზაციასა და ამ დანაშაულისათვის შესაბამის სანქციებს ითვალისწინებს და შეიქმნა ტრეფიკინგთან ბრძოლის სტრუქტურული ქვედანაყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

რაც შეეხება მეორე **2005_2006** წლების გეგმას, იგი დამტკიცებულ იქნა 2004 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის №623 ბრძანებულებით. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია.

ეს გეგმა მიზნად ისახავს მთელი რიგი ამოცანების განხორციელებას, კერძოდ:

- შრომითი მიგრაციის საკითხების სამართლებრივ მოწესრიგებას;
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფას;
- არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას;

- არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის მასშტაბების შეფასებას;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვასა და რეაბილიტაციას;
- არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღნდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგს;
- არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნასა და გაძლიერებას.

ტრეფიკინგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას.

<u>საქართველოს კონსტიტუცია</u> _ სწორედ საქართველოს კონსტიტუცია გახლავთ ქვეყნის უზენაესი კანონი, რომლიც ზემოხსენებული ფუნდამანტური უფლებების მომნიჭებელია.

კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

კონსტიტუციის მე-18 მუხლი კი განმარტავს, რომ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

კონსტიტუციის 30-ე მუხლიში კი განმტკიცებულია, რომ შრომა თავისუფალია. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს.

სახელმწიფო მოქალაქეთა შრომით უფლებებს იცავს ასევე ქვეყნის შიგნითაც.

ეს არის კონსტიტუციით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებათა მცირედი ჩამონათვალი, რომელიც პირდაპირკავშირშია იმ დანაშაულის კატეგორიასა და ადამიანის უფლებათა დარღვევასთან, რასაც ადამიანებით ვაჭრობა ჰქვია.

<u>სისხლის სამართლის კოდექსი</u> _ სისხლის სამართალი გახლავთ სამართლის ის დარგი, რომელიც ითვალისწინებს და დასჯადად აცხადებს ადამიანით ვაჭრობას.

როდესაც დღის წესრიგში დადგა სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის შესახებ სპეციალური მუხლების დამატების საკითხი, მცირედი დისკუსია წარიმართა იმის თაობაზე, რომ უშუალოდ ტრეფიკინგის შესახებ მუხლის დამატება კი არ მომხდარიყო, არამედ უკვე არსებული მუხლებით ამ დანაშაულთან ბრძოლა დარეგულირებულიყო, კერძოდ:

სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (მუხლი-139), არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მუხლი-137), სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (მუხლი- 138), თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხლი-143), ყალბი პასპორტების დამზადება (მუხლი-362), არასრულწლოვანით ვაჭრობა (მუხლი-172), გაუპატიურება (მული-137), თაღლითობა (მუხლი-180), იძულება (მუხლი-150), მუქარა (მუხლი-151) და სხვ. პრინციპში, ეს შესაძლებელი იყო, თუმცა, აღნიშნული მუხლები ვერ ფარავს ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა ასპექტს და სრულად ვერ გამოხატავს მის არსს, ასევე სრულად ვერ ასახავდა იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ტრეფიკინგი წარმოადგენს და, ამასთანავე, ამ მუხლების ერთობლიობა გაცილებით ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ეს ტრეფიკინგის მუხლით იქნა შემდგომში გათვალისწინებული. ყოველივე ამან შექმნა არგუმენტირებული პასუხი და დასაბუთება სსკ-ში ტრეფიკინგის შესახებ სპეციალური მუხლების არსებობისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ **2003** წლის **6** ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, კოდექსს დაემატა **143[1]** და **143[2]** მუხლები, რომლებითაც მოხდა ზოგადად ტრეფიკინგისა და ბავშვთა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია.

143[1] მუხლი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილის თანახმად: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე, იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებია, ქმედების ჩადენა:

ა) არაერთგზის (რეციდივი);

ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით;

ე) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ვ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ზ) წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე. აგრეთვე, დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან თუ მან გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.

143[2] მუხლის თანახმად კი ბავშვთა ტრეფიკინგად მიიჩნევა: არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ბავშვთა ტრეფიკინგს კანონმდებელი ითვალისწინებს უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას, ვიდრე სრულწლოვანი ადამიანის შემთხვევაში.

ბავშვთა ტრეფიკინგისადმი კანონის მიდგომა ხასიათდება იმ თავისებურებით, რომ არ არის აუცილებელი იგი ჩადენილი იყოს მოტყუებით, შანტაჟით, იძულებით ან სხვა მეთოდის გამოყენებით. პასუხისმგებლობა დადგება ყველა შემთხვევაში. ხოლო თუ დამნაშავე მაინც გამოიყენებს აღნიშნული მეთოდებიდან ნებისმიერს, მაშინ იგი უფრო მკაცრად აგებს პასუხს კანონის წინაშე და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე. 143[2] მუხლი შეიცავს დამამძიმებელი გარემოებების ისეთივე ჩამონათვალს, რომელიც მოცემულია ადამიანების ტრეფიკინგის მუხლში, ამიტომ მათზე კომენტარს აღარ გავაკეთებთ. რაც შეეხება სანქციებს, ისინი ზოგად ტრეფიკინგთან შედარებით უფრო მძიმეა და დამამძიმებელი გარემოებების პირველი ჯგუფიდან რომელიმეს არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, ხოლო მეორე ჯგუფს მიკუთვნებული გარემოებების არსებობისას თავისუფლების აღკვეთას თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადოთ.

საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სპეციალური კანონი დღემდე არ არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მომზადებულია <u>კანონპროექტი</u> «ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის,

დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ», რომელიც სავარაუდოდ ახლო მომავალში იქნება მიღებული.

Nino Abaishvili

GEORGIAN LEGISLATION CONCERNING TRADE IN HUMAN BEINGS (TRAFFICKING)

Presented work deals with trafficking in persons. Problems and causes of trafficking, as well as factors which have facilitated to even more development of the problem are being discussed in the introductory part. Herein, trafficking is considered as a worldwide problem. The process of trafficking, how an individual may become a victim of trafficking, feelings and emotions of a person while being in the positions of a victim, Georgian legislation and International Acts on trafficking in persons are provided for in separate chapters.

It is noteworthy, that for the last decade of years ongoing international events (dissolution of the Soviet Union) have significantly assisted to the development of trafficking in persons. After opening of boarders a lot of people have immigrated in economically developed states from post Soviet courtries and Eastern European states in search of better living conditions and well paid jobs, as a result of which trafficking in persons have acquired unimaginable scales.

In the whole world, the crime has become one of the leading spheres of criminal industry. In developed countries, where certain experience has been attained pertaining to combating trafficking, the problem due to its complex and troublesome character and wide scale as well as for its illegal incomes is discussed together with drug business and arms traffic. Trafficking in persons is a global problem and nearly all states, among them Georgia, try to deal with it. Currently we do not possess any official data either on the facts of trafficking or its victims, that makes even more difficult to create the exact picture of the crime. If we take into account the fact, that legal migration from Georgia to other countries is nearly impossible, it is obvious, that majority of immigrated persons are illegal migrants i.e. they reside on the territory of other countries illegally. Being illegally on the territory of foreign countries reduces possibilities for human rights protection of those persons and turns them into easy target groups for any type of exploitation and violence. Due to the aforementioned, trafficking in persons is a well known crime and our citizens who have left for the foreign countries either in search of employment or for educational purpose face the great risk of becoming victims of trafficking. Only on June 6, 2003, after introduction of two additional article to the Criminal Code of Georgia pertaining to trafficking in persons and trafficking in minors, have commission of trafficking been criminalized. It should also be mentioned, that special draft has been elaborated on trafficking, which should be submitted to and adopted by the parliament of Georgia in the nearest future.

ლანა ლაგვილავა

მიგრაციის საკანონმდებლო პრობლემები

იმ პირობების სამართლებრივი რეგულირება, რომლებიც მიგრაციას საფუძვლად უდევს, დიდი ხანია საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

რაც შეეხება საქართველოს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი თანდათანობით უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება. თუმცა საკანონმდებოლო სიახლეები ამ საკითხის გარშემო არ გვხვდება.

დღეს მოქმედ კანონთა ნუსხა ასე გამოიყურება:

1. საქართველოს კანონი იმიგრაციის შესახებ_ 1993 წ. 27 ივლისი;
2. საქართველოს კანონი ემიგრაციის შესახებ_ 1993 წ. 27 ივლისი;
3. კანონი მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ_ 1998 წ. 26 ივნისი;
4. კანონი მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლის შესახებ_ 1998 წ. 26 ივნისი;
5. საქართველოს კანონი «საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლისა და გასვლის, ყოფნისა და გასვლის წესების შესახებ»;
6. საქართველოს კანონი «საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან დროებით გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ»;

განსაზღვრულია იმიგრაციის კანონის დანიშნულება _ საქართველოს ინტერესების შეულახავად განსაზღვროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლის ანუ იმიგრაციის წესი და პირობები, აგრეთვე, მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

ასევე განსაზღვრულია იმიგრანტის სტატუსი, რომ იმიგრანტად ითვლება უცხოელი, რომელმაც საქართვველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოიპოვა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება.

მიგრანტის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი კრიტერიუმია იმიგრანტის სტატუსის მინიჭება წარმოშობით ქართველისათვის, რომლის მამა ქართველია, რაც, ჩვენი აზრით, გადაჭარბებულია, რადგან მშობლების წარმომავლობისადმი დამოკიდებულება შეფასებითი კატეგორიაა.

რაც შეეხება იმიგრანტთა სარეგისტრაციო ორგანოს, 2004 წლის ცვლილებებით ამ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტრო, რაც საკითხის სწორი გადაწყვეტაა.

საინტერესოა კანონით დადგენილი შრომითი მოწყობის გარანტია, რაც იმიგრანტთა დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ საქართველოს პირობებში მისი განხორციელება არც თუ ისე ადვილია.

კანონით დადგენილია იმიგრანტის საქართველოდან გაძევების საფუძველი.

ნებისმიერ სახელმწიფოში მიგრაციული პროცესები გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. ამიტომ საქართველოში იმიგრაციის პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ყოველწლიურად ხდება საიმიგრაციო კვოტის განსაზღვრა. იგი გულისხმობს იმიგრაციის ზღვრული სიდიდის დადგენას. ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს საიმიგრაციო კვოტაც.

აღნიშნული პროცესების კონტროლისა და მართვის საშუალებას წარმოადგენს მიგრანტთა ინსპექტირება, რომლის დროსაც ხორციელდება:

1. მიგრანტთა აღრიცხვა-რეგისტრაცია მიგრანტის ბარათის საფუძველზე;

2. უკანონო მიგრანტთა გამოვლენა.

როცა მიგრანტთა ინსპექტირებაზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიგრანტთა ინსპექტირებისაგან თავისუფლდებიან უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, აგრეთვე, ის პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით.

ეს არის ის ძირითადი დებულებები, რომელიც მოცემულია ჩვენი ქვეყნის კანონებში და, რომლებიც მეტ დახვეწას საჭიროებენ.

როგორც ცნობილია, მოსახლეობის მიგრაცია ჩვეულებრივ გულისხმობს ადამიანთა ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის აუცილებლად გამოცვლას, სამუდამოდ ან მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით ან რომელიმე ერთი უმთავრესი მიზეზით. საერთოდ კი მოსახლეობა ცდილობს გადაადგილდეს იქ, სადაც საცხოვრებლად საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის უკეთესი პირობებია. ეს მომენტი განსაკუთრებით სახიფათოა ახალგაზრდა და ნიჭიერი თაობის მიმართ. ამ პროცესს პრაქტიკაში «ტვინების გადინებას» უწოდებენ და, ვფიქრობთ, ზედმიწევნით ზუსტად შეესაბამება არსებულ სიტუაციას. მისი აღმოფხვრის საუკეთესო საშუალება მოსახლეობის დასაქმების და ძლიერი საგანმანათლებო სისტემის შექმნაა. ასევე სახელმწიფო უნდა ისწრაფვოდეს დაიბრუნოს უნარ-ჩვევების მქონე მიგრანტები, რადგან წარმატებული ემიგრანტები უკან აღარ ბრუნდებიან.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ცალმხრივი პოზიცია არ უნდა ეჭიროს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია იზრუნოს საქართველოში მყოფ უცხოელ იმიგრანტებზეც. ამ დროს აუცილებელია ეროვნული და საერთაშორისო მხარდაჭერა; მათი ახალ საზოგადოებაში ინტეგრირება. თუ ოჯახიდან წავიდნენ მშობლები, მათი ბავშვები მოკლებულნი არიან მშობლების მზრუნველობას. ხანგრძლივმა დაშორებამ კი შეიძლება შეასუსტოს ურთიერთობები. გამოსავალი კი ძლიერი სამოქალაქო სექტორი, ადამიანთა უფლებების განუხრელი დაცვა, ეკონომიკური აღმავლობა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაა.

lana lagvilava

THE LEGISLATIVE PROBLEMS OF MIGRATION
(Abstract)

Migration processes are becoming more and more intense in Georgia. That's why it is necessary to create the guarantees for legal protection of immigrants. Unfortunatly, ''Law of Georgia on Immigration'' is quite old to regulate this problem. The thesis contains proposals for introducing amendments in the mentioned Law, so that human rights are protected to maximum extent and immigrants are integrated in the new society.

მარიკა გერსამია

ქალთა ტრეფიკინგის თანამედროვე პრობლემები

ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ტრეფიკინგი განმარტებულია, როგორც: «ადამიანთა გადაბირება, გადაყვანა, ყიდვა, გაყიდვა, გადაცემა, გადამალვა ან მიღება: 1) ძალის გამოყენებით ან გამოყენების მუქარით, მოტყუებით, იძულებით, თაღლითობით, ძალადობით ან სავალო კაბალით; 2) ამ პირის ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე იძულებითი შრომის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, იმ გარემოში, სადაც აღნიშნული პირი მუდმივად არ ცხოვრობდა დანაშაულის ჩადენის დროისათვის».

რაც შეეხება უშუალოდ ქალთა ტრეფიკინგს, იგი გულისმობს ქალების დაქირავებას ან მათ საზღვარგარეთ სამსახურსა თუ მომსახურებისათვის გადაყვანას დაშინებით, მუქარით, მოტყუებით ან ძალადობით. ტრეფიკინგი ქალთა მიმართ ანუ ქალის ექსპლუატაცია, მისი იძულებითი შრომის გამოყენება გულისხმობს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ქალს მოიაზრებს, როგორც ნივთს.

რაც შეეხება საერთოდ ქალთა ექპლუატაციის წარმოშობის საკითხს, ეს სოციალური ბოროტება ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობილების გარიჟრაჟზე აღმოცენდა. მაგალითად, საბერძნეთში ტაძრებთან არსებულ საროსკიპოებს სერიოზული შემოსავალი შემოჰქონდათ, ქალებით ვაჭრობდნენ არა მხოლოდ მონათმფლობელები, არამედ სახელმწიფოც. ფეოდალიზმის ეპოქაში ქალებით ვაჭრობას კიდევ უფრო მეტი გასაქანი მიეცა. მათ შორის საქართველოშიც უნდა აღინიშნოს XVII-XVIII სს საქართველოს ქალთა სისტემატური გაყვანა ან გაყიდვა ისლამურ სახელმწიფოებში. ამ საქმიანობით არა მარტო ფეოდალებმა, არამედ ეკლესიამაც დიდად ისარგებლა. XVI-XVII საუკუნეებში რიგ ევროპულ სახელმწიფოებში პროსტიტუციის წინააღმდეგ მკაცრი საკანონმდებლო ზომები შეიმუშავეს. მაგალითად, საფრანგეთში 1560-1565 წლებში სიფილისის ეპიდემიის შემდეგ პროსტიტუცია აიკრძალა, მეძავეობისთვის ფიზიკური სასჯელი დაწესდა. პორტუგალიაში კი პროსტიტუციისთვის სხვა მკაცრ ზომებთან ერთად კანონი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯასაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროსტიტუცია არა თუ აღმოიფხვრა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა და სახე იცვალა, რის საფუძველზეც იგი დანაშაულებრივ სამყაროს შეერწყა. ამჟამად საქართველოში ვითარება ძალიან რთულია. თავისი მდებარეობის და ქვეყანაში არსებული განუკითხობის გამო, საქართველო არა მხოლოდ მსხვერპლთა გამცემი, არამედ მიმღები ქვეყანაცაა. გარდა ამისა მსხვერპლი ერთი ქვეყნიდან მეორეში ხშირად საქართველოს გავლით გაჰყავთ.

ჩატარებული კვლევებით ცნობილია, რომ ეს გზა ძირითადად თურქეთს უკავშირდება. ხოლო ბოლო ადრესატი ქართველი ქალებისა ემირატი ან საუდის არაბეთია.

ტრეფიკინგის უდიდესმა საფრთხემ მსოფლით საზოგადოებრიობა მიიყვანა სამართლებრივად სავალდებულ ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტების შექმნის აუცილებლობამდე. ასეთ დოკუმენტებად იქცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოქმი ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, შემდგომში «პალერმოს ოქმი» და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენცია, შემდგომში «პალერმოს კონვენცია», რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს შეიცავს. აშშ-მა 2000 წელს მიიღო სპეცია-

ლური კანონი _ «ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი 2000», რომ-ლითაც აღიარა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებს და სახელმწიფო ვალდებულია უზურნველყოს ისინი დაცვითა და დახმარებით. აღნიშნული კანონით მოხდა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია და შეიქმნა დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის სისტემა.

ასევე ბელგიამ 1995 წელს მიიღო კანონი «ადამიანთა ტრეფიკინგისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ» და ამით იქცა ერთ-ერთ პირველ ქვეყანად, რომელმაც შეიტანა ტრეფიკინგის ცნება საკუთარ კანონმდებლობაში. გარდა ამისა, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით მიღებულია მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და, რაც მთავარია, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოების დამოკიდებულება ტრეფიკინგის მსხვერპლებისადმი გამოიხატება იმაში, რომ მათ აღიარეს ტრეფიკინგი, როგორც საერთაშორისო დანაშაული, ხოლო ტრეფიკირებული ადამიანები აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლნი (და არა დამნაშავენი).

ქალთა ტრეფიკინგთან დაკავშირებით საქართველოში მიღებულია შემდეგი სახის სამართლებრივი აქტები: არსებობს 2000 წლის 25 თებერვლის პრეზიდენტის №64 ბრძანებულება «2000-2002 წლებისათვის ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმა», რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პროკურატურას, შინაგან საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებს ევალებათ სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით ქალებით ვაჭრობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების გატარება. ყურადსაღები დოკუმენტია 2002 წლის 17 მაისის საქ. პრეზიდენტის ბრძანებულება «საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ». ასევე 2003 წლის იანვრის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა «ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა». ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები სრულად ვერ უზრუნველყოფენ ტრეფიკინგის რისკის ქვეშ მყოფი ქალების სამართლებრივ დაცვას, და შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ამ საშინელი სენისაგან ადამიანთა დაცვის ძალიან მცირე შესაძლებლობას იძლევა. სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლები, რომლებიც ადამიანებით (არასრულწლოვანებით) ვაჭრობას კრძალავს. კერძოდ, კოდექსის 143[1] მუხლი ეხება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), სადაც აღნიშნულია, რომ «ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით».

მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზაცია მოხდა, ქართული კანონმდებლობა ამ სფეროში ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან. კანონპროექტს კი ტრეფიკინგის შესახებ პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს და რამდენად ეფექტური იქნება მისი მიღება საქართველოში, მომავალი გვიჩვენებს.

Marika Gersamia

MODERN PROBLEMS OF WOMEN TRAFFICKING
(Abstract)

The study of women trafficking showed us that women going abroad are at most risk of becoming victims of trafficking. The research revealed that in terms of overcoming the problem of women trafficking it is very important to overcome economic, social and political crisis. Democratic society, material welfare of the population, rising of cultural level, law-abiding environment create beneficial basis for curing this difficult malady.

კრებულის ავტორები

1. *ეკა ლეკაშვილი*
   თსუ საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
2. *ვლადიმერ სულაბერიძე*
   საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
3. *დავით აბულაძე*
   თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ფრანკოფანთა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი
4. *მაია შამუგია*
   თსუ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის მასწავლებელი
5. *ქეთევან მდინარაძე*
   საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ასპირანტი
6. *მანანა ჭიპაშვილი*
   საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
7. *შორენა გუჩაშვილი*
   თსუ შრომის ეკონომიკის კათედრის ასპირანტი
8. Масленкова Е.В.
   Международный институт трудовых и социальных отношений, старший преподаватель
9. Крайнов В.В.
   Научный сотрудник НИИ Труда, Министерства труда и социальной защиты Республики Беларусь
10. *მარიკა ქაჯაია*
    საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ასპირანტი
11. *ნათია ჭელიძე*
    თსუ შრომის ეკონომიკის კათედრის ასპირანტი, მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
12. *ნინო ბერულავა*
    ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
13. *ირინა ტყეშელაშვილი*
    თბილისის ბიზნესის ინსტიტუტის ქუთაისის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი,

მსო ქუთაისი

14. **Нона Суварян**
Студентка факультета журналистики Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили

15. ***ნანა ორკოდაშვილი***
თეუსი, ფინანსებისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის მაგისტრანტი

16. ***ნინო აბაიშვილი***
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თეუსი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

17. ***ლანა ლაგვილავა***
სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

18. ***მარიკა გერსამია***
სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

AUTHORS OF THE COLLECTION

1. **Eka Lekashvili**
Candidate of Economic Sciences, Docent; The chair of International Economics and History of Economic Studies TSU
2. **Vladimer Sulaberidze**
Candidate of Economic Sciences, Docent; Institute of Demography and Sociological Studies, Georgian Academy of Sciences
3. **David Abuladze**
Research officer; TSU Migration Research Center
4. **Maya Shamugia**
Lecturer; The Chair of Social-Economic and Political Geography, Tbilisi State University
5. **Ketevan Mdinaradze**
Postgraduate Student; Institute of Demography and Sociological Studies, Georgian Academy of Sciences
6. **Manana Chipashvili**
Candidate of Economic Sciences, Senior research officer; Georgian Academy of Sciences, Institute of Demography and Sociological Studies
7. **Shorena Guchashvili**
Postgraduate Student; Economic Faculty, Tbilisi State University
8. **Maslenkova Helena**
Senior Lecturer; International Institute of Labor and Social Relations, Minsk, Republic of Belarus
9. **Krainov Vladislav**
Research officer; Scientific Research Institute of Labour, Ministry of Labor and Social Protection, Minsk, Republic of

Belarus

10. **Marika Kajaia**
Postgraduate Student; Institute of Demography and Sociological Studies

11. **Natia Chelidze**
Postgraduate Student; Economic Faculty, Tbilisi State University, research officer; TSU Migration Research Center

12. **Nino Berulava**
Candidate of Economic Sciences, Tbilisi State University, research officer; TSU Migration Research Center

13. **Irina Tkeshelashvili**
Student, Faculty of Law; Tbilisi Business State Institute (Kutaisi Scientific and Study Center), IOM Kutaisi

14. **Nona Suvarian**
Student, Faculty of Journalism, Tbilisi State University

15. **Nana Orkodashvili**
Undergraduate Student, Faculty of Finance and Marketing (major - State and Municipal Management), Tbilisi State Institute of Economic Relations

16. **Nino Abaishvili**
Toung Lawyers' Association, student of Faculty of Law, Tbilisi State Institute of Economic Relations

17. **Lana Lagvilava**
Student of Law faculty; Sokhumi Branch of Tbilisi State University

18. **Marika Gersamia**
Student of Law faculty; Sokhumi Branch of Tbilisi State University

გამომცემლობის რედაქტორი **მ. ჯაჯანაშვილი**
კორექტორი **ნ. ლოლუა**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.05.05.
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 8,65
სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,7
შეკვეთა №12 ტირაჟი 120
ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

გამომცემლობა «უნივერსალი»,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1